ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 მარტი პარასკევი 2012
№069 (13675) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამ კაშია: ვიტესში 3 წლით





გუშინ არნემის "ვიტესის" 24 წლის კაპიტანმა **გურამ კაშიამ** კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა – უწინდელი ხელშეკრულებით კაშია "ვიტესს" 2013 წლის ზაფხულამდე ეკუთვნოდა, გუშინდელი ხელმოწერის შედეგად კი კონტრაქტი კიდევ სამი წლით, 2016 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა.

კაშია თბილისის "დინამოდან" "ვიტესში" 2010 წელს მივიდა. მას შემდეგ, რაც გუნდი **იონ ვან დენ ბრომმა** ჩაიბარა, კაშია მნიშვნელოვნად დაწინაურდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი **მერაბ ჟორდანიას** გუნდისთვის მართლაც ფასეული ფეხბურთელი რომ არის, ამას გუშინდელი კონტრაქტიც მოწმობს.

**დავით თავართქილაძე**

## ფაჩულიას სარეკორდო 48

საოცარი მოგება კლივლენდთან

ლარი დრიუ: ზაზას ბოლომდე ვენდობი

12








2

ევრო 2020

## საქართველო და აზერბაიჯანი სტამბოლში შეხვდნენ, როგორ შეგვხვდება უეფა?

5



## ამხანაგური სეკვესტრი

რუმენიგემ და პლატინიმ საკლუბო და სანაკრებო საზღვრები დაადგინეს

აგვისტოში დაისვენეთო

სიტუაცია

# საქართველო-აზერბაიჯანმა ევრო 2020-ზე დაილაპარაკეს

## უეფას პრეზიდენტი თურქეთის კანდიდატურას ღიად მიემხრო




"სტამბულში გამართულ ალმასკომზე ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ჩატარების საგანაცხადო პროცესი დაიწყო, უკვე გაწერილია ტურნირის ჩატარების კრიტერიუმებიც" - განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ჯანი ინფანტინიმ.**

ტურნირის ჩატარების კრიტერიუმებს უეფა მასში გაწევრიანებულ 53-ივე ეროვნულ ფედერაციას 26 მარტს გაუგზავნის და ეს მოთხოვნები უეფას რეგლამენტში აისახება. თუმცა აქედანვე არის ცნობილი, რომ ევრო 2020-ზე 24 გუნდი ითამაშებს, მასპინძელ ქვეყანას (თუ ქვეყნებს) მინიმუმ 9 ტოპ-კლასის სტადიონი უნდა ჰქონდეს.

დაინტერესებულ მხარეს 2 თვეში შეუძლიათ მოთხოვნების გაცნობა და კანდიდატურის (თუ კანდიდატურების) წამოყენება, ანუ 15 მაისამდე. ამის შემდეგ კი უეფა მსურველ ქვეყნებში გარანტიების შეგროვებას დაიწყებს.

ინფანტინის თქმით, უეფა ევრო 2020-ის მასპინძლობაზე ერთობლივ განაცხადებსაც მიიღებს, რადგან ტურნირების ასე ჩატარების დადებითი გამოცდილება არსებობს. 2013-2014 წლების მიჯნაზე კი მასპინძელი ქვეყანაც გაირკვევა.

საქართველო ევროპის-2020 წლის ფეხბურთის ჩემპიონატის ერთობლივად მასპინძლობის სურვილს აზერბაიჯანთან ერთად გამოთქვამს.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის მიღებას მხარი ერთობლივად უკვე ოფიციალურად დაუჭირეს ჰოლანდიამ და ბელგიამ, რუმინეთ-ბულგარეთმა, ჩეხეთ-სლოვაკეთმა, ბოსნია-ხორვატია-სერბეთმა და ირლანდია-შოტლანდია-უელსმა. აზერბაიჯანის მილი-მეჯლისში გამოსვლისას, სურვილი გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმაც,** რომლის თქმითაც, საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივ განაცხადს შეიტანენ. გუშინ სტამბულში თურქეთის ამბიცია ოფიციალურად დაადასტურა ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **რეჯებ ტაიპ ერდოღანმა.**

უეფა-ს 36-ე კონგრესს საქართველოდან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რეზო არველაძე** ესწრებიან. მათ აზერბაიჯანულ მხარესთან ევრო 2020-ის ერთობლივი მასპინძლობის საკითხზე ილაპარაკეს, ამას გარდა, კონსულტაციები გამართეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთანაც.

ამასობაში კი იმავე სტამბულში უეფას ალმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ 17-წლამდელთა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატს ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი უმასპინძლებს.

საქართველო, დიდი ხანია, ევროპის ჩემპიონთა, ევროპის ლიგისა და ასაკობრივი ნაკრებების ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას სიტყვიერად აცხადებს.

პირველად ეს თემა 2000 წელს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე **დავით პეტრიაშვილმა** წამოსწია. მაგრამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და თემა დაიხურა.

შემდეგ უკვე საკითხი ფედერაციის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ წამოაყენა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ



ზვიად სიჭინავა

საქართველოს 17 ან 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს.

ჩვენთვის უცნობია, ამ ინიციატივას რა გაგრძელება მოჰყვა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო დღემდე მსგავსი საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობასთან ახლოსაც არ ყოფილა. ეს უფლება კი აზერბაიჯანმა მიიღო, რასაც ჩვენს მეზობლებს გულწრფელად ვულოცავთ. ბოლო ათი წელიწადია, მათ ფეხბურთში უზარმაზარი თანხები დააბანდეს და პროგრესიც აქვთ, ანუ ეს აღიარება და უფლება დაიმსახურეს.

ბოლო დროს, დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობაზე სპორტულ ფედერაციებს საქართველოს ხელისუფლებაც აქეზებს. ასე იყო ჭადრაკში, თბილისი უმასპინძლებს წყალბურთში ევროპის 2014 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატს, 2015 წელს ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს და 2013 წლის ევროპის ჩემპიონატს ჭიდაობაში.

მაგრამ საფეხბურთო ტურნირების მასპინძელ ქვეყანას გაცილებით მკაცრი კრიტერიუმებით არჩევენ. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, აგრეთვე ინფრასტრუქტურის სამინისტროებში აცხადებენ, რომ საქართველო საფეხბურთო ფორუმის მასპინძლობისთვის უეფა-ს კონგრესის შემდეგ დაიწყებს.

სპორტულმა ინფრასტრუქტურამ მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოს, ყველა სახელმწიფო უწყებამ კოორდინირებულად უნდა იმუშაოს. უეფა ასეთი მასშტაბური ღონისძიების მასპინძლობის მთავარ მოთხოვნად პროექტში სახელმწიფოს მაქსიმალურ ჩართვას ითხოვს, რადგან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი არა მხოლოდ სპორტული, არამედ ქვეყნის ინფრასტრუქტურაც, ევროპული სტანდარტების სტადიონების მშენებლობისთვის კი დიდძალი თანხებია საჭირო.

ძნელი სათქმელია, სად მოიძებნება უზარმაზარი თანხები, მასპინძლობის პრეტენზია რეალური საქმეებით რომ განვამტკიცოთ, მაგრამ, იქნებ, ამ მცდელობების შედეგად, ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მაინც დაგვრჩეს, რადგან მას შედარებით ნაკლები მოთხოვნები აქვს.

ბოლოს: ევრო 2020-ის მასპინძლობის ფავორიტი რომ თურქეთია, უეფას პრეზიდენტის, **მიშელ პლატინის** მიერ კონგრესზე გაკეთებული ღია მხარდაჭერაც მეტყველებს: *"თურქეთმა ევრო-2016-ისისთვის ძალიან მშვენიერი განაცხადი წარადგინა, მაგრამ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება საფრანგეთმა მიიღო. თუ სტამბოლი 2020 წელს ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებას ვერ მიიღებს, მაშინ პირადად მე ევრო-2020-ის თურქეთში გამართვას დავუჭერ მხარს".*

**მერაბ მამულაშვილი**




ტურის მწვრთნელი



ფოთის "კოლხეთი" რვა საუკეთესო გუნდში მოსახვედრად იბრძოდა, დაიმატა ახალი ფეხბურთელები, შეკრება თურქეთშიც გაიარა და მიზანსაც მიაღწია. თუმცა ფოთელები ამაზე გაჩერებას არ აპირებენ, წინა ტურში შინ ქუთაისის "ტორპედო" დაამარცხეს და ახლა უკვე ხუთეულში მოსახვედრად გაირჯებიან. ტურის მწვრთნელად "კოლხეთის" დამრიგებელი დავით მახარაძე დავასახელეთ, "ტორპედო" საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და ასეთი მოწინააღმდეგის დამარცხება "კოლხეთისთვის" პატარა საქმედ ვერ ჩაითვლებოდა. მახარაძესთან საუბარიც აქედან დავიწყეთ.

# დავით მახარაძე: ჩვენი თავმოყვარეობა გვაქვს

**- "ტორპედოსთან" შეხვედრაში ყველაზე უფრო რისი გეიმედებოდათ, რა კოზირის გამოყენებას ცდილობდით?**

- აქცენტი ფსიქოლოგიაზე გავაკეთეთ. "ტორპედომდე' "ზესტაფონთან" 0:4 წავაგეთ და თითქოს ისე ჩანდა, რომ "კოლხეთი" რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრის შემდეგ უმოტივაციოდ დარჩა. მითქმა-მოთქმაც კი წავიდა, ჩემპიონატის რვიანებად დაყოფის წინ "ტორპედოსთან" 0:0 რომ ვითამაშეთ, ახლა "კოლხეთმა" უნდა დაუბრუნოს ვალი ქუთაისელებს და აუცილებლად წააგებსო. ამ სისულელეების გაქარწყლებაც გვინდოდა და კიდევ ის, რომ "ზესტაფონთან" 0:4-ის შემდეგ რეაბილიტაცია მოგვეხდინა ჩვენი გულშემატკივრების წინაშე. ბიჭებიც სათანადოდ განეწყვნენ "ტორპედოსთან" მატჩისთვის და "კოლხეთმა" ბოლო პერიოდში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ითამაშა. ფეხბურთელების კმაყოფილი ვარ, მეტოქეს მართლაც ვაჯობეთ და მეტი გოლის გატანაც გვმართებდა.

**- ალბათ იმანაც შეგიწყოთ ხელი, რომ "ტორპედოს" მანამდე ზედიზედ ორი ტური გაუცდა, უამინდობის გამო მატჩები გადაიდო...**

- რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს გუნდის მზადებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს,"ტორპედომ" არცთუ მცირე პერიოდში მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩის თამაში მოახერხა, მაგრამ ამის გამო ჩვენი ფეხბურთელების გარჯა არ უნდა დაკნინდეს.

**- "კოლხეთს" ევროსარბიელზე მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, არ გააჩნია, უმაღლესი ლიგიდან გავარდნაც არ ემუქრება – რა მიზანი დარჩა თქვენს გუნდს?**

- ბევრს კამათობენ ჩვენი ჩემპიონატის სისტემაზე, არცთუ ცოტა სკეპტიკურად არის განწყობილი ამ სისტემის მიმართ, მაგრამ ხომ გამოჩნდა, რომ ჩვენთვის უმნიშვნელო სულაც არ არის დარჩენილი შეხვედრები?! ევროსარბიელზე მოხვედრის შანსი არ გვაქვს, მაგრამ შეგვწევს ძალა, რომ ხუთეულში შევიდეთ. ყველას, მათ შორის "კოლხეთსაც", საკუთარი თავმოყვარეობა აქვს, დავამტკიცეთ, რომ დამსახურებულად მოვხვდით რვა საუკეთესო გუნდში და მორიგი მიზანიც გვაქვს. იმასაც გეტყვით, რომ "ზესტაფონთან" 0:4 არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა, ჩვენც შეგვეძლო გოლების გატანა და უსუსურად ნამდვილად არ გვითამაშია.

**- "ტორპედოსთან" კარში არდალიონ მიქაბერიძე ჩააყენეთ, რომელიც ჯერ ვერ არის საუკეთესო ფორმაში და ეს ალბათ გარკვეულწილად რისკიც იყო...**

- ლადო ნადირაშვილს ფილტვების ანთების ნიშნები აღმოაჩნდა და მისი შეცვლა აუცილებელი გახდა. არჩევანი მიქაბერიძეზე შევაჩერეთ, მას დებიუტი ჰქონდა "კოლხეთში" და საქმეს თავი კარგად გაართვა. მიხარია, რომ არჩევანში არ შევცდი, მიქაბერიძე გამოცდილი მეკარეა და მისი სახით "კოლხეთმა" კარგი შენაძენი გააკეთა.

**- სანამ რვა საუკეთესო გუნდში მოხვდებოდით, "კოლხეთისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ თავდასხმის გაძლიერება იყო...**

- შეტევა მართლაც გავაუმჯობესეთ, რვა გუნდში მოსახვედრად მნიშვნელოვანი საქმე შეასრულმა ბექა ტუღუშმა, ილია პავლიაშვილმა და ლევან წურწუმიამაც კარგად წარმოაჩინეს თავი. მთავარი ამოცანა შესრულებული გვაქვს და ახლა ვცდილობთ, აქცენტი შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთზე გადავიტანოთ, თავდასხმაც გავაძლიერეთ და დასაკარგიც ხომ არაფერი გვაქვს.

**- ხუთეულში მოხვედრა ცოტა თამამი განაცხადი ხომ არ არის?**

- თუ მომდევნო ორ შეხვედაში დადებით შედეგს მივაღწევთ, ეს სავსებით რეალური გახდება. კარგად გვესმის, რომ ამ მიზნის მისაღწევად საკმაოდ სერიოზულ კონკურენტებთან მოგვიწევს ბრძოლა.

**- "კოლხეთი" უპრობლემო კლუბი ჯერ არ არის, მოსამზადებელი პირობები სახარბიელო ალბათ არ აქვს......**

- სავარჯიშოდ სათადარიგო მოედანს ვიყენებთ, თუ წვიმამ არ შეგვიშალა ხელი, მთავარ მოედანზე ვვარჯიშობთ. ხშირად გვიწევს სავარჯიშოდ წასვლა "გურიას" ბაზაზე და ამისთვის ლანჩხუთელებს დიდ მადლობას ვუხდი. აუცილებელია, რომ ფოთში კარგი ხარისხის ხელოვსაფრიანი მოედანი გაკეთდეს, ამით ჩვენც ამოვისუნთქავთ და ფოთის საფეხბურთო სკოლაც. ნავსადგური შეგვპირდა ხელოვნურ მოედანს და ვნახოთ... იმედია, ფეხბურთის ფედერაციაც გაითვალისწინებს ჩვენს პრობლემას.

დაბოლოს, მადლობას გიხდით ტურის მწვრთნელად დასახელებისთვის, ეს ძალიან სასიხარულოა, პირველ რიგში ჩვენი ფეხბურთელების დამსახურებაა, ყველაფერი ასე რომ მოხდა.

**დავით თავართქილაძე**

19-წლამდელთა ნაკრები

# ორი ფრე კვიპროსთან

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ რაუნდისთვის მზადების პირველი ეტაპი დაასრულა. გუშინ **ოთარ კორღალიძის** გაწვრთნილებმა კვიპროსში ადგილობრივ 19-წლამდელთა ნაკრებთან 0:0 ითამაშეს.

შეგახსენებთ, რომ გუნდი კვიპროსში 19 მარტს გაემგზავრა და კუნძულელ თანატოლებთან პირველი ამხანაგური მატჩიც ფრედ, 1:1 დაასრულა.

ქართველი ახალგაზრდები საქართველოში დღეს დაბრუნდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზამთარი მორჩა, ჩემპიონატი ჩემპიონატს ემსგავსება



ამ მომენტში ზესტაფონელები მეკარე კვასხვაძემ გადაარჩინა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატის ტური სრულად ჩატარდა, რაც მძიმე ზამთრის შემდეგ უდავოდ ხაზგასასმელი ფაქტია. პლეი ოფშიც და პლეი აუტშიც საკმაოდ საინტერესო შეხვედრები გაიმართა და სატურნირო ცხრილშიც ისეთი მდგომარეობაა, კიდევ უფრო დაძაბული მატჩების მოლოდინს რომ აჩენს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირველად მეორე ეტაპის განმავლობაში, "ლელოს" ტურის სიმბოლური ნაკრების შედგენის საშუალება მიეცა, სადაც არ გაგიკვირდებათ, თუ ნახავთ, რომ "დინამო"-"ზესტაფონის" მონაწილენი უმრავლესობაში არიან.

მოკლედ, ჩემპიონატმა დიდთოვლობით გამოწვეული დიდი დისკომფორტი უკან მოიტოვა და ანი ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ბუნებამ კიდევ შეძლოს უმაღლესი ლიგის კალენდარზე გავლენის მოხდენა. ჩვენც ისლა დაგვრჩენია, ვისიამოვნოთ ხშირი ფეხბურთით და იმედი დავიტოვოთ, რომ ნალდ ბრძოლას უფრო ხშირად ვნახავთ, ვიდრე ბინძურ გარიგებებსა თუ უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლებს.

## პლეი ოფი: ზესტაფონი ახლოს არავის იკარებს

"დინამო"-"ზესტაფონზე" ახალი რა უნდა ვთქვათ – ბოლო წლებში ამ ორი კლუბის დაპირისპირება საქართველოს ჩემპიონატის ნამდვილ მშვენებად იქცა და მოლოდინი არც გუშინდელმა მატჩმა გაგვიცრუა. იდეალურად არც მასპინძლებს უთამაშიათ და არც სტუმრებს, თუმცა ვნახეთ მთავარი – უდიდესი შემართება და ბრძოლა გამარჯვებისთვის. "დინამოსთვის" სამი ქულის გარდა სხვა ნებისმიერი შედეგი მიუღებელი იქნებოდა, "ზესტაფონის" სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ მის სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს ფრეზე თამაში ფიქრადაც არ გაუვლიათ და მეტოქეს შეტევაში არ ჩამორჩნენ. სწორად აღნიშნა ორივე გუნდის მწვრთნელმა, რომ გამარჯვება "დინამოსაც" შეეძლო და "ზესტაფონსაც", საბოლოო ჯამში კი, ალბათ, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა, რამაც ფეროელებს საქართველოს ჩემპიონობის შენარჩუნებისკენ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაადგმევინა, "დინამოს" საჩემპიონო შანსები კი კიდევ უფრო გააფერმკრთალა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ "დინამო" ჯერ არ არის საჩემპიონო გუნდი, "ზესტაფონის" ლიდერობა კი აბსოლუტურად კანონზომიერია.

ამ მატჩის კიდევ ერთი ინტრიგა ის იყო, როგორ წარმოაჩენდნენ თავს ის ფეხბურთელები, რომლებსაც ეროვნულ ნაკრებში მოხვედრისა თუ დაბრუნების პრეტენზია აქვთ. გვარების დაუსახელებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მათმა ნაწილმა მეტ-ნაკლებად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ამასთან ისიც დავინახეთ, რომ ნაწილის სანაკრებო ამბიცია არცთუ საფუძვლიანია.

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმას, რომ ამ შეხვედრის შედეგმა ჩემპიონობის ბედზე, შესაძლოა, გადამწყვეტი გავლენაც კი იქონიოს, ახლა კი სხვა მატჩებზეც.

ჩემპიონატის უცნაური სისტემის წყალობით, "მეტალურგი", რომელსაც ქულათა ტრადიციული დარიცხვის შემთხვევაში ოქროს მედლების მოპოვების პერსპექტივა დიდი ხნის დაკარგული ექნებოდა, დღეს კვლავაც ინარჩუნებს ჩემპიონობის შანსს. ისე ხდება, რომ რუსთაველები ქულებს უმეტესად "საჭირო" მატჩებში აგროვებენ და რაკი მეორე ეტაპიც შედეგიანად დაიწყეს, ზესტაფონელთა რეალურ კონკურენტებად რჩებიან. თუკი წინა ტურში "მერანმა" "დინამოს" დიდი წინააღმდეგობა გაუწია და შთამბეჭდავი თამაშით ქულაც ალალად დაიმსახურა, ამჯერად არცთუ მაღალ დონეზე ითამაშა და ლოგიკურად დამარცხდა.

შემდეგი ტური კი, რომელიც 25 მარტს გაიმართება, ძალიან ბევრს გადაწყვეტს – ორი წყვილი მოწინავე ოთხეულით იქნება დაკომპლექტებული! ორივე ცენტრალურ მატჩს იმერეთი უმასპინძლებს. ქუთაისში "ტორპედო" და "დინამო" "ქართულ კლასიკოში" ითამაშებენ, "ზესტაფონი" კი "მეტალურგს" უმასპინძლებს და თუ ეს საკვანძო შეხვედრაც მოიგო, მისი დამწევი, ალბათ, აღარავინ დარჩება.

ოქროს მედლების თეორიულ შანსს კი ინარჩუნებს, მაგრამ "ტორპედო" ოდნავადაც არ ჰგავს საჩემპიონო გუნდს. დაგვეთანხმებით, "კოლხეთის" მიერ ქუთაისელთა ძლევა არცთუ დიდი სენსაციაა. "ტორპედოს" მიზანი გასაგებია – ქუთაისში მომავლის გუნდზე მუშაობენ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ შედეგი ამ სეზონში მეორეხარისხოვანი იყოს – ევროპის ლიგის მიღმა დარჩენა კლუბის ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის გეგმებში არ უნდა შედიოდეს. ასე რომ, მომდევნო შეხვედრებში "ტორპედოს" უფრო ხარისხიანი ფეხბურთის ჩვენება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეულში შესვლა ძალიან გაუჭირდება.

"ბაიას" ფინანსური პრობლემები თავს არ ანებებს და სწორედ ამის გამო "დილასთან" მიღწეული ფრე ორმაგად ხაზგასასმელია. ბოლო ორმა ტურმა დაგვარწმუნა, რომ გორელებს საპრიზო ადგილების ბრძოლის შანსი არ აქვთ და მთელ ძალისხმევას თასის გათამაშებისკენ მიმართავენ.

## პლეი აუტში ყველაფერი გასარკვევია

ტურის ყველაზე უხვგოლიანი მატჩი ბოლნისში გაიმართა, სადაც მაყურებელს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცალა – ორივე გუნდის შესრულებით აზრიანი ფეხბურთიც ნახა, ლამაზი გოლებიც და ემოციური დასასრულიც. "გურიამ" პლეი აუტის სასტარტო ტურებში ნათამაშებ ორ ფრეს მნიშვნელოვანი გამარჯვება მიაყოლა და ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ მისი საუმაღლესლიგო ამბიციები სავსებით საფუძვლიანია.

სამაგიეროდ, ჯერჯერობით, ვერაფრით გვაოცებს მეორე გურული კლუბი. პირველადი შთაბეჭდილებით, "მერცხალი" პლეი აუტში არაკონკურენტუნარიანია, თუმცა შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება მაინც არ უნდა ვიჩქაროთ, მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო და შანსი ოზურგეთელებსაც აქვთ.

უმაღლესლიგური და პირველლიგური წყვილების დაპირისპირება ფრედ დასრულდა. ბუნებრივია, "გაგრას", "ვიტ ჯორჯიას", "ჩიხურასა" და ბათუმის "დინამოს" გამარჯვება უნდოდათ, მაგრამ შესაძლოა, სამომავლოდ ეს თითო ქულაც ნაადგეთ.

ზოგადად, პლეი აუტში მოთამაშე უმაღლესლიგელები ურიგოდ არ გამოიყურებიან, წარმატების შანსი პირველლიგელებსაც აქვთ და წესით, ქვედა რვა გუნდისგან შემდგარმა გათამაშებამ მუხტი ბოლო ტურამდე უნდა შეინარჩუნოს – ცხადია, იმ შემთხვევაში, გაუთავებელი და ყოვლად გაუმართლებელი ექსპერიმენტები თუ არ გაგრძელდა და უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა კიდევ ერთხელ თუ არ შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზესტაფონელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო თემურ ლონლაძე იყო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## II ეტაპის III ტურის სიმბოლური ნაკრები




ეროვნული ბიბლიოთეკა

### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 16 | 10 | 4 | 2 | 29 | 13 | 34 |
| 2 | მეტალურგი | 17 | 10 | 2 | 5 | 25 | 19 | 32 |
| 3 | დინამო | 16 | 7 | 4 | 5 | 30 | 23 | 25 |
| 4 | ტორპედო | 15 | 7 | 3 | 5 | 17 | 13 | 24 |
| 5 | ბაია | 16 | 4 | 5 | 7 | 12 | 20 | 17 |
| 6 | დილა | 16 | 4 | 4 | 8 | 17 | 19 | 16 |
| 7 | კოლხეთი | 16 | 3 | 6 | 7 | 9 | 20 | 15 |
| 8 | მერანი | 16 | 4 | 2 | 10 | 14 | 26 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 13 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |

**IV ტური**

**25 მარტი, კვირა**

კოლხეთი-დილა
მერანი-ბაია
ზესტაფონი-მეტალურგი
ტორპედო-დინამო

### პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაჭ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 3 | 0 | 7 |
| 2 | გაგრა | 3 | 1 | 2 | 0 | 4 | 2 | 5 |
| 3 | გურია | 3 | 1 | 2 | 0 | 7 | 6 | 5 |
| 4 | სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 4 |
| 5 | სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5 | 4 | 3 |
| 6 | ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 |
| 7 | ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 8 | მერცხალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 |

**IV ტური**

**24 მარტი, შაბათი**

გურია-ჩიხურა

**25 მარტი, კვირა**

მერცხალი-დინამო (ბთ)
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-გაგრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ჯანო ანანიძე

# სპარტაკის თვითმკვლელობა, რას ერჩით ანანიძეს?

## გულშემატკივრის ვარაუდით, ქართველი მალე გუნდს დატოვებს

"სოვეტსკი სპორტში" არის რუბრიკა, სადაც მკითხველი ამა თუ იმ საკითხზე საკუთარ მოსაზრებას აქვეყნებს. ახლახან ამ რუბრიკაში მოსკოვის "სპარტაკზე" საინტერესო წერილს წავაწყდით.

ერთ-ერთი მკითხველი წერს მისეულ ვერსიას, თუ რატომ ვერ აღწევს წარმატებებს ბოლო წლებში მოსკოვის "სპარტაკი". ავტორი საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველის, ჯანო ანანიძის უთამაშებლობასაც შეეხო და გუნდის ხელმძღვანელობის შეხედულებები იუმორით განიხილა.

*"გუნდის შემადგენლობაში კოვალჩუკის, მაიდანისა და შეშუკოვის მსგავსი საშუალო დონის ფეხბურთელების თამაში ნორმად იქცა. ანაქრონიზმად ჩანს არა მხოლოდ "სპარტაკის", არამედ მთელი თანამედროვე ფეხბურთის სქემა, რაც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელითა და ორი საყრდენით თამაშს გულისხმობს.*

*ერთხელ გაბედეს და ორი თავდამსხმელით ითამაშეს, ამიტომაც გაყიდეს გამთამაშებლი ალექსი, რადგან არსებობს "საფრთხე", რომ გუნდი ასე შემდგომშიც მოიგებს.*

*არის კიდევ ჯანო ანანიძის საკითხი, რომელსაც თითქმის აღარ ათამაშებენ. ეტყობა, ეშინიათ, საგოლე გადაცემა არ გააკეთოსო. ალბათ, მასაც მალე სადღაც გაუშვებენ. სხვათა შორის, გუნდი მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ დედით რუს ანანიძეს ლეგიონერის სტატუსი მიანიჭეს და უცხოელებზე ლიმიტის გამო სკამზე დასვეს. გაუგებარია, რითია მასზე უკეთესი მახმუტოვი. დიდი შანსია, ჯანო ფსიქოლოგიურად გატყდეს და "ყურები ჩამოყაროს". თქვენ იტყვით, რომ ეს შეთქმულების თეორიაა? მაგრამ ფაქტია. გაიხსენეთ, ვილაცის გაუგებარი გადაწყვეტილება, როდესაც 2007 წელს "სატურნთან" გადამწყვეტ მატჩში სათადარიგოებში დასვეს ტორბინსკი. შედეგად მივიღეთ 0:0 და ჩემპიონი სხვა კლუბი გახდა. რა თქმა უნდა, შემდეგ ტორბინსკი წავიდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ფოფხაძე გამოჯანმრთელდა

## ქართველთა სათასო ამბები

**გიორგი ფოფხაძე** გრაცის "შტურმს" ტრავმით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. მისმა გუნდმა "ინსბრუკს" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა, ქართველმა მცველმა კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო და ყვითელი ბარათი მიიღო. ამ გამარჯვების მიუხედავად, "შტურმის" სატურნირო მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა – ავსტრიის მოქმედი ჩემპიონი 10-გუნდიან ბუნდესლიგაში მე-6 ადგილზეა და მხოლოდ ევროპის ლიგაზე გასვლის შანსს ინარჩუნებს.

რუსეთის თასის მეოთხედფინალში ყაზანის "რუბინმა" მოსკოვის "ლოკომოტივს" უმასპინძლა და დედაქალაქელები 4:0 გაანადგურა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, **საბა კვირკველია** "რუბინის" განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე გასვლის შესაძლებლობა არ მიეცა.

თურქეთის თასს მერვედფინალიდან გამოეთიშა "სამსუნსფორი", რომელიც სტუმრად "ფენერნახჩესთან" 0:3 დამარცხდა. **აკაკი ხუბუტია** თავიდან ბოლომდე იჯდა "სამსუნის" სათადარიგოთა სკამზე.



გიორგი ფოფხაძე (მარჯვნივ)

**დავით კვირკველიას** "ანორთოსისის" შემადგენლობაში თამაშის საშუალება არც ამჯერად მიეცა – გამოცდილი ქართველი მცველი სათადარიგო იყო, მისი გუნდი კი კვიპროსის თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. "ანორთოსისმა" ორრაუნდიანი დაპირისპირების პირველი მატჩი სტუმრად 0:1 წააგო, შინ კი 2:1 გაიმარჯვა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა.

"ეთნიკოსმა" პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა სტუმრად გამართა "ოლიმპიაკოსთან" და 1:0 გაიმარჯვა. **ლევან მაღრაძემ** "ეთნიკოსის" მაისურით სრულად ითამაშა, **ლევან ქებაძე** კი განაცხადში არ ყოფილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ნუკრი რევიშვილი

# ვის არ მოსვლია!

## რევიშვილი მწვრთნელმა გაამხნევა

"კრასნოდარმა" რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში ნიჟნი ნოვგოროდში "ვოლგას" 2:1 სძლია. საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** რამდენჯერმე ძალიან რთული დარტყმა მოიგერია, მაგრამ კურიოზული გოლი გაუშვა: "ვოლგას" შემტევმა ნახევარმცველმა **შოთა ბიბილოვმა** 25 მეტრიდან დაურტყა, ბურთი კარის წინ დაეცა, წამიერად მიმართულება შეიცვალა და ნუკრიმ ბურთი ვერ შეიმაგრა.

როდესაც მეკარე იოლად ასაღებ ბურთს უშვებს, ცხადია, მას ვერავინ გაამართლებს, მაგრამ ინტერნეტ-გაზეთმა "სპორბოქს.რუ"-მ უტაქტო და ცინიკური შენიშვნა გააკეთა: *"პიკანტური გოლი გაუშვა ნიჟნი ნოვგოროდში ნუკრი რევიშვილმა. ნუთუ მან არ იცის, რომ საქართველოს ნაკრებიდან მისი მეგობრები "ვოლგაში" აღარ თამაშობენ?"*

მათგან განსხვავებით, ქართველ მეკარე "კრასნოდარის" მთავარმა მწვრთნელმა **სლავოლუბ მუსლინმა** გაამხნევა. ამაზე წერს "ჩემპიონატ.რუ", რომელმაც 35-ე ტურის მოვლენებში ნუკრის ბოდიში დაასახელა.

### ტურის ბოდიში

"კრასნოდარის" მეკარემ პარტნიორებთან "ვოლგასთან" გაშვებული გოლის გამო მოიბოდიშა.

ეს მედიასთან "კრასნოდარის" მთავარმა მწვრთნელმა სლავოლუბ მუსლინმა თქვა: *"ასეთი რამ ყველა მეკარეს შეიძლება შეემთხვას, ჩვენ ყველანი ვცდებით. ასე რომ, საშინელება არ მომხდარა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი. საქართველოს ჩემპიონატი

# მოედანზეა... გუნდის პრეზიდენტი

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურის შეხვედრები ასე დასრულდა:

| | |
|---|---|
| თსუ-სატრანსპორტო კომპანია | 16:3 |
| აჭარა-იბერია სტარი | 1:17 |
| იმერეთი-უნივერსიტეტი | 7:4 |
| ალგო-თელასი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია სტ. (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 34-4 | 9 |
| 2. თ.ს.უ. (თბ) | 3 | 2 | 0 | 1 | 24-11 | 6 |
| 3. თელასი (თბ) | 3 | 2 | 0 | 1 | 21-9 | 6 |
| 4. იმერეთი (ქუთ) | 2 | 2 | 0 | 0 | 17-9 | 6 |
| 5. ალგო (თბ) | 2 | 1 | 0 | 1 | 11-6 | 3 |
| 6. უნივერსიტ. (თელ) | 3 | 1 | 0 | 2 | 11-20 | 3 |
| 7. სატრანსპ. კომპ. | 3 | 0 | 0 | 3 | 9-38 | 0 |
| 8. აჭარა (ბთ) | 3 | 0 | 0 | 3 | 6-36 | 0 |

**მომდევნო ტური**

**24 მარტი**

სატრანსპ. კომპანია - უნივერსიტ.
თელასი - იმერეთი
თსუ-აჭარა
იბერია სტარი-ალგო

ტური ქუთაისში გაიმართა და სახალისო ამბავი მოხდა: "იბერია სტარს" ბათუმის "აჭარასთან" არ ჰყავდა 4 ტრავმირებული მოთამაშე: კაპიტანი **გოგა ალთუნაშვილი, დავით ლუკავა, რონინიო** და **ბეტინიო**. ამიტომ შემადგენლობაში კლუბის პრეზიდენტმა **ვატო წერეთელმა** ითამაშა, რომელიც ოფიციალურ მატჩებში 1 წელი არ გასულა მოედანზე. მიუხედავად ამისა, მან 2 გოლი გაიტანა და კიდევ 8 საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

ფუტსალის გამგეობის წევრმა **გიორგი დარჯანიამ** უეფადან მოსული ინფორმაცია გაგვაცნო: წელს უეფას თასის მეინ რაუნდი ჩატარდება 4-9 სექტემბერს, ელიტ რაუნდი კი, ნაცვლად ნოემბრისა, 9-14 ოქტომბერს გაიმართება. მიზეზი ის არის, რომ ნოემბერში ტაილანდი მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ჩიხრაძე

## ინტერის პრეზიდენტი:

# გიორგი ჩიხრაძეს ადრეც ინვევდნენ

ცნობილია, რომ მცირე ხნის წინათ, საქართველოს ნაკრები ყოფილი მცველი და თბილისის "ამერის" ყოფილი დამრიგებელი **გიორგი ჩიხრაძე** ზაქათალას "სიმურგის" მთავარი მწვრთნელი გახდა.

ბაქოს "ინტერის" ბულგარელმა პრეზიდენტმა **გეორგი ნიკოლოვმა** "აპასპორტ.აზ"-თან ინტერვიუში საინტერესო ამბები გაამხილა.

*"დიდი ხანია, კახა ცხადაძის თანაშემწეს, გიორგი ჩიხრაძეს ჩვენი გუნდიდან წასვლა შეეძლო. ზაქათალელებმა მას წინადადებით ჯერ კიდევ მაშინ მიმართეს, როდესაც გუნდი გეიკო ხაჯიევსკიმ დატოვა. მაშინ ჩიხრაძემ "ინტერში" დარჩენა გადაწყვიტა. სეზონის დასაწყისში "სიმურგის" მთავარ მწვრთნელად სერგეი იურანი იმიტომ დანიშნეს, რომ გიორგისთან მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა. ამჯერად კი მას საბოლოოდ მიმართეს – ან მიიღე ჩვენი წინადადება, ან სხვა მწვრთნელს მოვძებნითო და ჩიხრაძე დათანხმდა.*

*საჭიროდ არ ვთვლით, რომ ახლა მის შემცვლელად ვინმე დავნიშნოთ. მიგვაჩნია, რომ ცხადაძე ჩიხრაძის გარეშეც იმუშავებს. ამავე დროს, ჩვენ სხვა მზარდი მწვრთნელებიც გვყავს. ასეთ დროს, სხვა სპეციალისტის მიყვანა და მისი გუნდის სისტემასთან ადაპტირების საჭიროებას ვერ ვხედავთ. საამისოდ, ნებისმიერ ახალს დრო დასჭირდება"* – ამბობს ნიკოლოვი.

**მერაბ მამულაშვილი**

პრემიერლიგა. XXIX ტურის გამოხმაურება

# ლიდერების აკორდი



სიტი-ჩელსი. აგუეროს პენალტი

## ველარ გაძლო

**როზერტო დი მატეოს** ხელმძღვანელობით "ჩელსის" 4-დან 4 თამაში ჰქონდა მოგებული და გამარჯვების შანსი "ეტიჰადზეც" ჰქონდა. "ლურჯებმა" "ქალაქელთა" შეტევებს ბოლოს ველარ გაუძლეს და დაეცნენ. სამწუხაროა, მაგრამ ლონდონელთა საჩემპიონთალიგო პერსპექტივები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა, რადგან უშუალო კონკურენტთაგან "არსენალმა" იმარჯვა, "ტოტენჰემმა" კი ქულა აილო.

**რობერტო მანჩინი** გულშემატკივარს ამას წინასწარ შეჰპირდა – 6-თვიანი პაუზის შემდეგ **კარლოს ტევესი** სათადარიგოთა შორის აღმოჩნდა. არგენტინელი გამოვიდა და დაამტკიცა, რომ "სიტიში" ის ზედმეტი კაცი არ არის. სწორედ მისი გენიალური გადაცემის შემდეგ გაიტანა გამარჯვების ბურთი **სამირ ნასრიმ.** მასპინძელთა იტალიელმა თავკაცმა იოლად გადაჭრა საკადრო პრობლემებიც, როცა ორი წამყვანი ცენტრალური მცველის (**ლესკოტი, კომპანი**) გარეშე დარჩენილმა მათ ადგილას **კოლო ტურე** და **მიკა რიჩარდსი** დააყენა. წინასწარ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ "სიტის" მძიმე თამაში ელოდა. მან ეს გამოცდა ღირსეულად ჩააბარა და "ეტიჰადზე" 15 თამაშიდან მე-15 მოიგო, რითაც მიჯრით მოპოვებული საშინაო გამარჯვებების საპრემიერლიგო რეკორდი დაამყარა.

მასპინძლებს ანგარიშის გახსნა დებიუტშივე შეეძლოთ: **იაია ტურეს** გრძელი პასის შემდეგ კარში ნასრი ურტყამდა - ფრანგმა ხარიხას გაარტყა. თავის გამოჩენა შეეძლო **მარიო ბალოტელისაც,** თუმცა იტალიელმა მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა. მანჩინიმ მეორე ნახევარში ის **გარეთ ბერით** შეცვალა, წინა ხაზზე კი **კუნ აგუერო** დატოვა. ნასრიმ მე-60 წუთზე მეორედ გაარტყა ხარიხას. ამის შემდეგ წუთიც არ იყო გასული, რომ "ჩელსის" მიერ შექმნილი პირველი რეალური მომენტი გოლით დაგვირგვინდა. საჯარიმოში ბურთი კეჰილს მიუვიდა. ცენტრალური მცველის დარტყმა იაია ტურეს მოხვდა, მიმართულება ცოტათი შეიცვალა და ბადეში გაახვია – 0:1. სიტუაცია გადასარჩენი გახდა. ეს მისია ტევესს დაევალა. 77-ე წუთზე **პაბლო საბალეტას** ჩაწოდება **მიკაელ ესიენს** ხელზე მოხვდა. აგუერომ პენალტი იდეალურად დაარტყა – 1:1. "სიტიმ" ზეწოლა ამის მერეც განაგრძო. ყველაფერს წერტილი 85-ე წუთზე ნასრი-ტევესის კომბინაციამ დაუსვა, რომელზეც შესავალშივე მოგახსენეთ.

## ვერმალენის მესამე ადგილი

"არსენალის" ბელგიელი ცენტრალურ მცველ **ტომას ვერმალენს** ზედიზედ მეორე მატჩია, გუნდისთვის გადამწყვეტ გოლები გააქვს. **დევიდ მოიესს** წამყვანი ფეხბურთელები **ჯეკ როდუელი, დარონ გიბსონი** და **შეიმუს კოულმენი** დაუშავდა, რამაც მერსისაიდელთა შუახაზი საგრძნობლად დაასუსტა. არ იყო **ფილ ნევილიც.** "მეთოფეებს" კი "ნიუკასლთან" მოგებული მატჩის შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ჰქონდათ - **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** ნაცვლად ძირითადში **აარონ რემსი** გამოჩნდა. **არსენ ვენგერმა** ორი სუფთა თავდამსხმელი დააყენა ძირითადში. თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო. სადებიუტო წუთებში ორჯერ შეეძლო გატანა რემსის, მაგრამ უელსელმა ორჯერვე ძალიან მაღლა დაარტყა. ანგარიში მაინც მალე გაიხსნა. **რობინ ვან პერსის** კუთხურისას ვერმალენმა ბურთისთვის ბრძოლა მასზე 10 სმ-ით მაღალ **მარუან ფელაინის** მოუგო და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. მე-10 წუთზე შეეძლო ანგარიშის გაზრდა თავად ვან პერსის. **ტიმ ჰოვარდმა** ჰოლანდიელის დარტყმა ფეხით მოიგერია. შეტევით ძირითადად სტუმრები უტევდნენ, თუმცა ხანდახან სახიფათო მომენტებს "ევერტონიც" ქმნიდა. 31-ე წუთზე **როისტონ დრენტემ** შეძლო გატანა, მაგრამ არბიტრმა **ლი მეისონმა** თამაშგარეს გამო არ ჩათვალა. გამეორებაზე აშკარად გამოჩნდა, რომ ის უხეშად შეცდა. ასეთი კარგი შანსი "ლურჯებს" თამაშის ბოლომდე აღარ მისცემიათ. მეორე ნახევარში "ევერტონმა" ცოტა ტემპსაც მოუმატა და გუნდურადაც უფრო მეტად ირჯებოდა, მაგრამ **ვოიცეხ შჩესნის** თამაშის გადასარჩენად საქმე მხოლოდ ერთხელ დაუდგა. სტუმარი მთლიანად კონტრშეტევებზე იყო გადართული. ერთ-ერთი ასეთი გაქცევის დროს **კირან გიბსის** პასის შემდეგ ვან პერსიმ ხარისხას გაარტყა. თამაშის შემდეგ ბევრი დაიწერა, რომ "ევერტონი" წაგებას არ იმსახურებდა, არბიტრის შეცდომა რომ არა, არავინ იცის რა მოხდებოდაო, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე ძალიან გვიანია.

## რომ არა ვან დერ ვაარტი...

"ტოტენჰემის" თამაში "არსენალზე" 15 წუთით გვიან დაიწყო. ასე რომ, როცა "მეთოფეები" გასახდელში დაბრუნდნენ, პირდაპირ ეთერში შეეძლოთ ეყურებინათ, როგორ აგებდა თამაშს მათი უშუალო კონკურენტი ლამის ბოლო წამამდე. **ჰარი რედნაპმა** მეტოქეს ახალი, პრინციპში, ვერაფერი შესთავაზა. "დეზები" პირველ ტაიმში უფრო სუსტები იყვნენ, როცა მომენტებს კი ქმნიდნენ, მაგრამ უფრო ეპიზოდურად და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე. მაგალითად **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** მოჰპარა ბურთი **პალასიოსს,** თუმცა საჯარიმოს გარედან დარტყმა ცოტა სუსტი გამოუვიდა, შემდეგ **მოდრიჩს** შეეძლო მახვილი კუთხიდან კარის აღება, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. **ლუის საამაც** შორიდან დააქუხა, მაგრამ **ასმერ ბეგოვიჩმა** აუღო. "სტოკ სიტის" დაცვაში სერიოზული ნაპრალის პოვნა მეორე ტაიმშიც არ იყო იოლი საქმე, თუმცა ჯერმეინ დეფოს მოედანზე გასვლის შემდეგ ბეგოვიჩის კართან ტემპერატურამ ცოტა კიდევ იმატა. ანგარიშის გახსნა შეეძლო **გარეთ ბეილს,** არ გამოუვიდა - უელსელმა 25 მეტრიდან ბურთი ხარისხას გაარტყა. "სტოკმა" თავისი გოლი მოულოდნელად შეაგდო. ჯარიმიდან **ჯერმეინ პენანტის** ჩაწოდებული თავზე **რობერტ ჰუთმა** მოიგო, რიკოშეტის შემდეგ ის კარში წავიდა და **კემერონ ჯერომმა** ნახტომში მისცხო ფეხი. მასპინძლები საბოლოო შტურმზე წავიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ თამაში თავის თავზე მთლიანად გარეთ ბეილმა აილო, რადგან კარში მხოლოდ ის ურტყამდა. მართალია, თავად ვერ გაიტანა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე წამებით ადრე საგოლე გადაცემა კი გამოუვიდა – ვან დერ ვაარტმა ჰუთს ბრძოლა მეორე სართულზე მოუგო – 1:1.

## დაბრუნება ლოფტუს როუდზე

"ლოფტუს როუდზე" "ლივერპული" დიდი იმედებით გავიდა სათამაშოდ, რადგან "წითლებმა" ჯერ ქალაქური დერბი მოიგეს, მერე ასოციაციის თასზეც იმარჯვეს. "მეფე კენის" ბიჭები წელს ძალიან არასტაბილურები არიან და თუ ამ ლოგიკით გავყვებით, ისევ წაფორხილების დრო ედგათ. პირველი გოლი კუთხურის გათამაშების შემდეგ შექმნილ არეულობას მოჰყვა. მცველებმა ბურთი ცუდად გამოიტანეს, **კოატესმა** კი ულამაზესი მაკრატელა დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე გოლიც "ქუინზ პარკის" დაცვის შეცდომას მოჰყვა - **დირკ კუიტმა** დასწრებაზე ითამაშა. ამის შემდეგ "ლივერპულის" რას აკეთებდა, ძნელი სათქმელი იყო. **დერიმ** კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს შეუშვირა თავი, **ჯიბრილ სისემაც** თავურით დაამწუხრა ყოფილი გუნდი, 29-ე ტურის საფინალო აკორდი **ჯეიმი მაკიმ** დასვა, როცა **ხოსე ენრიკესა** და **მარტინ შკრტელის** შეცდომის წყალობით რეინასთან პირისპირ დარჩა და თამაშს წერტილი დაუსვა.

მემორანდუმი

# კლუბები პოზიციას იმყარებენ

ჩვენი გაზეთი ამ საკითხზე უკვე წერდა და ახლა, როცა დოკუმენტი ოფიციალურად უკვე გაფორმებულია, მას მოკლედ მივუბრუნდებით. სტამბოლში უეფას კონგრესზე **მიშელ პლატინიმ** და ევროპული საფეხბურთო კლუბების ასოციაციის ხელმძღვანელმა **კარლ ჰაინც რუმენიგემ** "ურთიერთგაგების მემორანდუმს" მოაწერეს ხელი. დოკუმენტის თანახმად აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა კიდევ უნდა გაღრმავდეს. უეფა მნიშვნელოვან ვალდებულებებს იღებს თავის თავზე. ეს ორგანიზაცია ივნისიდან სანაკრებო თამაშებისას ფეხბურთელების ჯანმრთელობის რისკებს დააზღვევს. დაზღვევა იმოქმედებს აბსოლუტურად ყველა ოფიციალურ და ამხანაგურ თამაშზე, რომელიც საერთაშორისო კალენდრით იქნება გათვალისწინებული. ამას გარდა, კლუბები ევროპის ჩემპიონატის შემოსავლებიდან დამატებით 100 მილიონ ევროს მიიღებენ. ევრო 2016-ის შემდეგ ეს თანხა 150 მილიონამდე გაიზრდება. შემუშავებულია ახალი საერთაშორისო კალენდარი, რომელიც დასამტკიცებლად მალე ფიფას აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცემა. გრაფიკი ითვალისწინებს ცხრა ორმატჩიან სანაკრებო დაპირისპირებას, რომელიც 2 წელიწადზეა გადანაწილებული. სერიოზული "სეკვესტრი" ელოდება ამხანაგურ სანაკრებო შეხვედრებს. მაგალითად, აგვისტოში ასეთი ფანჯარა საერთოდ გაუქმდება. ამას გარდა, კლუბებს ამიერიდან უეფას გადაწყვეტილებებზე მეტი ზეგავლენის მოხდენის საშუალებაც მიეცემათ. უეფას შესაბამისი კომიტეტი მომავალში მხოლოდ მათი წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და უფლება მიეცემა, უეფას კლუბებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუბრუნოს ხელახლა განსახილველად.

*"დღეს ევროპული საკლუბო ფეხბურთისთვის ისტორიული დღეა. ამ მემორანდუმში უეფა ცნობს კლუბების უდიდეს როლს, რომელიც ჩვენ სანაკრებო ფეხბურთის განვითარებაში შეგვაქვს. ამიერიდან კლუბებსა და ნაკრებებს შორის მეტი ბალანსი იქნება, რაც, ვფიქრობ, ზოგადად ევროპული ფეხბურთის დიდი გამარჯვებაა. მინდა მადლობა ვუთხრა პრეზიდენტ პლატინის, რომელიც თავადაც იყო დაინტერესებული ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერით,"* – განაცხადა კარლ ჰაინც რუმენიგემ.




კარლ ჰაინც რუმენიგე (მარცხნივ) და მიშელ პლატინი შეთანხმებას ხელს აწერენ

ამბები

## ნანი და ჯონსი ბრუნდებიან

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის **ალექს ფერგიუსონის** თქმით, ამ უქმეებზე ტრავმებით განამებული **ფილ ჯონსსა** და **ნანის** უკვე შეეძლებათ გუნდის დახმარება. თუმცა წინასწარ იმის განსაზღვრა, ფეხბურთელები ძირითადში იქნებიან თუ სათადარიგოთა სკამზე მოხვდებიან, შეუძლებელია. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელმა "იუნაიტედის" ბოლო სამი თამაში გამოტოვა, ინგლისელს კი ამჯერად საშინელი გრიპი და მაღალი სიცხეები აწუხებდა. *"ტრავმების მხრივ ჩვენ პრობლემა უკვე აღარ გვაქვს. ჯონსი რახანია მომჯობინდა. წინა ხუთშაბათის ვარჯიშზე ის უკვე მზად იყო, მაგრამ კვირას "ვულვზთან" მისი დაყენება მაინც გავრისკე. აი, "ფულჰემთან" კი ის 100%-ით მზად იქნება. ნანიზე იმის თქმა შემიძლია, რომ ორიოდე დღეში დაუბრუნდება სრულფასოვან ვარჯიშებს. დიდი ხნით მხოლოდ ანდერსონი და ოუენი დაგვაკლდებიან. ფლეტჩერსა და ვიდიჩს აღარც გავიხსენებ. მათ დაბრუნებაზე ლაპარაკი ძალიან ადრეა,"* – უთხრა ფერგიუსონმა "იუნაიტედის" ვებგვერდს.



ნანი

## ბარტონი ფანებით უკმაყოფილოა

"ქუინზ პარკის" 29 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს** "ქუინზ პარკი"-"ლივერპულის" მატჩის (3:2) დასრულების შემდეგ ფანებისადმი უკმაყოფილება არ დაუმალავს. ფეხბურთელმა მათდამი საყვედური "ტვიტერში" თავად გამოთქვა: *"ლივერპულთან" საშინლად ვითამაშე. ალბათ ეს ყველაზე ცუდი მატჩი იყო, რაც კი ოდესმე ჩამიტარებია, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ. ყველაზე მეტად გულშემატკივართა გამო ვარ გულნატკენი. ჩვენ აუცილებლად უნდა გავერთიანდეთ. ეს მყვირალა ხალხი მე ვერ გამტეხს, რადგან ცხოვრებაში უარესი მომენტებიც გადამიტანია. კმარა ამდენი ნეგატივი. როგორი შედეგი და როგორი სურვილი აჩვენა გუნდმა. არალოიალურად განწყობილი ხალხი კი მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენ გვისტვენდა".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

# ნეაპოლმა ლიგა დაივიწყა
## წინ ხომ დიდი ფინალია

**ნაპოლი–სიენა 2:0 (1:2)**

**გოლები:** 1:0 ვერგასოლა (10-საკ. კარში), 2:0 კავანი (31).

ფინალში ნამდვილი სამხრეთი VS ჩრდილოეთი გველის, რადგან ერთმანეთის პირისპირ ნეაპოლის "ნაპოლი" და ტურინის "იუვენტუსი" წარდგებიან. ეს იქნება უდავოდ დიდი მატჩი, ემოციებით ალსავსე, რომლის პროგნოზირება და თუნდაც გარკვეული ვარაუდების გაკეთება, ურთულესი საქმეა. ფინალური მატჩი რომის ოლიმპიურ სტადიონზე შედგება, რომლის ტრიბუნებიც ორად გაიყოფა ტურინელი და ნეაპოლელი ტიფოზებით – მოკლედ, წინ დიდი თამაში გველის და მერე რა, რომ მხოლოდ იტალიის თასი დევს სასწორზე – გვერწმუნეთ, მარადიულ ქალაქში დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

რაც შეეხება "ნაპოლი"-"სიენას" ნახევარფინალურ წყვილს, გამარჯვება ფავორიტს დარჩა და თუ ამას ფინალური მატჩის ჭრილში შევხედავთ, ნეიტრალური გულშემატკივრებისთვის ძალიან კარგი ამბავია. აბა, სად "ნაპოლი" – "იუვეს" ჯახი და სად "იუვე—"სიენა"... ამ უკანასკნელის მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად.

პირველი მატჩი "სიენას" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა, თუმცა ფავორიტად მაინც "ნაპოლი" რჩებოდა და გამართლდა კიდეც საყოველთაო მოლოდინი – ნეაპოლელებმა პირველივე ტაიმში გაუტანეს ტოსკანელებს ორი გოლი და შესვენებაზე უკვე ფორით გავიდნენ. ანტრაქტის შემდეგ, სტუმრებმა სცადეს თამაშში გარდატეხის შეტანა, რამდენიმე მეტ-ნაკლებად მწვავე იერიშიც გამოაცხვეს, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. რაც შეეხება გოლებს, ერთი ტოსკანელებმა საკუთარ კარში გაიტანეს, მეორე კი **ედინსონ კავანის ანგარიშზეა** – ნეაპოლელთა მრავალსვიანი კომბინაცია **მარეკ ჰამშიკის** ჩაწოდებით და ურუგვაელი ფორვარდის უზუსტესი თავურით დაგვირგვინდა...

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ "სტადიო სან პაოლოზე" ფანტასტიკური ატმოსფერო იყო შექმნილი და ფეხბურთელებმა ფინალში გასვლა გადაჭედილი ტრიბუნების ფონზე იზეიმეს. ნეაპოლელმა ტიფოზებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ფეხბურთელებს და აგრძნობინეს მათ, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით ცხოვრება არ მთავრდება. მატჩის შემდეგ, სამხრეთელები შესანიშნავ განწყობაზე იყვნენ და დროა, სიტყვა მათ გადავცეთ...

**მატჩის შემდეგ**

**ვალტერ მაცარი:** "შესანიშნავი შეხვედრა ჩავატარეთ და სრულიად დამსახურებულად გავედით ფინალში. ვამაყობ შეგირდებით, რომლებმაც ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს და კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ უმაღლესი პროფესიონალები არიან. ბედნიერი ვარ, რომ ფინალში "იუვენტუსთან" მოგვიწევს შეჭიდება, რადგან ეს იქნება განსაკუთრებული, საოცარი დაპირისპირება, რომელშიც ღირსეული გაიმარჯვებს. დარწმუნებული ვარ, რომის ოლიმპიური სტადიონის ნახევარს ნეაპოლელი ტიფოზები დაიკავებენ და მათ გასახარად ყველაფერს გავაკეთებთ. დღეს, გულშემატკივრებმა ნამდვილად მეთორმეტე მოთამაშის როლი შეასრულეს და მათგან დავალებულები ვართ. ამასთან, ფინალში გასვლით ჩვენ უკვე დავიბევეთ ევროსაგზური, რაც სახუმარო ამბავი ნამდვილად არ არის".

**ედინსონ კავანი:** "მართალია, ეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი არ არის, მაგრამ გამარჯვებამ მაინც უზომოდ გაგვახარა. იტალიის თასის მოგება ჩვენი ერთ-ერთი მიზანი იყო და მიხარია, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ფინალში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა და ერთი სული მაქვს, როდის გავალ რომის ოლიმპიური სტადიონის გაზონზე. აქვე, მეტოქე მინდა შევაქო, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა და მთლიანობაში, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება "იუვენტუსთან" დაპირისპირებას, აქედანვე ცხადია, რომ ურთულესი ბრძოლა გველის, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

**აურელიო დე ლაურენტისი (ნაპოლის პრეზიდენტი):** "სეზონის წინ, სამი რამ დავისახეთ მიზნად: 1. ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული ასპარეზობა; 2. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება; 3. იტალიის თასის მოპოვება; ჯერჯერობით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და შესაბამისად, ძალიან გახარებული ვარ. ვერავინ იტყვის, რომ "ნაპოლიმ" ჩემპიონთა ლიგაში ცუდად იასპარეზა, დარჩენილ ორ მიზანთან კი საკმაოდ ახლოს ვართ. განსაკუთრებული მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც მხარდაჭერა გამოუცხადეს გუნდს და სტადიონზე საოცარი ატმოსფერო შექმნეს – მინდა იცოდნენ მათ, რომ "ნაპოლის" პროგრესი უკვე შეუქცევადი პროცესია".



ედინსონ კავანი ვერც "სიენას" მცველებმა შეაჩერეს

● ინტერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანჩესკო გვიდოლინი

# გვიდოლინი ინტერში?
## მწვრთნელი უარყოფს, მაგრამ...

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი იტალიურ საფეხბურთო სამყაროში "ინტერის" სამწვრთნელო სკამია და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდს **კლაუდიო რანიერი** უდგას სათავეში და მის გაშვებას ჯერჯერობით არავინ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, "ნერაძურის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** რანიერის სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და ყველას გასაგონად თქვა, რომ არსებულ კრიზისში მწვრთნელი ყველაზე ნაკლებად არის დამნაშავე. მიუხედავად ამისა, აპენინელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ რანიერის სეზონის დასრულებისთანავე მოუწევს პოსტის დატოვება, მის ადგილს კი სხვა სპეციალისტი დაიკავებს. რამდენიმე კანდიდატის გვარი აქედანვე სახელდება და ერთ-ერთი მათგანი "უდინეზეს" ამჟამინდელი თავკაცი **ფრანჩესკო გვიდოლინია.**

"ბიანკონერიმ" გვიდოლინის ხელში დიდი პროგრესი განიცადა და მაღალი ადგილებისთვის მებრძოლ გუნდად ჩამოყალიბდა – აგერ უკვე მერამდენე წელია, ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს და გასულ სეზონში სულაც მიაღწია სანადელს. მართალია, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა... ერთი სიტყვით, გვიდოლინის ხელში "უდინეზემ" სერიოზული პროგრესი განიცადა და შესაბამისად, მწვრთნელს ფასი დაედო.

გვიდოლინის "ინტერის" მთავარ მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის შესახებ მილანური გრანდის მესვეურები კომენტარს არ აკეთებენ, თავად მწვრთნელი კი რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლა: "მე "ინტერის" სათავეში? – რა გითხრათ აბა, როდესაც ამაზე არც კი მიფიქრია. "უდინეზეს" მთავარი მწვრთნელი ვარ და დიდი ალბათობით, ეს ჩემი ბოლო გუნდია იტალიაში და შესაძლოა, მსოფლიოშიც კი".

მიუხედავად გვიდოლინის ასეთი კომენტარისა, იტალიელი ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ "ინტერის" მესვეურებსა და მწვრთნელს შორის მოლაპარაკება შედგება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

● სავარაუდო ტრანსფერი

# კვალიარელას ლაციო უმიზნებს

**ფაბიო კვალიარელამ** ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში და დიდი ალბათობით, ზაფხულში კლუბის გამოცვლა მოუწევს. ამ ამბავს თვით **ანტონიო კონტე** არ გამორიცხავს და დასძენს, რომ ჯერჯერობით, ფაბიო ვერ ჩაეწერა მის მონახაზში. როდესაც მწვრთნელი ასეთ რამეს ამბობს, იქ უკვე ყველაფერი ცხადია და ძნელად წარმოსადგენია, რომ ვითარება შეიცვალოს – ანუ ფაბიომ ზაფხულში ახალი გუნდი უნდა მოძებნოს.

აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ კვალიარელას გადაბირებით "ლაციოს" მესვეურები არიან დაინტერესებულნი და ტურინელ კოლეგებთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ. აქვე ვთქვათ, რომ 29 წლის ფორვარდს "იუვენტუსთან" 2014 წლის 1-ელ ივნისამდე აკავშირებს კონტრაქტი და თუ საქმე საქმეზე მიდგა, რომაელებს მასში სავარაუდოდ 10 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ... ყოველ შემთხვევაში, ასეთია ფაბიოს საბაზრო ღირებულება და დანარჩენი უკვე მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.

ამ საკითხზე კომენტარი "ლაციოს" სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** გააკეთა და შემდეგი განაცხადა: "მიროსლავ კლოზესა და ფაბიო კვალიარელას ტანდემი შესანიშნავი სანახავი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. ისე, ვადასტურებ, რომ ზაფხულში მაღალი კლასის ფორვარდის გადაბირებას ვგეგმავთ და ერთ-ერთი სამიზნე სწორედ კვალიარელაა. მის თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები და პირადად ჩემი აზრით, შესანიშნავად ჩაეწერებოდა "ლაციოს" მონახაზში. ამასთან, უნივერსალია და თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ფლანგზე, ისე ცენტრფორვარდის პოზიციაზე. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ფაბიოს გადაბირებაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა".

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ფაბიო კვალიარელა

● მილანი

# მილანს ლაზარეთი შეუთხელდა





ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიაგო სილვა "რომასთან" ითამაშებენ

"მილანის" ლაზარეთი რომ მუდმივად სავსეა, ძველი ამბავია და ამ თემაზე არაერთხელ დაგვიწერია. იტალიის თასის ნახევარფინალური ეტაპის განმეორებით პაექრობაში ლომბარდიულ გრანდს კიდევ ორი მოთამაშე დაუშავდა, რამაც გუნდის გულშემატკივრები გვარიანად შეაშფოთა – თანაც, რა მოთამაშეებზეა ლაპარაკი: **ტიაგო სილვასა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე**. ეს უკანასკნელი სულაც შესაცვლელი გახდა და მეორე ნახევარში მის ნაცვლად **მაქსი ლოპესი** ჩაერთო თამაშში. ბუნებრივია, რომ ჟურნალისტები დაშავებუ;ლთა ბედით დაინტერესდნენ და ვითარებაში გასარკვევად თვით კლუბის ვიცე-პრეზიდენტს, **ადრიანო გალიანის** დაუკავშირდნენ... დაუკავშირდნენ და ისეთი ამბები გაიგეს, "როსონერის" გულშემატკივრებს ძალიან რომ გაახარებთ – მოვუსმინოთ გალიანის:

"საბედნიეროდ, იბრაჰიმოვიჩის და ტიაგო სილვას ტრავმები მსუბუქი გამოდგა და უკვე მწყობრში არიან. შესაბამისად, სერია A-ს მომდევნო ტურში "რომას" წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებენ, თუ რა თქმა უნდა, ამას მწვრთნელი მოიწონებს. ეგ კი არა, ნელ-ნელა სხვა დაშავებული ფეხბურთელებიც გვიბრუნდებიან, რაც ძალიან მახარებს. სავარაუდოდ, "რომასთან" მატჩის განაცხადში მოხვდებიან ალექსანდრ მერკელი, ალესანდრო ნესტა და კევინ პრინს ბოატენგი – მათი სახით, უდიდესი ძალა გვიბრუნდება".

● რეინჯერსი




# მყიდველთა რიგი აიბროქსზე

გლაზგოს "რეინჯერსის" პრობლემების შესახებ იმდენად ხშირად ვწერთ, რომ ცოტაც იქნება და მკითხველს ალბათ თავს მოვაბეზრებთ. თუმცა "ჩაფრების" თაყვანისმცემელთათვის კარგი ინფორმაცია გვაქვს: დიდი მანჩესტერის სარაგბო კლუბ "სეილ შარქსის" მფლობელმა, ინგლისელმა მულტიმილიონერმა **ბრაიან კენედიმ** "რეინჯერსის" შეძენა სერიოზულად გადაწყვიტა. ამ მიზნით ის გლაზგოს უკვე ეწვია, დაათვალიერა "აიბროქსი", სავარჯიშო ცენტრი "მიურეი პარკი" და კლუბის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გამართა. მან **ალი მაკოისტს** განუცხადა, რომ შესაძლოა, ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქაროს. კენედის ვიზიტს გულშემატკივრები დიდ იმედებს მაინცდამაინც არ უკავშირებდნენ, რადგან ბიზნესმენი თავდაპირველად აცხადებდა, თუკი სხვა ღირსეული მყიდველი არ აღმოჩნდა, "რეინჯერსს" მხოლოდ მაშინ შევიძენო. "დეილი რეკორდის" მტკიცებით, დროთა განმავლობაში ბიზნესმენმა პოზიცია შეიცვალა და კლუბით სერიოზულად დაინტერესდა. *"დიახ, მისტერ ბრაიანმა დაათვალიერა საკლუბო ინფრასტრუქტურა, თუმცა მოლაპარაკება ხანგრძლივი პროცესია და რაიმე კონკრეტულ გეგმებზე ლაპარაკი ამ ეტაპზე შეუძლებელია"*, – აცხადებს კენედის პირადი პრესსპიკერი.

გამოცემა იმასაც ამბობს, რომ ბრაიან კენედის მიჩნევა "რეინჯერსის" შეძენის უმთავრეს პრეტენდენტად შეცდომა იქნებოდა. კლუბის ყოფილი მფლობელის **პოლ მიურეისა** და მის უკან მდგომი ბიზნესმენების მიერ ჩამოყალიბებულ კონსორციუმ "ცისფერ რაინდებს" ჯერჯერობით ყველაზე მყარი პოზიცია უკავია. ლაპარაკია ასევე ამერიკულ კაპიტალზე, რომელიც მიმდინარე სეზონის დაწყებამდე "შეფილდ უენსდის" შეძენას გეგმავდა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა. "დაფ ენდ ფელპსის" ადმინისტრატორების თქმით, მათ კიდევ ერთი პოტენციური მყიდველი დაუკავშირდა, რომელიც ამ ეტაპზე ვინაობის გამხელას არ გეგმავს, რადგან ბრძოლაში ჩაბმა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერჯერობით არ აქვს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## კომპანი მზად იქნება

იანვრის მერე "მანჩესტერ სიტის" კაპიტანი, 25 წლის **ვენსან კომპანი** შედარებით იშვიათად თამაშობს - ბელგიელი დისკვალიფიცირებულია და ან ტრავმას იმუშებს. აღნიშნული მიზეზებით ფეხბურთელმა 8 თამაში გამოტოვა. თუმცა "სიტის" სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელთა თქმით, უქმეებზე "სტოკ სიტისთან" მატჩისთვის ის მზად იქნება. ჯერჯერობით ისევ გაურკვეველი რჩება "ქალაქელთა" მეორე ნამყვანი სტოპერის **ჯოლეონ ლესკოტის** ამბავი. 29 წლის ფეხბურთელს საზარდული ჯერ კიდევ ძლიერად აწუხებს.

## უეფას უარი უელსელებს

წარუმატებლად დასრულდა უელსის ფეხბურთის ფედერაციის მცდელობა, დაერწმუნებინა უეფა, რომ ამ ქვეყნის თასის მფლობელისთვის ევროპალიგაში გამოსვლის უფლება მიეცა. ასე რომ, ისეთ კლუბებს როგორებიც არიან "სუონსი" და "კარდიფ სიტი" ევროპაში ფანჯრის გაჭრის შანსი მხოლოდ პრემიერლიგაში ან ინგლისურ სათასო ტურნირებში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მიეცემათ. ვალიელთა მხრიდან ეს საკითხი უეფას წინაშე პირველად არ დასმულა. ანალოგიური თხოვნაზე უარი ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ 2001 წელსაც თქვა. 1995 წლამდე ნამყვანი უელსური კლუბები, რომლებიც ინგლისის ჩემპიონატში თამაშობენ, უელსის თასზეც მონაწილეობდნენ, მაგრამ მას მერე, ამ ტურნირს უგანეს და მისი პრესტიჟი ნულამდე დასცეს. *"ამ თხოვნაზე უარის ძირითადი მოტივი ძალიან მარტივია. თუკი გადაწყვიტე, რომ ინგლისის ჩემპიონატში უნდა ითამაშო, მაშინ ევროთასებზე შენი გზა მხოლოდ ამ ქვეყანაზე უნდა გადიოდეს,"* – განაცხადა უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა ჯანი ინფანტინომ.

## მარსელს ანგარიშს უწევენ

28 მარტს "მარსელს" ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერნთან" დაპირისპირება ელის, რის გამოც პროვანსელთა ხელმძღვანელობამ საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას 31-ში "მონპელიესთან" გასამართავი შეხვედრის გადატანა სთხოვა. ლიგამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონების თხოვნა გაითვალისწინა. როდის გაიმართება ეს შეხვედრა, ამას ორგანიზაცია მოგვიანებით დაადგენს.

## ლეონარდო არ საყვედურობს

"პარი სენ-ჟერმენის" სპორტული დირექტორის **ლეონარდოს** თქმით, მას მიაჩნია, რომ გუნდს ყველა ტურნირში გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლა, მაგრამ ამის მიუხედავად არავის საყვედურობს საფრანგეთის თასის 1/4-ფინალში ნაგების გამო. შეგახსენებთ, რომ 21 მარტს "ლურჯ-წითლებმა" შინ "ლიონს" უმასპინძლეს და 3:1 დამარცხდნენ. *"მე ვერ მექნება პრეტენზიები გუნდთან, -* განუცხადა მან "ფრანს პრესს". *- თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ პირველ ტაიმში ცხოვრება თავად გავირთულეთ, კარგად ჩატარებული მეორე ნახევარი კი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად აღარ გვეყო. "ლიონს" კარგი გუნდი ჰყავს. მან პრაქტიკულად ყველა მომენტი გამოიყენა, რაც ჰქონდა. ასეთ დროს კი გამოცდილი მეტოქის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია ხოლმე. არა უშავს, ეს პირველი ნაგებაა, რომელიც ანჩელოტის ხელში ვიწვნიეთ. აქამდე ზედიზედ 17 თამაში გვქონდა წაუგებლად განვლილი და ერთი მარცხი არაფერს წყვეტს. ზოგადად მსაჯზე ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ კლემენ ტურპინზე იმას ვიტყვი, რომ ის დაძაბული იყო და თამაშსაც ცოტა ნერვიულ სტილში უძღვებოდა. პსჟ-ს 18 წელიწადია ჩემპიონის ტიტული არ მოუგია, ასე რომ, ძალების მობილიზება ახლა აქეთ გვმართებს.*

**ლევან ბიბილაშვილი**

● მწვრთნელები

# ყველაზე მდიდრები

„ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელების ტოპ-ოცეული. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე დიდი ხელფასი იმ კაცს აქვს, ვინც საკუთარ თავს „განსაკუთრებულს" ეძახის - „რეალის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ყოველწლიურად 14,8 მილიონ ევროს გამოიმუშავებს. ასევე ძალზე დიდი შემოსავალი აქვს „პარი სენ ჟერმენის" იტალიელ თავკაც **კარლო ანჩელოტის** - 13,5 მილიონი ევრო აქვს ხელფასი. „ბარსელონას" მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** მხოლოდ მე-3 ადგილზეა 9,5-მილიონიანი შემოსავლით.

**ყველაზე შემოსავლიანი მწვრთნელები „ფრანს ფუტბოლის" მონაცემებით.**

| | |
|---|---|
| ჟოზე მოურინიო | 14,8 მლნ ევრო |
| კარლო ანჩელოტი | 13,5 |
| ხოსეპ გვარდიოლა | 9,5 |
| არსენ ვენგერი | 9,0 |
| გუუს ჰიდინკი | 8,6 |
| ფაბიო კაპელო | 8,5 |
| ალექს ფერგიუსონი | 8,0 |
| დიკ ადვოკაატი | 7,0 |
| ხოსე კამაჩო | 6,1 |
| როზერტო მანჩინი | 5,9 |
| ლუის ვან გაალი | 5,5 |
| ჰარი რედნაპი | 5,3 |
| ანდრე ვილაშ-ბოაში | 5,1 |
| იუპ ჰაინკესი | 5,0 |
| ლუჩანო სპალეტი | 4,9 |
| კენი დალგლიში | 4,9 |
| ლუის სკოლარი | 4,1 |
| მანუელ პელეგრინი | 4,0 |
| დიეგო მარადონა | 3,8 |
| დევიდ მოიესი | 3,6 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ჟოზე მოურინიოს ყველაზე დიდი ხელფასი აქვს

● კაიზერსლაუტერნი. ახალი მწვრთნელის წარდგენა


ეროვნული ბიბლიოთეკა
კრასიმირ ბალაკოვს კაიზერსლაუტერნის გადარჩენა დაევალა

# ბალაკოვს სჯერა და გაატარეს!

## ბულგარელმა კაიზერსლაუტერნში პოტენციალი დაინახა

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ „კაიზერსლაუტერნის" მთავარ მწვრთნელად **კრასიმირ ბალაკოვი** ინიშნებოდა და აი, გუშინ ნაშუადღევს ბუნდესლიგის აუტსაიდერმა 45 წლის ბულგარელი სპეციალისტი ოფიციალურად წარადგინა. კლუბისთვის სასურველ მწვრთნელებს შორის ბულგარელი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც სჯერა, რომ „კაიზერსლაუტერნის" გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. პრესკონფერენციაზე ბალაკოვმა თქვა, რომ „ლაუტერნში" იმ შემთხვევაშიც დარჩება, თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება და 1. FCK-სთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა.



წინა დღეებში გერმანული პრესა წერდა, რომ „კაიზერსლაუტერნმა" ბალაკოვის აწ უკვე ყოფილ კლუბ სპლიტის „ჰაიდუკს" ერთი მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. გუშინ გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ პფალცელებმა ბულგარელი უფასოდ ჩაიგდეს ხელში. „ბილდის" და „კიკერის" ცნობით, „ჰაიდუკს" ბალაკოვთან სახელფასო დავალიანება ჰქონდა, რამაც გერმანულ კლუბს მისი უფასოდ გადაბირების საშუალება მისცა.

„ლაუტერნის" მენეჯერმა **შტეფან კუნტცმა** აღნიშნა, რომ ბალაკოვის დანიშვნა იდეალური გამოსავალი იყო და ბულგარელი სპეციალისტი საუკეთესო ეპითეტებით შეამკო. მონდომებული და მოტივირებულია თავად კრასიმირიც, რომელმაც „კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სამი დღის წინ გათავისუფლებული **მარკო კურცი** შეცვალა.

## მთავარია, თავი არ დავკარგოთ!

*„მთავარია, თავი არ დავკარგოთ!* – თქვა გუშინ ბალაკოვმა, - *ახლა გუნდი ისეთ სიტუაციაშია, რომ შექმნილ ვითარებას მსუბუქად უნდა შევხედოთ. უნდა დავმშვიდდეთ, რადგან ზედმეტი ნერვიულობა არაფერს გვარგებს. დასაკარგი აღარაფერი გვაქვს და დარჩენილ მატჩებში შემტევი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. მე მჯერა, რომ ამ გუნდს აქვს საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას გადაურჩეს. ამიტომაც დავთანხმდი აქ მუშაობაზე. ვიცი, რომ დრო ძალიან ცოტაა, მაგრამ ცდას არ დავაკლებთ."*

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „ლაუტერნი" მაინც გავარდა? ამ კითხვაზე ბალაკოვმა და კუნტცმა ერთხმად უპასუხეს, თანამშრომლობა გაგრძელდებაო. ბულგარელის თქმით, მას „კაიზერსლაუტერნში" ხანგრძლივი მისია აქვს, რაც ახალი გუნდის აშენებას და „ეშმაკებისთვის" ძველი დიდების დაბრუნებას გულისხმობს.

კრასიმირ ბალაკოვმა აქტიური სპორტული კარიერის საუკეთესო წლები „შტუტგარტში" გაატარა და სამწვრთნელო კარიერაც შვაბურ კლუბში, 2003 წელს, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებისთანავე დაიწყო. ჯერ **ფელიქს მაგათის** ასისტენტი გახლდათ, მერე კი **მათიას ზამერისა**. „შტუტგარტში" ასისტენტობის შემდეგ ის შვეიცარიულ კლუბებში, „სენტ გალენსა" და „გრასჰოპერსში" მუშაობდა, რის შემდეგაც ბულგარულ „ჩერნომორეცს" წვრთნიდა. ამ ხნის მანძილზე სერიოზული წარმატებებისთვის არ მიუღწევია, ხოლო სპლიტის „ჰაიდუკი" კი მის ხელში ხორვატიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გახლდათ.

ფეხბურთელი ბალაკოვი, რომელსაც ბულგარეთის ნაკრებში 94 მატჩი აქვს ჩატარებული, მკითხველებს „შტუტგარტიდან" ეხსომებათ, სადაც 1995-დან 2003 წლამდე ბუნდესლიგის ეგიდით 236 მატჩი ჩაატარა და **ჯოვანი ელბერთან** და **ფრედი ბობიჩთან** ერთად „მაგიური სამკუთხედის" ფენომენი შექმნა - 1996/97 წლების სეზონში ამ სამეულმა 49 გოლის გატანა შეძლო. ახლა კი, ბალაკოვი ბუნდესლიგაში მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნდა. მისი დებიუტი შაბათს შედგება: „კაიზერსლაუტერნს" ბუნდესლიგის 27-ე ტურში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ელის.

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# ჰამბურგისთვის წაგება აკრძალულია!

## ვოლფსბურგის მიზანი ახლა მეშვიდე ადგილის დაკავებაა



დისკვალიფიკაციამოხდილი კაპიტანი ჰაიკო ვესტერმანი ჰამბურგის დაცვას გააძლიერებს

| დღეს | |
|---|---|
| ვოლფსბურგი–ჰამბურგი | 23:30 |

**პირველ წრეში:** 1:1

**დისკვალიფიკაცია:** გერერო (ჰამბურგი)

**ტრავმა:** კრისი, მედოიევიჩი, ოხსი – მიკელი

გერმანიის პირველობის 27-ე ტური დღეს ჩრდილოური დაპირისპირებით იხსნება: „ვოლფსბურგი" „ჰამბურგს" მასპინძლობს.

გერმანიის თასის ნახევარფინალების შედეგებმა ბუნდესლიგაში ევროპალიგის საგზურებისთვის ბრძოლაში ახალი რეალობა შექმნა და თამამად ვიტყვით, ამ რეალობამ ყველაზე მეტად სწორედ ვოლფსბურგელები გაახარა. საქმე იის არის, რომ რაკი გერმანიის თასის ფინალში „ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" სახით ისეთი გუნდები გავიდნენ, რომლებიც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ (სასწაული უნდა მოხდეს, რომ რომელიმე მათგანმა ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის საგზური ვერ მოიპოვოს), გერმანიის თასის მფლობელისთვის განკუთვნილი ევროპალიგის მესამე საგზური, შესაბამისად, ბუნდესლიგის მეშვიდეადგილოსანს გადაეცემა. მოგეხსენებათ, „ვოლფსბურგის" მიზანი სწორედ ევროპალიგაში ასპარეზობაა და დღევანდელი მდგომარეობით, **ფელიქს მაგათის** გუნდს მეშვიდე ადგილამდე მხოლოდ და მხოლოდ 4 ქულა აშორებს...

ზოგადად, „მგლები" ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშდა და სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. მეტიც: მაგათის გუნდმა ბოლო ორი თამაში მოიგო და რაც ყველაზე საინტერესოა, საკმაოდ რთული მეტოქეები დაამარცხა: ჯერ „ლევერკუზენს" მოუგო 3:2, მერე კი ნიურნბერგში 3:1 გაიმარჯვა. რაც შეეხება ჰამბურგს: რაც არ უნდა მოინდომონ, **ტორსტენ ფინკის** შეგირდები ევროპალიგის საგზურს ნაღდად ველარ წაეპოტინებიან – მათი მთავარი ამოცანა პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ევროპაზე ამაოდ მეოცნებე ფინკის გუნდმა ზედიზედ სამი თამაში წააგო (0:4 შტუტგარტთან, 1:3 გელზენკირხენში, 1:3 ფრაიბურგთან) და თუ ჰამბურგელები დღესაც დამარცხდებიან, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება რეალურზე რეალური გახდება. აქვე შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგი" ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა...

HSV-სთვის პოზიტიური ის არის, რომ ფინკს ორი წამყვანი ფეხბურთელი უბრუნდება. მარცხენა მცველი **დენის აოგო** გამოჯანმრთელდა, კაპიტანმა **ჰაიკო ვესტერმანმა** კი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 26 | 18 | 5 | 3 | 53-16 | 59 |
| 2. ბაიერნი | 26 | 17 | 3 | 6 | 64-17 | 54 |
| 3. ბორუსია (მ) | 26 | 15 | 6 | 5 | 39-16 | 51 |
| 4. შალკე | 26 | 16 | 2 | 8 | 58-34 | 50 |
| 5. ლევერკუზენი | 26 | 11 | 7 | 8 | 39-34 | 40 |
| 6. ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40-39 | 39 |
| 7. ჰანოვერი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-36 | 38 |
| 8. შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43-34 | 36 |
| 9. ვოლფსბურგი | 26 | 10 | 4 | 12 | 34-47 | 34 |
| 10. ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25-37 | 31 |
| 11. მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38-41 | 30 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29-37 | 30 |
| 13. კიოლნი | 26 | 8 | 4 | 14 | 33-50 | 28 |
| 14. ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 30-48 | 27 |
| 15. აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27-40 | 26 |
| 16. ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33-53 | 25 |
| 17. ჰერტა | 26 | 5 | 8 | 13 | 26-47 | 23 |
| 18. კაიზერსლ. | 26 | 3 | 11 | 12 | 17-36 | 20 |

**ბომბარდირები:** 22 – გომესი (ბაიერნი); 20 – ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი).

გერმანიის თასი. ნახევარფინალი



ეს ესაა, ნოიერმა ნორდტვეიტის პენალტი მოიგერია და ბაიერნი გერმანიის თასის ფინალში გაიყვანა

# არის საოცნებო ფინალი!

## 12 მაისს ბერლინში: დორტმუნდი-ბაიერნი

**ბორუსია (მ)–ბაიერნი 0:0 (2:4 პ.ს.)**

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი (62. ბრუვერსი), დანტე, დემსი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი – ვენდტი (62. ჰერმანი), არანგო – როისი, ჰანკე (75. დე კამარგო).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – ლუის გუსტავო, კროოსი – რობენი, თ. მიულერი (106. პეტერსენი), რიბერი – გომესი (100. ოლიჩი).

**პენალტების სერია:** 0:1 ალაბა, 1:1 დემსი, 1:2 რიბერი, 2:2 ჰერმანი, 2:3 ლამი, 2:3 დანტე (ააცილა), 2:4 კროოსი, 2:4 ნორდტვეიტი (მეკარე)

**გაფრთხილება:** იანტშკე – რობენი, კროოსი

**მაყურებელი:** 54 049

ბევრი იბრძოლეს თუ ცოტა, საბოლოოდ გერმანიის თასის მეორე ნახევარფინალური მატჩის ბედი ორმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა: „ბაიერნის" მეკარე **მანუელ ნოიერმა** და „გლადბახის" მცველმა **დანტემ**. ნოიერმა, რომელმაც ამ სეზონში „გლადბახთან" მატჩებში ორი უპატიებელი შეცდომა დაუშვა, გადამწყვეტი პენალტი მოიგერია ხოლო დანტემ, რომელიც, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში „ბაიერნში" ითამაშებს, თერთმეტმეტრიანების სერიაში ბურთი მანუს კარს ააცილა. საბოლოოდ, მიუნხენელებმა პენალტებით 4:2 მოიგეს და ფინალში გავიდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ 12 მაისს ბერლინში დორტმუნდის „ბორუსიას" დაუპირისპირდებიან.

საფეხბურთო ლატარეა თავიდან ორივე გუნდმა უნაკლოდ დაიწყო: **ალაბამ, დემსმა, რიბერიმ** და **ჰერმანმა** თავიანთი პენალტები უპრობლემოდ გაიტანეს. ამის შემდეგ რეკორდმაისტერი კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** დააწინაურა, მერე კი ნიშნულთან დანტე მივიდა – მცველი, რომელსაც „ბაიერნში" ეპატიჟებიან - და ბურთი კარს ააცილა! ამ ფაქტმა მთელ საფეხბურთო გერმანიას 1984 წელი გაახსენა, როცა მიონხენგლადბახელმა **ლოთარ მათეუსმა** 1984 წლის თასის ფინალში „ბაიერნთან" თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა და მომდევნო სეზონში სწორედ მიუნხენურ გრანდში ამოყო თავი. დანტეს აცილებულ პენალტს **კროოსის** წარმატებული თერთმეტმეტრიანი მოჰყვა, მერე კი **ნორდტვეიტს** ნოიერმა აუღო და მეორე ფინალისტის ვინაობაც გაირკვა.

მანამდე იყო 120-წუთიანი დაუნდობელი ბრძოლა – ოღონდ უგოლოდ. არადა, საგოლე მომენტი მრავლად შეიქმნა და თუ რომელიმე გუნდს უნდა გაეტანა, პირველ რიგში ეს „ბაიერნზე" ითქმის. მიუნხენელთაგან ყველაზე მეტად ტონი კროოსს არ გაუმართლა – მეექვსე წუთზე მისი დარტყმა **მარკ-ანდრე ტერ შტეგენის** კარის ძელს მოხვდა, **გომესს** (მე-15 წუთზე) და ალაბას (41) კი ტერ შტეგენმა აუღო. გოლის გატანა რობენსაც შეეძლო, მაგრამ მე-40 წუთზე, **რიბერის** პასის შემდეგ, ბურთი კარს ცხრა მეტრიდან ააცილა.

### ნოიერი ამჯერად უშეცდომო იყო

ბავარიული გრანდისთვის სასიამოვნო იყო ის, რომ ნოიერს „გლადბახთან" მატჩში ამჯერად შეცდომა აღარ დაუშვია. პირიქით, მან როისისა (21-ე წუთზე) და დემსის (34) ძალიან სახიფათო დარტყმებიც გააუვნებლა. მიუხედავად ამისა, ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა **მათიას ზამერმა**, რომელიც იმ საღამოს ტელეკომპანია „სქაის" ექსპერტი გახლდათ, ისე კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია, ნოიერი მაინც გააკრიტიკა: *„მანუს ეტყობა, რომ თავდაჯერებული არ არის. ამისათვის მას „ბაიერნთან" ერთად ტიტულების მოგება სჭირდება. თანაც, აშკარად ჩანს, რომ რეკორდმაისტერის ფანები ნოიერს ჯერ კიდევ არ აღიარებენ."*

„ბაიერნს" შესვენების შემდეგაც უკეთესი მომენტები ჰქონდა. 49-ე წუთზე ბავარიელთა დაწინაურება რობენს შეეძლო, 84-ეზე გომესს. მიონხენგლადბახელთაგან კი საუკეთესო მომენტი როისმა გაანიავა: 84-ე კონტრშეტევაზე **ხუან არანგოს** მშვენიერი პასი ვერ გამოიყენა – კარიდან გამოსულმა ნოიერმა აჯობა...

**ლუსიენ ფავრი** („გლადბახის" მწვრთნელი): *„რთული მატჩი გამოდგა და საგოლე მომენტები ორივე კართან შეიქმნა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ბაიერნის" დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე იანვარში ან აგვისტოში იყო. ამჯერად მიუნხენელებმა ჩვენზე უკეთ ითამაშეს, მაგრამ პენალტების სერიაში წაგება ძალიან საწყენია. მაგრამ ჩვენ წინ უნდა გავიხედოთ: შაბათს უფრო მნიშვნელოვანი მატჩი გველის. ჩემპიონთა ლიგის საგზურთან ძალიან ახლოს ვართ და ახლა სასონარკვეთა დაუშვებელია."*

**იუპ ჰაინკესი** („ბაიერნის" მწვრთნელი): *„ორივე გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ჩვენ უკეთესი მომენტები გვქონდა. პენალტების სერია ყოველთვის ლატარიაა და მიხარია, რომ ჩვენ უფრო გაგვიმართლა."*

ბაიერნი

# მიუნხენში პისაროზე მართლა ფიქრობენ!

## პერუელი გოლეადორიც სხვანაირად აჭიკჭიკდა...

**ივიცა ოლიჩმა** „ვოლფსბურგში" გადასვლა გადაწყვიტა და ეს ტრანსფერი გადაწყვეტილია, **ნილს პეტერსენს** კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოჰბეზრდა და ბავარიელები მას ზაფხულში ან გაყიდიან, ანაც გაანათხოვრებენ – შესაბამისად, მიუნხენის „ბაიერნს" მომავალი სეზონისთვის აუცილებლად სჭირდება მინიმუმ ერთი ახალი ცენტრფორვარდი. „კიკერისა" და „ბილდის" ცნობებით, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები მართლა სერიოზულად ფიქრობენ „ვერდერის" ვეტერან გოლეადორ **კლაუდიო პისაროზე**, რომელიც თავის მხრივ მიუნხენში დაბრუნებას არ გამორიცხავს.

პისაროს სიტუაცია ასეთია: 33 წლის პერუელმა მარტის ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს, გაწყვეტს თუ არა ზაფხულში „ვერდერთან" გაფორმებულ კონტრაქტს, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ კლაუდიო სატრანსფერო ბაზარზე უფასო გახდება. აქტუალურ ხელშეკრულებას ვადა 2013 წლამდე აქვს და ბრემენელები პისაროს სულაც ახალ კონტრაქტს სთავაზობენ - მისი შენარჩუნება 2014 წლამდე სურთ.

ჯერჯერობით რთულია იმაზე საუბარი, საით მიდის ტენდენცია, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ პისარო „ბაიერნში" გადასვლას არ გამორიცხავს – მიუნხენში კარიერის საუკეთესო წლები მაქვს გატარებული და იქ დაბრუნებაზე რატომაც არ უნდა ვფიქრობდეო. პისარო „ბაიერნში" 2001-დან 2007 წლამდე თამაშობდა და რეკორდმაისტერის ფორმით ბუნდესლიგის 174 მატჩში 71 გოლი გაიტანა. პერუელი არ მალავს, რომ მიუნხენელებთან დღემდე კარგი ურთიერთობა აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მისი „ბაიერნში" დაბრუნება თავად მიუნხენური გრანდის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** მოისურვა. ამ უკანასკნელს პისაროს შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

კლაუდიოს ანგარიშზე მიმდინარე სეზონში 16 გოლი და 8 საგოლე პასია („კიკერის" საშუალო შეფასება: 2.71 ბალი). საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად დათანხმდება პისარო „ბაიერნში" სათადარიგოთა სკამის ხეხვას – მიუნხენელებს ხომ **მარიო გომესი** ჰყავთ და უმეტესად მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდით თამაშობენ?



დიდი შანსია, რომ კლაუდიო პისარო (მარჯვნივ) ბაიერნში დაბრუნდეს და არიენ რობენის თანაგუნდელი გახდეს

გამოხმაურება

# კლოპი: კევინი რასისტი არ არის!

გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ გერმანიის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩს (ფიურტი-დორტმუნდი 0:1) დიდი დისკუსიები მოჰყვა. გაგახსენებთ, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ დორტმუნდელი **კევინ გროსკროიტცი** და ფიურტელი **ჯერალდ ასამოა** ერთმანეთს წაეკიდნენ. მატჩის შემდეგ კი „ფიურტის" მცველმა **მერგიმ მავრაიმ** ცეცხლზე ნავთი დაასხა, გროსკროიტცმა ასამოას რასისტული შეურაცხყოფა მიაყენაო.

*„ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ შეურაცხყოფდა გროსკროიტცი ასამოას მისი კანის ფერის გამო. მოედანზე ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს!"* - ამბობდა მავრაი, რითაც დორტმუნდელ გროსკროიტცს სერიოზული ბრალდება წაუყენა. გუშინ ამ ამბავს „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი** გამოეხმაურა – გერმანიის მოქმედი ჩემპიონის 44 წლის დამრიგებელი დარწმუნებულია, რომ გროსკროიტცი ასამოას რასისტულ შეურაცხყოფას არ მიაყენებდა.

*„100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ კევინი უდანაშაულოა. გროსკროიტცი ზოგადად ზომიერად აგრესიული ფეხბურთელია და სიმართლე თუ გინდათ, ამიტომაც მიყვარს ასე ძალიან. რასისტული აზროვნება მისთვის ერთი პროცენტითაც არ არის დამახასიათებელი. გუნდში მისი საუკეთესო მეგობრები არგენტინელი ლუკას ბარიოსი და იაპონელი შინჯი კაგავა არიან,* - უთხრა კლოპმა „ბილდს" და იქვე დასძინა - *ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ადამიანი, ვიდრე რას ამბობს. მე ვიცი, რომ გროსკროიტცი რასისტულად არ ფიქრობს და რასიზმთან არანაირი შეხება არ აქვს. შესაძლოა, ასამოას ლურჯი ფერი უხსენა, ისიც „შალკეს" გამო, სხვა ფერს კი ნამდვილად არ ახსენებდა."*

ასამოასთვის რასისტული შეურაცხყოფის მიყენება თავად 23 წლის გროსკროიტცმაც უარყო. *„ასამოასთვის ასეთი არაფერი მითქვამს. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ ასეთ რამეს არ გავაკეთებდი. მეტიც: ასამოასთვის საერთოდ არაფერი მითქვამს! უბრალოდ, ჩვენს გამარჯვებას ვზეიმობდი"*,- უთხრა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა „ბილდს".

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იურგენ კლოპმა (მარჯვნივ) კევინ გროსკროიტცი დაიცვა – ასამოას რასისტულ შეურაცხყოფას არ მიაყენებდაო

ბარსელონა

# გადანერგვა მომავალ კვირაში




**„ბარსელონას" 32 წლის ფრანგ მცველს, ერიკ აბიდალს ღვიძლს მომავალ კვირაში გადაუნერგავენ. ამის შესახებ კატალონიური გამოცემა „სპორტი" იუწყება.**

2011 წელს ერიკმა წარმატებით გაიკეთა ოპერაცია ღვიძლზე, სიმსივნის მოსაშორებლად, ის ფეხბურთსაც დაუბრუნდა, თუმცა წლეულს დღის წესრიგში მისთვის ორგანოს გადანერგვა მაინც დადგა. როგორც წესი, პაციენტები დონორს დაახლოებით 4 თვეს ელოდებიან, აბიდალს კი დალოდება არ მოუწევს - ერიკის ბავშვობის მეგობარმა, რომლის სისხლის ჯგუფიც ფეხბურთელისთვის სასურველი აღმოჩნდა, გადაწყვიტა, გახდეს მისი დონორი.

სამედიცინო წრეებში ძალიან ეეჭვებათ, რომ წარმატებული ოპერაციის შემდეგაც კი ერიკ აბიდალმა სპორტული კარიერა გააგრძელოს.

## ვინ შეცვლის აბიდალს

ერიკ აბიდალი სავარაუდოდ ველარ ითამაშებს „ბარსელონაში", შესაბამისად „ბლაუგრანას" დაცვის მარცხენა ფრთაზე სერიოზული საკადრო პრობლემა ელის. სხვათა შორის, ახლა აბიდალის შემცვლელი, ბრაზილიელი **ადრიანოც** ტრავმირებულია. ევროპულ მედიაში უკვე საუბრობენ, ვის შეიძენს ზაფხულში „ბარსელონა" პრობლემის აღმოსაფხვრელად. სულ უფრო ხშირად ორი გვარი ისმის: „შალკეს" მცველის **კრისტიან ფუხსის** და „გრანადას" ბრაზილიელი უკანახაზელის, **გილერმე სიკეირასი**. ამ ორი სავარაუდო ტრანსფერის შესახებ რადიო „ონა ფმ" იუწყება. სხვათა შორის, 25 წლის სიკეირამ ახლახან „ბარსას" წინააღმდეგ 3:5 დასრულებულ მატჩში გამოიჩინა თავი (დუბლი შეასრულა). ფუხსიც 25 წლისაა, ის „შალკეს" გასულ ზაფხულში შეუერთდა „მაინციდან". სხვათა შორის, ადრიანო ალბათ წავა ზაფხულში გუნდიდან, ბრაზილიელს „იუვენტუსი" და „ბაიერნი" იწვევენ.

ლა ლიგა. XXVIII ტური

**რასინგი-სევილია 0:3**

**რასინგი (4-2-3-1):** მარიო - ალვარო, ტორეხონი, ოსმარი, კრისტიანი - დიოპი, კოლსა - ბედია, ადრიანი (55. ბაბაკარი), მუნიტისი (62. სამპერიო) - სტუანი (55. ხ. მარტინესი).

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კოკე, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - მედელი (65. რაკიტიჩი), ტროხოვსკი - ხესუს ნავასი, დელ მორალი, პეროტი () - ნეგრედო (81. კანუტე).

**გოლები:** 0:1 ხესუს ნავასი (34), 0:2 დელ მორალი (51), 0:3 დელ მორალი (93)

**გაფრთხილება:** ალვარო, კრისტიანი, ოსმარი, ტორეხონი - ფასიო, ნავარო, ტროხოვსკი

**გაძევება:** დიოპი (79)

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 9-19 (3-7); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 12 500

**ბეტისი-ესპანიოლი 1:1**

**ბეტისი (4-4-2):** ფაბრისიო - ნელსონი, პაულაუ, დორადო, ნაჩო - ხუანმა (56. პერეირა), ირინეი, ბენატი (73. სევილია), მონტერო - რ. კასტრო, მოლინა (60. პოსუელო).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ბაენა, რომარიკი - რ. ფონტე (79. პანდიანი), კოუტინიო, ალბინი (63. კ. გომესი) - ა. ვასკესი (70. კ. უჩე).

**გოლები:** 1:0 რ. კასტრო (78), 1:1 პანდიანი (93)

**გაფრთხილება:** ხუანმა - ბაენა, მორენო

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 9-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 36 000

**მალაგა-ვალეკანო 4:2**

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, ველიგტონი, მატეისონი, მონრეალი - დემიკელისი, კასორლა (85. დუდა) - ხოაკინი (76. სება ფერნანდესი), ისკო, ელიზეუ (67. მარესკა) - რონდონი.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** ხოელი - ტიტო, არიბასი (85. ტამუდო), პულიდო, კასადო - ფუეგო, მოვილია (71. ტრაშორასი) - პიტი, მიჩუ, არმენტეროსი (60. ლ. ბანგურა) - დ. კოშტა.

**გოლები:** 0:1 დ. კოშტა (5-პენ), 1:1 რონდონი (35), 2:1 რონდონი (58), 3:1 მარესკა (69), 3:2 ტრაშორასი (84), 4:2 დუდა (86)

**გაფრთხილება:** გამესი, მარესკა, კაბალიერო - არიბასი, კოშტა, ტიტო, კასადო

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 5-13; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 11-7 (6-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 15 800

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 28 | 23 | 3 | 2 | 90-25 | 72 |
| 2. ბარსელონა | 28 | 20 | 6 | 2 | 82-22 | 66 |
| 3. ვალენსია | 28 | 13 | 8 | 7 | 44-33 | 47 |
| 4. ლევანტე | 28 | 13 | 5 | 10 | 41-38 | 44 |
| 5. მალაგა | 28 | 13 | 5 | 10 | 42-40 | 44 |
| 6. ესპანიოლი | 28 | 11 | 7 | 10 | 36-37 | 40 |
| 7. ოსასუნა | 28 | 9 | 13 | 6 | 32-41 | 40 |
| 8. ატლეტიკო | 28 | 10 | 9 | 9 | 39-34 | 39 |
| 9. ბილბაო | 28 | 9 | 10 | 9 | 43-39 | 37 |
| 10. ვალეკანო | 28 | 11 | 4 | 13 | 42-47 | 37 |
| 11. მალიორკა | 28 | 9 | 9 | 10 | 31-35 | 36 |
| 12. სევილია | 28 | 9 | 9 | 10 | 30-31 | 36 |
| 13. ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 28-35 | 36 |
| 14. სოსიედადი | 28 | 9 | 6 | 13 | 31-40 | 33 |
| 15. ბეტისი | 28 | 9 | 4 | 15 | 32-42 | 31 |
| 16. გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-43 | 31 |
| 17. ვილიარეალი | 28 | 6 | 10 | 12 | 28-42 | 28 |
| 18. რასინგი | 28 | 4 | 12 | 12 | 22-43 | 24 |
| 19. სპორტინგი | 28 | 6 | 6 | 16 | 27-53 | 24 |
| 20. სარაგოსა | 28 | 5 | 7 | 16 | 24-51 | 22 |

**ბომბარდირები:** 34 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 33 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - გონსალო იგუაინი (რეალი); 15 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

**მომდევნო ტური**

24 მარტი: **მალიორკა-ბარსელონა, რეალი-რეალ სოსიედადი, ხეტაფე-ვალენსია.**

25 მარტი: **სარაგოსა-ატლეტიკო, ლევანტე-ოსასუნა, ესპანიოლი-მალაგა, ბილბაო-სპორტინგი, რაიო ვალეკანო-ვილიარეალი, ბეტისი-რასინგი.**

26 მარტი: **გრანადა-სევილია.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ესპანეთი

# პარადას რომერო: მსაჯი პაროდია

## ორმა საჯარიმომ და ერთმა მსაჯმა რეალი რელსებიდან ჩამოსვა



Vaya atraco, hijo de puta - ასე მიუმართავს პეპეს მსაჯისთვის გვირაბში

*„ეს ნამდვილი ძარცვაა, შე ძაღლიშვილო"*, - ამ სიტყვებს „რეალის" პორტუგალიელ მცველ **პეპეს** მიაწერენ, ადრესატის გამოცნობა კი არ გაუჭირდება იმას, ვინც „ვილიარეალისა" და „რეალისა" დაპირისპირებას უყურა - **პარადას რომერო**. „რეალმა" ზედიზედ მეორედ ვერ მოიგო (ორივე შემთხვევაში მას საჯარიმო დარტყმებით გაუქვითეს ანგარიში) - ასე იქცა სულ რაღაც 5 დღეში „სამეფო კლუბის" 10-ქულიანი უპირატესობა „ბარსელონაზე", 6 ქულად...

ოთხშაბათს ესპანური ფეხბურთის სცენაზე მოულოდნელად 39 წლის მალაგელი არბიტრი ხოსე ლუის პარადას რომერო გამოვიდა. მან, თანაც ერთპიროვნულად, სულ სხვა განვითარება მისცა ტურის მატჩს. არბიტრი მაშინ აიჭრა, როცა მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთა არგენტინელ ფორვარდ **მარკო რუბენს** ყვითელი ბარათი უჩვენა. ანდალუსიელს დაავიწყდა რუბენის გაძევება, რომელიც პირველ ტაიმში უკვე ჰყავდა გაფრთხილებული! სანამ ყველაფერი გაირკვეოდა, „ვილიარეალის" დებიუტანტმა მწვრთნელმა **მიგელ ანხელ ლოტინამ** ჭკუა იხმარა და რუბენი უმალ შეცვალა. და დაიწყო... მსაჯმა ჯერ **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტი **რუი ფარია** გააძევა (სხვათა შორის, ეს საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე, ფარია აშკარად ვერ თოკავს ნერვებს), შემდეგ ჟოზე მოურინიოს არ შეარჩინა საჯარიმო დარტყმის გაპროტესტება (სწორედ ამ საჯარიმოდან გაიტანა **მარკოს სენამ** საპასუხო გოლი) და ისიც მიაბრძანა, თამაშის მიწურულს რომერომ „რეალის" მაისურით მე-300 მატჩი ჩაუშხამა **სერხიო რამოსს** (თუმცა რამოსმა ამის საბაბი აშკარად მისცა, რამოსმა „რეალის" ახალი რეკორდი დაამყარა - ის უკვე 11-ჯერ გააძევეს), შემდეგ კი **მესუთ იოზილიც** გააგდო. ეს ყველაფერი რომ მორჩა, გასახდელისკენ მიმავალს კიდევ ერთხელ აუფრიალებია წითელი ბარათი - პეპეს სიტყვები მის მოხსენებით ბარათში წერია და ახლა პორტუგალიელმა შეიძლება ერთ მატჩზე მეტიც გამოტოვოს. ცალკე დაისჯება ჟოზე მოურინიო პრესკონფერენციაზე არგამოცხადებისთვის. მოკლედ, „რეალი" „რეალ სოსიედადთან" თამაშს პრობლემებით ეგებება. აი, ასე უცბათ დატრიალდა ლა ლიგის ჩარხი.



რა მოიმოქმედა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ? ეს ორგანიზაცია ყურებში ატარებს რეალურ, ძალზე სერიოზულ პრობლემას ესპანურ ფეხბურთში - კომიკურამდე აღმაშფოთებელ მსაჯობას. მსაჯები ხშირად, „რეალის" სასარგებლოდ ცდებიან, ახლა კი „სამეფო კლუბი" დაისაჯა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ამას, მთავარია, რომ ესპანეთში არბიტრების დონე საფეხბურთო დონეს ერთი ათად ჩამორჩება. ფედერაციაში კი რომეროს გარჯა მოუწონეს (!!!), ის, მარკო რუბენის მიერ პირველ ტაიმში მიღებული პირველი ყვითელი ბარათიც „გაქრა", თუმცა ფოტო-აუდიო მასალა უხვად ადასტურებს, რომ ფაქტი ნამდვილად მოხდა. ფედერაციაში ერთ რამეში არ დაეთანხმნენ არბიტრს, **კალეხონიც** უნდა გაგეძევებინაო. ამ დროს „მარკამ" მისი გარჯა 10-ბალიანი სისტემით 0 ბალით შეაფასა. სხვათა შორის, ამ მატჩში პარადას რომერომ ერთი დიდი შეცდომა „რეალის" სასარგებლოდაც დაუშვა - **არბელოა** აშკარად მაისურზე ქაჩავდა საჯარიმოში **ნილმარს**, მაგრამ მსაჯის სასტვენი (როცა საჭირო იყო) დუმდა...

მაშ ასე, ვინ არის ტურის ანტიგმირი? მას 2006 წელს ჰქონდა დებიუტი პრიმერა დივიზიონში, მას მერე, რაც სეგუნდა დივიზიონის საუკეთესო მსაჯად დაასახელეს. პარადას რომერო სადაც მსაჯია, იქ მუდამ ბარათების ფრიალია - გაძევებების გარდა, „ვილიარეალთან" მატჩში მან 11 ყვითელი ბარათი აჩვენა. 8-10 ბარათი თამაშში - მისთვის ნორმაა, გაძევებებიც უხვად მოეძებნება. ამ სეზონში მან „რეალს" ერთხელ უკვე გაუძევა ფეხბურთელი - სექტემბერში „რაიო ვალეკანოსთან" მატჩში **ანხელ დი მარია** გააძევა.

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

არ გადადო, დროულად მოირჩინე პროსტატის ადენომა!




ვიქტორ ბერიშვილი

უროლოგია
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

გინეკოლოგია
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

პროქტოლოგია
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

კოსმეტოლოგია
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

დერმატოლოგია
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (გადიდება) არის დაავადება, რომელიც დაკავშირებულია მამაკაცის ასაკის მატებასთან. თუმცა თავისთავად იგი არ არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა და ვლინდება ძირითადად შარდვის გამოყოფის (ნაკადის შესუსტება, ღამით შარდვა და სხვ) გაძნელებით, რაც აურესებს ასაკოვან მამაკაცთა ცხოვრების ხარისხს. უმრავლესობა მამაკაცთა აზრით თითქმის ყველა მამაკაცს აქვს პროსტატის ადენომა. სინამდვილეში ავადდება ყოველი მე 5-6 მამაკაცი, თანაც დაავადება ვლინდება მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილში. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პროსტატის ადენომა, ჩატარებული სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა (ექიმის კონტროლის ქვეშ) იძლევა ძალიან კარგ სასურველ სტაბილურ შედეგ. ხოლო გართულების შემთხვევაში (ძირითადად მკურნალობის დაგვიანების შედეგად) როგორიცაა შარდის შეკავება, სისხლიანი შარდი გარდაუვალი ხდება ოპერაციული მკურნალობა. დროულად მიმართეთ ექიმს რათა თავიდან აიცილოთ არასასურველი გართულებები.

**როდის**
გქონდათ ბოლოს სექსუალური კონტაქტი?
ჩაიტარეთ ბოლოს პროფილაქტიკური გამოკვლევა უროლოგთან ან სექსოლოგთან?
დაუსვით შეკითხვა თქვენს თავს ხომ არ გაქვთ ქლამიდოზი, მიკოპლაზმოზი, კანდიდოზი, ტრიქომონიაზი ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადება?იცით **იცით თუ არა რომ**
B ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც.

**თქვენ**
გაქვთ სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება?
-დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სექსუალური პარტნიორები „სტერილური" და ჯანმრთელები არიან?

**გსურთ**
დაივიწყოთ ინფექციები და ანთებითი პროცესები?
გაიუმჯობესოთ სექსუალური პოტენციალი?
დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სრულფასოვანი ცხოვრება?
ჩაიტაროთ სრული გამოკვლევა და მკურნალობა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან?

**შეგიძლიათ**
არ იყოთ გაურკვევლობაში ყოველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ!
გაიაროთ სრული გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოთ დროული მკურნალობა!
გაიგოთ თქვენი პრობლემების მიზეზი და შესძლოთ მათი მოგვარება!
არ დაკავდეთ თვიმკურნალობით, საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკის "ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას" სპეციალისტები მზად არიან მოაგვარონ თქვენი პრობლემები!

Oxford MEDICAL
☎229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

ჭადრაკი

# ლიდერთა წრე დავიწროვდა

ოთხი მოგება და ამდენივე ყაიმი ერთი მარცხის წილ - ასეთია ქართველთა გუშინდელი მონაგარი მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ბულგარული პლოვდივი მასპინძლობს. ზედიზედ ორი სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა **ბაადურ ჯობავამ** - ხორვატი ვლადიმირ ბუკალი დაამარცხა. მსოფლიოს რეიტინგში მასზე ბევრად მაღლა მდგომ დავიდ ჰოველს (ინგლისი, 2614) აჯობა შავი ფიგურებით **შოთა აზალაძემ** (2419) და ჩვენებურთა შორის დაწინაურდა. **ლევან ფანცულაიას** ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ბორის გრაჩევთან (რუსეთი, 2705) თეთრი ფიგურებით პაექრობისას გარკვეული დროის განმავლობაში მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა შეძლო პოზიციის გათანაბრება და საბოლოოდ - ყაიმი. ასევე დაზავდნენ: ფრენკ ჰოლზკე (გერმანია)-**მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ლომსაძე**-დრაგან შოლაკი (თურქეთი), ნაიმ საჰითაჯი (ესკ)-**ლუკა პაიჭაძე,** ხოლო **დავით ბენიძემ** მასპინძელი გეორგი კიურჩისკი დაამარცხა, **გაიოზ ნიგალიძემ** ეპამინონდას კურუსისს (საბერძნეთი) აჯობა. ერთადერთი პარტია **გიორგი ხელაიამ** წააგო აზერბაიჯანელ ჯახანგირ აგარაგიმოვთან. სამი ტურის შემდეგ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: აზალაძე-2,5, ფანცულაია, მჭედლიშვილი, ლომსაძე, ჯობავა, ბენიძე-2-2, პაიჭაძე, ნიგალიძე-1,5-1,5, ხელაია-0 ქულა.

ფავორიტთა შორისაც არაერთგვაროვანი სატურნირო მდგომარეობაა. დღეისთვის მხოლოდ ცხრა მოჭადრაკე დარჩა უდანაკარგოდ. მათ შორის - ნიკიტა ვიტიუგოვი, ბორის სავჩენკო (ორივე-რუსეთი), არკაიდი ნაიდიჩი (გერმანია), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი), ლუკა ლენიჩი (სლოვენია) და კაიდო კულაოტსი (ესტონეთი). ნახევარ-ნახევარ ქულა დათმეს ჩემპიონატის რეიტინგფავორიტმა ფაბიანო კარუანამ (იტალია), დმიტრი იაკოვენკომ (რუსეთი) და ეტიენ ბაკრომ (საფრანგეთი), რომლებიც, შესაბამისად, ივან პოპოვს (რუსეთი), ალექსანდრ რახმანოვსა (რუსეთი) და რობერტ ჰოვანისიანს (სომხეთი) შეუთანხმდნენ ყაიმზე. ქალთა შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) სამ ტურში ქულანახევარს მოუყარა თავი.

დღეს მე-4 ტურის პარტიები გაიმართება. ქართველები ასე დაწყვილდნენ: აზალაძე-ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია), ვასილი პაპინი (რუსეთი)-ჯობავა, მათეუშ ბარტელი (პოლონეთი)-ბენიძე, მჭედლიშვილი-რამ სოფერი (ისრაელი), ტრაჟკო ნედევი (მაკედონია)-ფანცულაია, ბრანკო დამლიანოვიჩი (სერბეთი)-ლომსაძე, პაიჭაძე-ანიშ გირი (ჰოლანდია), ილია სმირინი (ისრაელი)-ნიგალიძე, ხელაია-საბრი ჰალინი (ესკ).

**ვაჟა დანელია**



თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

# საიტიევი ვეღარ ბრუნდება?

ბოლო ხანებში საჭიდაო სამყაროში ფრიად აქტუალური იყო თავისუფალ ჭიდაობაში სახელოვანი ჩეჩენი ძმების - **ბუვაისა და ადამ საიტიევების** სპორტში დაბრუნების საკითხი. ოლიმპიური, მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ადამ საიტიევი კიდეც დაბრუნდა და იარიგინის მემორიალზეც გამოვიდა, თუმცა ფინალში მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონ **დენის ცარგუშთან** დამარცხდა. ქომაგებისთვის უფრო აქტუალური უფროსი ძმის, 37 წლის სამგზის ოლიმპიური და მსოფლიოსა და ევროპის ექვს-ექვსგზის გამარჯვებულ ბუვაისა საიტიევის საკითხი იყო. ის **ალექსანდრ კარელინსა** და **ალექსანდრ მედვედთან** ერთად სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონთა ტრიოში შედის და ლონდონში რეკორდზე სურდა წასვლა, თუმცა როგორც მისი პირადი ქართველი მწვრთნელი **დიმიტრი მინდიაშვილი** ამბობს, ახლა ოლიმპიადაზე მისი გამოსვლა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. *„მას დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ახლა საკუთარი თავის რწმენა შეერყა. ბუვაისას მართლაც შეეძლო წარმატებით დაბრუნება, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო, ყველა დანარჩენ საქმეს - პოლიტიკას, ბიზნესს და სხვას ჩამოშორებოდა. სამწუხაროდ, ეს არ გააკეთა. ამიტომ ოლიმპიადაზე მისი გამოსვლა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა“*, - განუცხადა ქართველმა მწვრთნელმა რუსულ მედიას. რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში საიტიევი **ვლადიმირ პუტინის** ნდობით აღჭურვილი პირი ყოფილა, რამაც, მინდიაშვილის თქმით, დიდი დრო წაიღო, ერთბაშად ორი დიდი საქმის კეთება კი შეუძლებელიაო, დასძინა მან. მინდიაშვილმა არც ის დამალა, რომ პერსპექტივას ვერც საიტიევის რუსეთის ჩემპიონატში გამოსვლაში ხედავს, რომელიც იქაურებისთვის საოლიმპიადოდ მთავარი შესარჩევი შეჯიბრება იქნება და მაისში გაიმართება. ჟურნალისტები მწვრთნელს ადამ საიტიევის შანსებზეც დაეკითხნენ და მინდიაშვილმაც ძმების საინტერესო შედარებითი დახასიათება გააკეთა: *„ადამი მაღალი კლასის მებრძოლი, ენერგიული, ჭკვიანი, ტექნიკური, ფიზიკურად კარგად მომზადებული და აკურატული სპორტსმენია. ისინი ღვიძლი ძმები არიან, მაგრამ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან - ადამი უფრო წყნარი, მოქნილია და უფრო გულმოდგინედაც ვარჯიშობს. ის ოთხი წლის შემდეგ წარმატებით დაბრუნდა და იარიგინის ტურნირზე ვერცხლიც მოიპოვა. ცხადია, ცარგუშთან კონკურენცია ძნელი იქნება, მაგრამ არ გამიკვირდება, რუსეთის ჩემპიონატზე მოუგოს მას“*.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ საიტიევი სპორტიდან წავიდა, კრასნოიარსკიდან დაღესტნურ ხასავიურტში გადასახლდა, სადაც საკუთარი სახელობის საჭიდაო სკოლა გახსნა.

**ირაკლი თავაძე**

ადამიანი დროში

## მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს და ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების მე-60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს, ვეტერან ძალოსანს **რაფაელ ჩიმიშკიანს.**



რაფაელ ჩიმიშკიანი

# რკინასთან ჭიდილში გალეული წლებით

თბილისში დაიბადა და გაიზარდა. უბნელ ბიჭებთან ერთად ხან ბურთს დასდევდა, ხან ჭიდაობდა, მტკვარსა და მდინარის სანაპიროზე "კუპალნიაში" თანატოლებს ცურვაშიც არაერთხელ გასჯიბრებია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებში სპორტზე სერიოზულად არც უფიქრია. აი, 16 წლისამ კი ბესიკის ქუჩაზე ძერჟინსკის სახელობის კლუბის ძალოსნობის სექციას მიაკითხა. პაველ გუმაშიანის ხელმძღვანელობით სამი თვეც არ ჰქონდა ნავარჯიშები, თბილისის ჩემპიონი რომ გახდა. მისდა გასაკვირად, ახალბედა ძალოსანი საქართველოს ნაკრებში ჩარიცხეს - გორკში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზა და მე-9 ადგილი დაიკავა. ეს იყო **რაფაელ ჩიმიშკიანის** დებიუტი დიდ სპორტში, რომელსაც 18 წელიწადი შეალია - 1946-დან 1964 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების (1952 წ) გამარჯვებულმა ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა (1954-1955) მოიპოვა და ამდენჯერვე მეორე ადგილებზე გავიდა. ევროპის პირველობებზე ექვსჯერ (1950, 1951, 1954-1957) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და ერთხელ ვერცხლი ერგო. საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონმა (1949-1960) და მსოფლიოს 11-გზის რეკორდსმენმა 1951 წელს მსოფლიო უნივერსიადა მოიგო. ამგვარი რეგალიების პატრონს გულდასაწყვეტი თითქოს რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირად საუბრებში ძია რაფოს არაერთხელ გამოუთქვამს სინანული „ზე მდგომთა“ უსამართლობის გამო: რუსებზე ერთი თავით მაღლაც რომ ვმდგარიყავი, მაინც მჩაგრავდნენ. ასე რომ არ მომქცეოდნენ, მეტი ჯილდო მექნებოდაო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1956 წელი გაიხსენა: „მელბურნის ოლიმპიადისთვის უზბეკეთის დედაქალაქში ვემზადებოდით. ერთ-ერთ კრებაზე ქართველთა მოძულე მსოფლიოს ჩემპიონმა არკადი ვორობიოვმა რატომღაც სტალინის ლანძღვა დაიწყო. მოულოდნელად ტრიბუნასთან გაჩნდა არსენ მეკოკიშვილი და ისეთი გაულაწუნა ვორობიოვს, რომ ძლივს მოაბრუნეს. მეორე დღეს არსენი ოლიმპიური შეკრებიდან დაითხოვეს. შინ გამომგზავრების წინ მითხრა, რაფო, შენ იცი, უნდა გვასახელოო. თურმე სად ხარ - ტაშკენტის აეროპორტში ავსტრალიაში წამსვლელთა სია წაიკითხეს. ჩემი გვარი იქ არ აღმოჩნდა. მწვრთნელს რომ ვკითხე, რა ხდება-მეთქი, ფორმაში არ ხარ, უდოდოვი და ევგენი მინაევი უკეთ არიან მომზადებული და მელბურნში ისინი იასპარეზებენო. ორივემ წააგო ოლიმპიადა“.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა რაფაელ ჩიმიშკიანი 1957 წელს. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატი თეირანში გაიმართა. თბილისელი ათლეტი საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო. საწვრთნელ შეკრებაზე მსოფლიო რეკორდებზე უფრო მძიმე შტანგებს ეწეოდა, მაგრამ ირანის დედაქალაქის ფიცარნაგზე გამოსვლის საშუალება არ მისცეს: თეირანში გამგზავრების წინა ღამეს რადიოთი მოისმინა - მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი რაფაელ ჩიმიშკიანი ავად არის და ჩემპიონატზე ვერ გამოვაო. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ირანის შეიხმა ბახტიარმა, რომელიც იქაური ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელი იყო, სარეკორდო ტურნირი მოაწყო. შაჰინშაჰიც დაესწრო. ჩიმიშკიანს იქ მონაწილეობას ვინ აუკრძალავდა და მანაც 110 კილო აიტაცა, 143,5 კილო აკრა. "ავადმყოფმა" სპორტსმენმა ორივე მოძრაობაში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა...

სახელოვანი ათლეტი ყველაზე ტკბილად ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებს იხსენებს. ჩიმიშკიანმა, რომელსაც დარბაზში ქართველი მეგობრები - **გივი კარტოზია** და **ვახტანგ ბალავაძე** ქომაგობდნენ, 97,5-კილოგრამიანი შტანგა აჭიმა, 105 კილო აიტაცა, 135 კილო აკრა და სამჭიდში 337,5 კილოგრამით ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. "შეჯიბრების წინ კარტოზიამ მხარი მხარზე მომადო და სამჯერ გაიმეორა - ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენო! ამგვარმა გამხნევებამ ჩემზე დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა, - მითხრა ბატონმა რაფაელმა. - ასპარეზობისას ერთხანს საბჭოთა გუნდის წევრი ნიკოლაი საქსონოვი მიწევდა მეტოქეობას, მაგრამ ბოლოს მაინც ვერცხლს დასჯერდა. ოლიმპიურ სოფელში ქართველებს დიდი ზეიმი გვქონდა - ამურ ციმაკურიძემ ორიოდე საათით დამასწრო ჩემპიონობა, მერე ჩვენი ულამაზესი მზია ჯუღელი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ქართველმა გოგო-ბიჭებმა ვერცხლი და ბრინჯაოც საკმაოდ მოიხვეჭეს ჰელსინკში. უზომოდ ბედნიერები ვიყავით".

ქართველ "გოგო-ბიჭებთან" რაფაელ ჩიმიშკიანის მეგობრობა დღემდე გრძელდება - არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, დაბადების დღე თუ სხვა დღესასწაული ისე არ ჩაივლის, რომ მათთან ერთად არ იყოს. არც ქართველები რჩებიან ვალში - დღეს ისინი იქნებიან რაფაელ ჩიმიშკიანის გვერდით: სახელოვანი ძალოსანი დაბადებიდან 83-ე და ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების მე-60 წლისთავს აღნიშნავს.

ძია რაფო, ჩვენც გილოცავთ იუბილეს!

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. ინტერვიუ გია თენაძესთან

# [illegible]

## რუსები ანთალიაში ჩვენი ძიუდოისტების სანახავად ჩამოვიდნენ

**ახლახან ჭაბუკ ძიუდოისტთა ანთალიის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოდან ორი ოქროს მედალს დაეუფლა, ხუთ-ხუთმა კი ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ირგუნა. საერთო გუნდურ მონაგარს გოგონებმა კიდევ ორი ბრინჯაოს მედალიც მიუმატეს. ეს ჩვენი ნაკრების წლევანდელი პირველი უცხოური შეჯიბრება იყო. გუნდი ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია, უახლოეს ორ თვეში გამართულ შეკრებებსა და ტურნირებზე წონით კატეგორიებში ფავორიტები და ივნისისთვის ევროპის ჩემპიონატის შემადგენლობა გამოიკვეთება. ანთალიაში გამოსვლის შეფასებასა და გუნდების სამომავლო გეგმებზე ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია თენაძე გვესაუბრება.**

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს პირველობის წინ გამართულმა სარეიტინგო ტურნირებმა დადებითად იმოქმედა გუნდის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბების პროცესზე. ტურნირები მაღალ დონეზე ჩატარდა და ქვეყნის პირველობისთვის საშუალება მოგვცა განგვეთესა პერსპექტიული ძიუდოისტები, რათა ადრეულ ეტაპზევე ერთმანეთთან პაექრობის და შესაბამისად რომელიმე მათგანის მწვრთნელთა თვალთახედვის არედან დაკარგვის საფრთხე მინიმუმამდე შემცირებულიყო. ანთალიაში საასპარეზოდ ვაჟთა გუნდი სწორედ საქართველოს პირველობის ფინალისტებით დავაკომპლექტეთ და დავამატეთ პერსპექტიულად მიჩნეული რამდენიმე ძიუდოისტი. უარი არ გვითქვამს მათთვისაც, ვინც ანთალიაში საკუთარი ხარჯით წამოსვლა და ტურნირზე კიდევ ერთი შანსის მიცემა ითხოვა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათ სახარბიელო შედეგებით გაგვაოცეს.

**- ნაკრების ასპარეზობის ზოგადი დონით კმაყოფილი დარჩით?**

- ჩვენმა ძიუდოისტებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ცხადია, მოპოვებული მედლების ოდენობა არ არის ცოტა. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრების წევრთა 90 პროცენტი პირველად იყო უცხოეთის არენაზე. ამასთან, ნაკრებს ჯერ არ გაუვლია საერთო ფიზიკური მომზადება, სხვა ხასიათის მეცადინეობები. მოვემზადებით საწვრთნელ შეკრებებზე, გამოვალთ მომდევნო საერთაშორისო ტურნირებზე და იმედი გვაქვს ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით. მარტის ბოლოს უკრაინაში, მაისის ბოლოს კი გერმანიის ევროპის თასებზე გამოვალთ, ხოლო კონტინენტის ჩემპიონატი ივნისში გველის.

**- ანთალიაში განსაკუთრებით ალბათ 55 კგ-ის ძიუდოსიტებით დარჩებოდით კმაყოფილი...**

- ამ წონაში ფაქტობრივად სამი ერთმანეთზე უკეთესი სპორტსმენი გვყავს. ფავორიტი ანთალიაში ვერ გამოიკვეთა. გიორგი კაციაშვილმა გორში გამართული სარეიტინგო ტურნირი, შემდეგ კი საქართველოს პირველობა მოიგო ერთგან ერეკლე არხოზაშვილს სძლია, მეორეგან ბექა ნათათრალიშვილს, თურქეთში კი ორივეს ჩამორჩა. ის მესამეზე გავიდა, ჩემპიონი ბექა გახდა, ფინალისტი - ერეკლე. დამეთანხმებით, რომ აქ საუკეთესოს გამორჩევა ძნელი იქნება, ოღონდ რა არჩევანიც გინდა გავაკეთოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატზე სამივეს დაახლოებით თანაბარი შედეგის მოპოვება შეუძლიათ.

**- საერთოდაც მსუბუქ წონებში უფრო ბევრი მედალი მოიპოვეთ, ზედა წონები გუნდის სუსტი მხარე ხომ არაა?**

- ზოგადად არც ზედა წონების გამოსვლით ვარ უკმაყოფილო, რადგან მათ პოზიციები ძირითადად გადაზრდილი რუსების გამო დათმეს. თუმცა ასაკით უფროსმა რუსებმა სულ მცირე უპირატესობებით მოუგეს ჩვენებს. მათ ნაკრებში ეს მავნე ჩვევა ტრადიციულ ხასიათს რომ ატარებს, ყველამ იცის. ამ გუნდში ერთი კი არა, ორი სამი წლით

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჯანსაღი ცხოვრების წესი

# კალათბურთით, ნარკომანიის წინააღმდეგ



გუშინ გორს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** სტუმრობდა. სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მან ცენტრალური სასპორტო სკოლის ახალგარემონტებული საკალათბურთო დარბაზი მოინახულა და ამ ბაზის განახლების შემდეგ აქ გამართულ პირველ შეჯიბრებასაც დაესწრო. საკალათბურთო ტურნირი, რომელიც საქართველოს პროკურატურის ეგიდით ახალგაზრდებს შორის ნარკომანიის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს, გორის საჯარო სკოლების მონაწილეობით გუშინ დაიწყო. მონაწილეებს და მაყურებლებს ლადო ვარძელაშვილმა და მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ **დავით საყვარელიძემ** მიმართეს. „მინდა გაგახსენოთ, რომ ეს რეგიონი სულ რამდენიმე წლის წინათ მთელ საქართველოს ამარაგებდა ნარკოტიკული ნივთიერებებით. საბედნიეროდ, ახლა ვითარება სასიკეთოდაა შეცვლილი. შემცირდა ნარკოტიკების შემოტანა - შეძენა და ზოგადად მომხმარებელთა რაოდენობაც ჩვენს ქვეყანაში. ეს პროგრამა მნიშვნელოვანია ყველასთვის, განსაკუთრებით კი თქვენთვის, ახალგაზრდებისათვის. ყველამ უნდა ვუთხრათ უარი მავნე ჩვევებს და ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით, ვუერთგულოთ, ამ შემთხვევაში, თუნდაც სპორტს“ - თქვა ვლადიმერ ვარძელაშვილმა. სკოლებს შორის შეჯიბრებას, ცხადია, ძირითადად მოსწავლეები ესწრებოდნენ და მათ მინისტრმა სიახლის შესახებაც აუწყა - მომავალი სასწავლო წლიდან სკოლებში სპორტის გაკვეთილებზე შეისწავლება უკვე რვა სპორტის სახეობა, რომლებში მეცადინეობის საშუალებასაც კონკრეტული სკოლა იძლევა. ყველა ამ სახეობებში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება პირველობები. გამარჯვებული გუნდები ნავლენ საზღვარგარეთ.

შეჯიბრების გახსნას ესწრებოდნენ აგრეთვე ქართული კალათბურთის წარსულში ცნობილი ოსტატები **ნიკოლოზ დერიუგინი, გივი ბიჭიაშვილი, ვაჟა ყლენტი, ვაჟა გვანცელაძე** და ნაკრების ამჟამინდელი წევრი **გიორგი ცინცაძე.**

„ჩვენ ჩამოვედით გორში ახალგაზრდა კალათბურთელების და ზოგადად კალათბურთის მხარდასაჭერად. სასიხარულოა, რომ განახლებული დარბაზი ასე ლამაზად გამოიყურება და, რაც მთვარია, სავსეა მაყურებლებით. გვინდა წარმატება ვუსურვოთ ახალგაზრდა კალათბურთელებს“ - გვითხრა ნიკოლოზ დერიუგინმა.

შეჯიბრება გორის დარბაზში კვირას დასრულდება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

● გამოფენა

# ქარვასლა ლელოელის ფოტოები

**ზურაბ ხორავამ,** როგორც ერთ-ერთმა გამორჩეულმა ჟურნალისტმა დაამახსოვრა თავი „ლელოს“ უფროსი თაობის მკითხველებს. ყმაწვილებიდან მეგობრობდა უნიჭიერეს ხელოვანთან და მთამსვლელთან **გურამ თიკანაძესთან,** ეზიარა მისეულ ფოტოხელოვნებას და იმ დროიდან მისთვის ფოტოაპარატი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. პუბლიკაციების დამამშვენებელ ფოტოებთან ერთად მისი არაერთი მხატვრულ-დოკუმენტური კადრი გამოქვეყნდა „ლელოს“ ფურცლებზე.

გუშინ თბილისის ძველ უბანში, „ქარვასლის“ საგამოფენო დარბაზში ზურაბ ხორავას ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების ფოტოგამოფენა გაიხსნა, რომელიც ერთი კვირა გასტანს. გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტოხელოვანის მრავალწლიანი მოღვაწეობის ყველაზე შთამბეჭდავი ნამუშევრები. ჩვენი თხოვნით, ერთ-ერთ ფოტოსთან ზურაბი მისმა ქალიშვილმა ქეთევანმა გადაიღო საგამოფენო დარბაზში იმ სურათთან, რომელზედაც ცნობილი მთამსვლელი **ბიძინა გუჯაბიძეა** აღბეჭდილი კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათის რესტავრაციის მიმდინარეობის დროს. ერთდროულად გამოიფინა 20 წლის თბილისელი ქალიშვილის **ბაია ლომსაძისა** და პოლონელი **ანჟეი პეჩოს** ნამუშევრები.

**თენგიზ თომაშვილი**
ქეთევან ხორავას ფოტო



# ანთალიური გამონათება



55 კგ-ის კვარცხლბეკი, რომელზეც სამი ქართველი ძიუდოისტი ავიდა

« მე-10 გვერდიდან

გადაზრდილის ნახვაც არ უნდა გაგიკვირდეთ. მოგეხსენებათ უფროსი ასაკის ძიუდოისტი მსუბუქ წონაში ნაკლებად ჩერდება, უფრო მაღალ წონებში გადადის, შესაბამისად თანატოლები მსუბუქ წონით კატეგორიაში უფრო ხვდებოდნენ ერთმანეთს. შედეგიც სწორედ ამიტომ აქ მივიღეთ უფრო სახარბიელო.

**- ანთალიიდან რუსებმა მედლებიც ყველაზე მეტი წაიღეს ...**

- ორი გამარჯვებული ჩვენია, ერთი აზერბაიჯანის, დანარჩენი რუსეთის. საინტერესოა, რომ შარშან რუსები ამ შეჯიბრებაზე არ ჩამოსულან, წლეულს კი როგორც პირად საუბარში გვითხრეს, პირველ ყოვლისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებების, როგორც ევროპის ჩემპიონატზე უშუალო კონკურენტების სანახავად ესტუმრნენ თურქეთს.

**- გოგონების ასპარეზობაც შეაფასეთ...**

- გოგონებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით მარიამ ჯანაშვილის (57 კგ) ერთადერთი წაგებული შეხვედრა იყო დასანანი. როგორც იტყვიან, მეტოქემ კი არ მოუგო მას, ამან წააგო შეხვედრა. მარიამს შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მცირედი დააკლდა კვარცხლბეკამდე და მეხუთე ადგილზე გავიდა. კარგად იჭიდავა გურანდა შოთაძემ (57 კგ). ვფიქრობთ, რომ წლეულს ჩვენს გოგონებს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მედლებისთვის ბრძოლის არცთუ ურიგო შანსები აქვთ.

**- როგორც შევიტყვეთ ძიუდოს ფედერაცია რაიონებში ე. წ. ღია გაკვეთილების გამართვას იწყებს...**

- უახლოეს დღეებში ძიუდოს მწვრთნელთა ჯგუფი ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ყველა რაიონში დავიწყებთ ღია გაკვეთილების ჩატარებას. დავესწრებით მეცადინეობებს და სპორტსმენებს მწვრთნელებთან ერთად გავაცნობთ სიახლეებს, სტიმულს მივცემთ ძიუდოში უფრო საფუძვლიანი ვარჯიშებისთვის და მოვუწოდებთ მისი სიღრმისეული შესწავლისაკენ. ამასთან, იმედისმომცემ ბავშვებთან უშუალო ურთიერთობა, ახალი ტალანტების წარმოსაჩენი კარგი საშუალებაა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ სპორტის მინისტრის მხრიდან წახალისებამ და ყურადღებამ თავის დროს დიდი როლი ითამაშა ბექა ღვინიაშვილის ამჟამინდელ წარმატებებში. ადრე როდესაც ბატონი ლადო ვარძელაშვილი ჯერ კიდევ შიდა ქართლის გუბერნატორი იყო, ერთ-ერთი კულტურულ-სპორტული ღონისძიებისას, ქართული ჭიდაობის ნახერხმოყრილ არენაზე ნახა ღვინიაშვილის ჭიდაობა და დაინტერესდა ვარჯიშობდა თუ არა იგი ჭიდაობის სექციაში. ბექა მაშინ გორის ძიუდოზე უკვე დადიოდა, მაგრამ პარალელურად მეცადინეობდა ცეკვაზეც და სიმღერის ჯგუფშიც. ბატონმა ლადომ შემდეგაც კიდევ არაერთხელ გვკითხა მისი სპორტული დონის ზრდის თაობაზე, მოგებული ტურნირების შემდეგ კი სპეციალური პრიზიც რამდენჯერემე თვითონ გადასცა. საპასუხოდ, მწვრთნელებმა ცხადად შევატყვეთ, რომ ღვინიაშვილი გაზრდილი ენთუზიაზმით შეუდგა ვარჯიშს, საკუთარი ინტერესებიდან წინა პლანზე მხოლოდ ძიუდო წამოსწია და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ფალავანს რა მიღწევები აქვს - ქართული სპორტის ქომაგს შესანიშნავად მოეხსენება.

**ვასილ ბალახაძე**
დავით ასპანიძის ფოტო

● სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

# გაგამარუ ნაადრევად ჩამოწერეს

ოსაკაში ნაადრევად ჩამოწერეს დებიუტანტი კომუსუბი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი).** პირველი 6 ორთაბრძოლის წაგების შემდეგ 210-კილოგრამიანმა ქართველმა ფალავანმა 6-დან 5 ორთაბრძოლა მოიგო. გუშინ მან ოშიდაშით **ტოჩინოვაკას** გაუფორმა უარყოფითი ბალანსი. გაგამარუს ჯერ კიდევ ბევრი დარჩა დადებით ბალანსამდე - სამივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. თუმცა ახლა, ეს უკვე რეალურია...

**ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** მე-2 გამარჯვება მიითვალა ბაშოზე, ხოლო **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** - მე-9 მარცხი.

11-11 მოგებით ოსაკაში ორი მონღოლი ლიდერობს, დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და სეკივაკე **კაკურიუ.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### XII დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოოოშუ (უვატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (იორიკირი), კისენოსატო-ტოიონოშიმა (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ბარუტო (იორიტაოში), მიოგირიუ-ამინიშიკი (ოშიდაში), კაკურიუ-შოტენრო (იორიკირი), **გაგამარუ**-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე (იორიკირი), კიოკუტენჰო-ტოკიტენკუ (იორიკირი), არანი-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი). **ძურიო:** კიმურაიამა-**კოკაი** (ჰატაკიკომი).

### სატურნირო მდგომარეობა

**11-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (სეკივაკე).
**10-2:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი)... **5-7:** გაგამარუ (კომუსუბი)... **2-10:** ტოჩინოშინი (მაეგაშირა 3).

### XIII დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოოშუ-არანი, კოტოშოგიკუ-კაკურიუ, ბარუტო-ჰარუმაფუჯი, ტოკიტენკუ-ამინიშიკი, **გაგამარუ**-მიოგირიუ, იოშიკაძე-ტოჩიოძანი, ტოჩინოვაკა-კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-ჩიიონოკუნი, ტოიოჰიბიკი-ტოიონოშიმა, ვაკაკოიუ-აოიამა. **ძურიო: კოკაი**-სატოიამა.



მარჯვნივ გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)

● სამთო თხილამურობა

# ბრინჯაოს 0,07 წამმა დააშორა

ქართველი მოთხილამურეების ერთი ნაწილი ამჟამად უცხოეთში იმყოფება და ევროპის სამთო კურორტების თოვლიან ტრასებზე ცდის ძალებს. **ჯაბა გელაშვილმა** იტალიურ ტემუში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. პირველ დღეს სლალომში 1.44,14-ით მეექვსე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იტალიელი მონკს პიერსფრანჩესკო (1.42,44) ავიდა. მეორე დღეს კი ჯაბას ბრინჯაომდე 0,07 წამი დააკლდა - ორი დისტანციის ჯამში (1.41,87) მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. პირველი-მესამე ადგილები მასპინძლებმა გაინაწილეს: 1. მონკს პიერფრანჩესკო (1.40,89), 2. ნიკოლა ოტელი (1.41,56), 3. ტომას ჰოლი (1.41,74).

გელაშვილმა იტალიიდან ავსტრიის ჭაბუკთა ღია პირველობაზე გადაინაცვლა, მაგრამ გიგანტურ სლალომში, სამწუხაროდ, მეორე დისტანცია ვერ ჩაამთავრა.

**ვაჟა დანელია**

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

# ქართული სპორტი

## ძიუდო. მეტოქე

# ხაიბულაევი და ისაევი ვერ დაგვიდგებიან

რუსეთის ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების ხელმძღვანელობას ჯერ არ დაუსახელებია 26-28 აპრილს ჩელიაბინსკში გასამართავ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა, თუმცა დაღესტნური ინტერნეტსაიტების ცნობით, ტურნირში არ იჭიდავებენ იქაურები, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **მანსურ ისაევი** (73) და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ტაგირ ხაიბულაევი** (100). ისაევი 900 ქულით ოლიმპიურ რეიტინგში მეოთხეა და ვინაიდან ლონდონის ოლიმპიადის საგზური განაღდებული აქვს, თამაშებისთვის ინდივიდუალურად მომზადება გადაუწყვეტია. ის მსოფლიოს პრიზიორი 2009 წელს როტერდამში გახდა, შარშან კი მასტერსის, იაპონიის „დიდი მუზარადისა" და ამსტერდამის „დიდი პრიზის" ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო წლევანდელ მასტერსზე მესამე იყო. ამ წონაში ლონდონის ოლიმპიადის საგზურს ჩვენგან **ნუგზარ ტატალაშვილი** ინაღდებს, რომელიც მანსუროვს არასოდეს შეხვედრია. თავის მხრივ ავარელ ფალავანს ორჯერ უჭიდავია ქართველებთან და ორჯერვე დამარცხდა - 2007 წელს თბილისის ტურნირზე **მინდია ხომიზურთან** დამარცხდა, იმავე წელს კი ბაქოს მსოფლიოს თასზე **ზაზა კედელაშვილთან** წააგო.

ხაიბულაევიც ავარელია, რომლისთვისაც თბილისი ფეხბედნიერი ქალაქი გამოდგა - 2009 წელს აქ გახდა კონტინენტის ჩემპიონი, მსოფლიოს პირველობა კი შარშან მოიგო პარიზში. აი, იქაურობა კი ცუდად დასცადა - ცოტა ხანში ტრავმა მიიღო და მას შემდეგ არსად უჭიდავია. ამასობაში სალიცენზიო რეიტინგში თანაგუნდელმა **სერგეი სამოილოვიჩმა** გადაუსწრო და ოლიმპიადაზე წასვლის უფლების მოსაპოვებლად ჩელიაბინსკში ჭიდაობა ჰაერივით სჭირდებოდა, მაგრამ დღემდე ვერ გამოჯანმრთელდა. ხაიბულაევი ჩვენებისთვის უხერხული მეტოქეა - მას ხუთჯერ მოუგია ჩვენებურებთან და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა. იმ ხუთიდან ორი მოგება **ლომერ ჟორჟოლიანთან** მიითვალა, რომელიც სადღეისოდ ჩვენგან ოლიმპიადაზე წასვლის უმთავრესი კანდიდატია - 2009-ში თბილისის ტურნირზე და 2010-ში სან პაულუს მსოფლიოს თასზე. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძეა** ერთადერთი ქართველი, ვინაც ხაიბულაევის დამარცხება მოახერხა. ეს 2006 წელს ისევ თბილისის ტურნირის ფინალში მოხდა, ოღონდ მაშინ ორივე 90-ში ჭიდაობდა.

სამაგიეროდ, ევროპაზე იასპარეზებს კიდევ ერთი ავარელი, კონტინენტის ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი** (81). მან ამ წარმატებას ორი წლის წინ ვენაში მიაღწია, შარშან კი ამავე რანგის შეჯიბრებაზე სტამბოლში ფეხში ხელით შესვლისთვის **ვლადიმერ ნუცუბიძემ** მოხსნა და მერე მესამეზე გავიდა. ის ქართველებს მრავალჯერ შეხვედრია, წონის ლიდერებიდან კი **ლევან წიკლაურთან** მოუგია, **გიორგი ბაინდურაშვილთან** კი ერთი მოგება და ორი წაგება აქვს.

მართალია, ხაიბულაევიც დაღესტნელია და მან მაგომედოვზე ერთი წლით ადრე მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, მაგრამ ის სამარაში ცხოვრობს და ამიტომ დაღესტნელები მაგომედოვს მიიჩნევენ თავიანთი რესპუბლიკის პირველ ძიუდოისტად, რომელმაც პირველხარისხოვანი შეჯიბრების მოგება შეძლო. საინტერესოა, რომ მაგომედოვიც და ისაევიც ერთი ქალაქიდან - ყიზილ-იურტიდან არიან.

**ირაკლი თავაძე**

## ქართველი NBA-ში



# გაუ-მარ-ჯოს!

### თომპსონი და ფაჩულია

ტრისტანს მოვუსმინოთ:

*- კვირას **ზაზა ფაჩულიამ** დამამარცხა. მოხსნებიც არ დამანება, სამწამიანი ზონიდან გამაგდო და საერთოდ, მოედანზე დამანარცხა. ეს დაუშვებელია. მაქვს შანსი განმეორებით მატჩში შეცდომა გამოვასწორო, ზედმეტად ვიაქტიურო და ფაჩულიას მოხსნა არ დავუთმო.*

ტრისტან თომპსონი „კლივლენდის" მეფარეა, რომელსაც „ატლანტა ჰოქსთან" ბოლო ოთხ დღეში ორჯერ მოუწია დაპირისპირება. ზემოთ მოხმობილი ფრაზა თომპსონმა სამშაბათს თქვა. ოთხშაბათს კი ჯორჯიელებმა მეორედაც დაამარცხეს „კავალერები". ამჯერადაც 103 ქულა ჩაუგდეს, თუმცა საკუთარ კალათში 102 მიიღეს. რაც შეეხება ზაზასა და ტრისტანის დუელს, კლივლენდელმა ქართველს ვერც ამჯერად აჯობა. შედარებისთვის სტატისტიკას შემოგთავაზებთ. ფაჩულია: 48 წუთი, 14 ქულა, 7 მოხსნა. თომპსონი: 41 წუთი, 13 ქულა, 5 მოხსნა.

თუმცა ტრისტანმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ ზაზას სარეკორდო სვლა შეაწყვეტინა - კარიერაში პირველად ფაჩულიას ზედიზედ ექვსჯერ ჰქონდა გადალახული ათმოხსნიანი ბარიერი. „კლივლენდთან" კი 7 მოხსნა მოაგროვა.

### დრიუ ზაზას: შენი ბოლომდე მჯერა!

კვირის მატჩში „ატლანტამ" სტუმად „კავალიერსს" იოლად - 103:87 სძლია. გუშინ გამთენიისას კი შეხვედრა იმდენად საინტერესოდ წარიმართა, რომ ღამის გატეხად ნამდვილად ღირდა. საწყის სამ პერიოდში „ატლანტას" ჩვეული თამაში არ გამოუვიდა, „კლივლენდს" საგანგებოდ ჰქონდა გადაკეტილი პერიმეტრი. ამიტომ მასპინძლებმა აქცენტი ფარქვეშიდან შეტევაზე გააკეთეს. ეს კარგად გამოსდიოდა **ჯოშ სმიტს**, რომელმაც საბოლოოდ 32 ქულას მოუყარა თავი. შედეგიანად უტევდა ფაჩულიაც, რომელიც მეოთხე რაუნდს 14 ქულით შეხვდა. მიმდინარე სეზონში მისი რეკორდი 16 ქულაა. მესამე პერიოდის შემდეგ იმედი გაჩნდა, რომ ამ მაჩვენებელს თუ არ გააუმჯობესებდა, გაიმეორებდა მაინც. ზაზამ მეოთხე პერიოდი და ოვერტაიმი შეუცვლელად ითამაშა, თუმცა ქულათა მონაგარი ვერ გაიმდიდრა და რეკორდი შემდეგისთვის გადადო. არადა, იყო ეპიზოდი, როცა ზუსტი ტყორცნით ფაჩულიას მატჩის ბედის გადაწყვეტაც შეეძლო: ოვერტაიმის დასრულებამდე 32 წამით ადრე (ანგარიშზე 101:101) ხელსაყრელი პოზიციიდან სტყორცნა. მაშინ, როცა ყველას ბურთი კალათში ეგონა, ნასროლმა მიზანს ვერ მიაღწია. გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" ეს ეპიზოდი „დენვერთან" ფაჩულიას მიერ ბოლო წამზე აცილებულს შეადარეს:

„ზაზამ მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. ბოლო წუთებზე რომ არ აეცილებინა...

მის შესახებ მწვრთნელ **ლარი დრიუს** ვკითხეთ, რომელმაც აღნიშნა:

- ფაჩულიას ვუთხარი: შესაძლოა, ერთი მნიშვნელოვანი ტყორცნა გააფუჭო, მაგრამ ამით ჩემი შენდამი დამოკიდებულება არ შეიცვლება. კვლავაც ბოლომდე გენდობი, როცა საქმე გუნდის წინა ხაზს ეხება, მსოფლიოში ყველაზე მეტად შენი მჯერა-მეთქი."

ამიტომაცაა, დრიუმ ფაჩულია 48 წუთი რომ ათამაშა, რაც მიმდინარე სეზონში ქართველის პირადი რეკორდია.

### ჯოში და ჯო

ბოლოს ორიოდე სიტყვა მატჩის ქრონოლოგიაზეც უნდა ვთქვათ. თამაშის დასრულების შემდეგ ნებისმიერი გულშემატკივარი (მნიშვნელობა არ აქვს, რომელ გუნდს ქომაგობდა) ემოციურად დადებითად დაიმუხტებოდა.

პირველი მეოთხედი „კლივლენდისა" იყო, რომელმაც მე-16 წუთზე 16-ქულიან უპირატესობას მიაღწია (42:26). სწორედ ამის შემდეგ გაიღვიძა ჯოშ სმიტმა, ზედიზედ 8 ქულა ჩააგდო, მას ზაზა (4 ქულა) და **სტეკჰაუზიც** (ორი სამქულიანი) შეეშველნენ და მეორე პერიოდის დასრულებამდე 44 წამით ადრე „ატლანტა" 54:53 დაწინაურდა.

მესამე თორმეტწუთეულს 2 წუთი უკლდა, როცა მწვრთნელმა ფაჩულია კოლინზით შეცვალა. ამ მცირე მონაკვეთში ჯორჯიელებს 7-ქულიანი ფორა ხელში „შემოადნათ" და გადამწყვეტ რაუნდს უპირატესობით „კავალიერსი" შეხვდა - 73:72.

მეოთხე პერიოდისთვის **ჯო ჯონსონიც** გამოფხიზლდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის კალათბურთელია: საფინალო სირენასთან ერთად სამქულიანი კალათში ჩაუშვა (91:91) და წაგებული თამასი შემოატრიალა.

ოვერტაიმში **კაილ ირვინგის** (29 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი) აქტიურობით „კლივლენდი" წინ გაიჭრა - 101:95. სირენამდე 1:27 წუთით ადრე ექვსქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ურთულესი საქმეა, მაგრამ ჯონსონისა და სმიტის სიზუსტის წყალობით „ატლანტამ" ამჯერადაც შემოატრიალა და რა ანგარიშითაც გაიმარჯვა, უკვე მოგახსენეთ.

| ატლანტა-კლივლენდი | | 103:102 |
|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 48 წუთი, 14 ქულა (12-დან 5 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 4 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 10:12 | 5-2 | ფოლი: 1 |
| 9:22 | 11-6 | ორქულიანი: [illegible] |
| 5:11 | 25-15 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ) |
| 2:57 | 28-16 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 2:50 | 28-16 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 11:11 | 36-23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 11:11 | 36-23 | ორქულიანი: 6ქ |
| 10:56 | 36-23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 8:08 | 42-28 | საჯარიმოები: 2/2 (8ქ) |
| 3:08 | 48-42 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 3:00 | 48-42 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 2:49 | 48-44 | ორქულიანი: 10ქ |
| 1:22 | 50-49 | ჩაჭრა: 1 (ტომპსონს აართვა) |
| **III პერიოდი** | | |
| 11:41 | 53-54 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 11:37 | 53-54 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:30 | 57-54 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:02 | 57-58 | ფოლი: 2 |
| 7:37 | 59-58 | ორქულინი: არაზუსტი |
| 7:28 | 59-60 | ორქულიანი: 12ქ |
| 6:52 | 59-62 | ორქულიანი: 14ქ |
| 6:00 | 61-64 | შეცდომა: 1 |
| 4:11 | 63-70 | დაფარება: 1 (ჯემისონს დაუფარა) |
| 2:51 | 63-70 | ფოლი: 3 |
| 2:26 | 63-70 | შეცდომა: 2 |
| 2:16 | 64-71 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:26 | 73-72 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 6:20 | 76-76 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 5:58 | 78-78 | პასი: 1 (სმიტი 2ქ) |
| 5:43 | 78-79 | ჩაჭრა: 2 (ირვინგს აართვა) |
| 4:31 | 80-79 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 4:31 | 80-79 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 1:31 | 85-85 | ფოლი: 4 |
| 0:05 | 91-88 | ირვინგი (კლივლენდი): 2ქ |
| 0:00 | 91-91 | ჯონსონი (ატლანტა): 3ქ |
| **ოვერტაიმი** | | |
| 0:32 | 101-101 | ორქულიანი: არაზუსტი |

**ვაჟა სიმონიშვილი**






ზაზა ფაჩულია და მატჩის გმირი ჯო ჯონსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნე ინგლისსა და უელსში



# პირველი გამარჯვება ბრიტანულ ტურნეში

**ეშერი-საქართველო A 8:25**

საქართველო A: 15. ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), 14. ალექსანდრე ნიჟარაძე (ჰართფური), 13. ზურაბ ძნელაძე (აია), 12. ირაკლი ჩხიკვაძე (არმია), 11. ლექსო გუგავა (ლელო), 10. გიორგი ჯიმშელაძე (არმია), 9. ბიძინა სამხარაძე (არმია). 1. ირაკლი მირცხულავა (ტარბი), 2. შალვა მამუკაშვილი (არმია), 3. ლევან ჩილაჩავა (ტულონი), 4. დავით ჩიტიძე (არმია), 5. კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), 6. ბექა ბინაძე (არმია), 7. გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), 8. გიორგი ტყეშელიაძე (ჰართფური).

16. ბექა მეკოკიშვილი (არმია), 17. გიორგი მენაბდიშვილი (გრენობლი), 18. ლაშა თავართქილაძე (არმია), 19. გიორგი თხილაიშვილი (არმია), 20. გიორგი კაჭარავა (ლელო), 21. გიგა გაგოშვილი (არმია), 22. ირაკლი გეგენავა (ლელო).

**5ლ: ბინაძე, ჩხიკვაძე, ჩიტიძე, თხილაიშვილი, გეგენავა**

სინბინი: ნიჟარაძე, მამუკაშვილი.

გაძევება: მიქაუტაძე.

საქართველოს A ნაკრებმა ბრიტანულ ტურნეში პირველი შეხვედრა გამართა. ჩვენი გუნდის მეტოქე ინგლისის პრემიერშიპში მოასპარეზე „ეშერი“ იყო და 25:8 დავამარცხეთ.

ჩვენს ნაკრებს თამაში დასაწყისში არ ნაუვიდათ. გუნდი ამ შემადგენლობით პირველად თამაშობდა და რგოლებს შორის ურთიერთგაგებას დრო დასჭირდა. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ ადგილობრივმა არბიტრმა, ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა შტაბის საერთო აღიარებით, ძალიან ცუდად იმსაჯა.

თავად განსაჯეთ, რეფერიმ პირველ ტაიმში, მე-17 წუთზე ჯერ შერკინების კვაჭი **შალვა მამუკაშვილი** გაასინბინა, მერე კი ტაიმის მიწურულს, 37-ე წუთზე გარემარბ **სანდრო ნიჟარაძეს** უჩვენა ყვითელი ბარათი. მიუხედავად ამისა, საქართველოს A ნაკრებმა მატჩის პირველი ნახევარი 10:8 მოიგო.

ლელოების ანგარიში ჩვენს გუნდში მე-8 წუთზე ფლანკერმა **ბექა ბინაძემ** გახსნა. ჩვენმა გუნდმა მეტოქის ჩათვლის მოედანში მეორედ 19 წუთის შემდეგ შეაღწია. „ეშერის“ დაცვის ხაზი გარემარბმა **ლექსო გუგავამ** გაჭრა და შეტევაში მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** ჩართო. ინგლისელებმა მისი შებოჭვა შეძლეს, წარმოქმნილი რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **ბიძინა სამხარაძემ** სწრაფად გამოიტანა და ლელო შუამარბმა **ირაკლი ჩხიკვაძემ** მიითვალა. გარდასახვა ორივეჯერ ფულბეკ **ბექა ურჯუკაშვილს** გაუცუდდა - 10:8. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ, ორი წუთი არ იყო გასული, როცა მეორეხაზელმა **დავით ჩიტიძემ** მესამე ლელო გაიტანა 15:8. შვიდი წუთის შემდეგ კი მოედანზე ჩხუბი ატყდა. მეტოქემ შერკინების ბურჯს **ლევან ჩილაჩავას** ჩაარტყა. მეორეხაზელმა **კონსტანტინე მიქაუტაძემ** ინგლისელს ხურდა დაუბრუნა, ოღონდ ისე, რომ მოედნიდან გასატანი შეიქნა. ცხადია, მსაჯმა მიქაუტაძეს წითელი ბარათი უჩვენა.

მატჩის ბოლომდე საქართველოს A ნაკრები კაცნაკლული დარჩა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ჩვენი ბიჭებისთვის კიდევ ორი ლელოს გატანაში. თავი ამჯერად შეცვლაზე შესულებმა მესამეხაზელმა **გიორგი თხილაიშვილმა** და გარემარბმა **ირაკლი გეგენავამ** გამოიჩინეს. სამწუხაროდ, მგეზავმა **გიორგი ჯიმშელაძემ** ვერც ერთი გარდასახა - 25:8.

მატჩის მიწურულს გიორგიმ ნეკნი იტკინა და მისი ადგილი გეგენავამ დაიკავა. ხუთი ლელო ცხადია კარგია, მით უფრო, რომ თითქმის მთელი მატჩი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ. ცუდია, რომ ფეხით თამაში არ წაგვივიდა. ვერ გატანილი ხუთი გარდასახვა და რამდენიმე საჯარიმო, დიდი მინუსია.

ერთი საგულისხმო დეტალიც, ხუთი ლელოდან, ოთხი საქართველოს ჩემპიონის „არმიას“ მორაგბეების ანგარიშზეა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს A ნაკრებს თან ახლავს ეროვნული ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელები **მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი და ტონი ბარჯესი.** მომდევნო შეხვედრას საქართველოს A ნაკრები 27 მარტს, უელსის კლუბების ნაკრებთან გამართავს, ოთხი დღის შემდეგ კი ჩრდილოეთ უელსის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ექვსი ერი

# მივედით, ვნახეთ, გავიმარჯვეთ

ექვსი ერის გათამაშება გასულ უქმეებზე დასრულდა. მატჩები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა. წლევანდელმა ტურნირმა საშუალება მოგვცა გარკვეული ანალიზი გავუკეთოთ ევროპის ბობოლა სარაგბო ქვეყნებში რაგბის მდგომარეობას. განვითარების რა ეტაპზე არიან და როგორია მათი სამომავლო პერსპექტივა.

დავიწყოთ უელსის ნაკრებით, რომელმაც ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო და დიდი სლემი შეასრულა. უელსელებს თამამად შეუძლიათ თქვან - მივედით, ვნახეთ, გავიმარჯვეთ!

აღსანიშნავია, რომ „წითელმა ურჩხულებმა“ ბოლო რვა წლის განმავლობაში დიდი სლემი სამჯერ შეასრულეს - 2005, 2008 და 2012. ეს მიღწევა უელსის ლეგენდარული ნაკრების შედეგის გამეორებაა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში დომინირებდა ევროპაში.

წლევანდელი გათამაშების ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში უელსელებმა შინ, კარდიფში, „მილენიუმზე“ საფრანგეთის ნაკრები 16:9 დაამარცხეს, რითაც შარშან მსოფლიოს თასის გათამაშების ნახევარფინალში დასანანი წაგების გამო რევანში აიღეს.

„წითელ ურჩხულებს“ დღემდე დიდი სლემი თერთმეტჯერ აქვთ შესრულებული. მათზე ერთით მეტი, მხოლოდ ინგლისის ნაკრების ანგარიშზეა, რომელიც უელსელების ტრადიციული, ოდინდელი მეტოქეა. თუმცა ის, რომ **უორენ გეთლენდს** და კომპანიას რეალურად შესწევთ ძალა „პომებს“ გაუსწრონ, საეჭვო არავისთვისაა.

გავიხსენოთ, როგორ განვლო უელსმა წლეულს გზა დიდ სლემამდე. „წითელმა ურჩხულებმა“ ირლანდიის ნაკრებს უმძიმეს ბრძოლაში 23:21 მოუგეს, „სკოტებს“ თოთხმეტი ქულის სხვაობით გაუსწორდნენ - 27:13, ინგლისელებს კი ორჯერ ნაკლებით აჯობეს - 19:12. შედარებით იოლად კი უელსის ნაკრებმა „სკუადრა აძურას“ სძლია - 24:3. ფრანგების ძლევის თაობაზე კი უკვე ვთქვით.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელ გუნდში არ არიან ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები, როგორებიც **გერეთ ედვარდსი, ჯონ ბარი** და **ჯერალდ დევისი** იყვნენ ორმოცი წლის წინათ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალგაზრდულ გუნდს ძალიან დიდი მომავალი აქვს. თავად განსაჯეთ, კაპიტანი **სემ ვერბარტონი** 23 წლისაა, მესამეხაზელი **ტობი ფალეტაუ** და გარემარბი **ალექს კატბერტი** 21 წლისანი არიან. კიდევ ერთი გარემარბი **ჯორჯ ნორსი** კი 19 წლის ასაკში მომავალ **ჯონა ლომუდ** შერაცხეს.

მას შემდეგ, რაც უელსის ნაკრებმა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მეოთხე ადგილი დაიკავა, უორენ გეთლენდს ახალი კონტრაქტი 2015 წლის ბოლომდე გაუფორმეს. დიდი სლემის მოგების შემდეგ, მისგან უკვე ღიად ითხოვენ სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლებთან გამკლავებას. უელსელებმა სამხრეთელებთან ბოლო 16 ტესტ მატჩში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს. ამ შედეგის გაუმჯობესება სავსებით რეალურია.

„წითელი ურჩხულები“ ივნისში ავსტრალიაში გაემგზავრებიან და „ვოლაბებს“ სამჯერ დაუპირისპირდებიან. ამასთან ერთად ადვილი შესაძლებელია, რომ უორენ გეთლენდი „ბრიტანელი ლომების“ მწვრთნელად დაინიშნოს, რომლის ტურნეც სამხრეთ ნახევარსფეროში 2013 წელს გაიმართება.



# მომავალი ნათელია, ეს ლანკასტერია

ალბათ ყველას ახსოვს, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **მარტინ ჯონსონისა** და კაპიტნის **ლუის მუდის** მოჟამული სახეები ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის მეოთხედფინალურ მატჩში საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან. ინგლისელები თითქოს განადგურებულნი იყვნენ და „დიდი სარაგბო ოკეანის“ ფსკერზე დაეშვნენ.

„პომების“ რენომე 2012 წლის ექვსი ერის გათამაშებაში აღსდგა. ინგლისელებმა ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგეს და მეორე ადგილზე გავიდნენ. მაინც, რამ გამოიწვია გუნდის ასეთი გარდაქმნა? ინგლისის რაგბის კავშირმა გუნდს დროებით მწვრთნელად ინგლისის A ნაკრების თავკაცი **სტიუარტ ლანკასტერი** დაუნიშნა, მისი ასისტენტები ქვეყნის ჩემპიონის „სარასენზის“ მწვრთნელი **ენდი ფარელი** და ჯონსონის მწვრთნელთა შტაბის ერთ-ერთი წევრი **გრემ რაუნტრი** იყო.

ამ სამეულმა მთავარი სამუშაოს შესრულება შეძლო. შექმნეს გუნდის ბირთვი და დაამყარეს რკინისებური დისციპლინა. მათ შთაუნერგეს მორაგბეებს, რომ ინგლისის ნაკრების კვართის ღირსების დაცვა უწინარესი მოვალეობა და უდიდესი პატივია.

ლიდსში გამართულ საწვრთნელ ბანაკში „პომებს“ **კევინ სინფილდი** და **ჰარი ნევილი** ეწვივნენ და დიდხანს ისაუბრეს თემაზე, თუ რას ნიშნავს წარმოადგენდე შენს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე. ახალი მორაგბეების **ოუენ ფარელის, ჯეფ პერლინგისა** და **ბენ მორგანის** მისვლით ინგლისელთა გუნდი უფრო ხალასი, ბრძოლისუნარიანი გახდა. შოტლანდიასთან გაჭირვებით მოგების შემდეგ, „პომებმა“ თამაშის ხარისხი ნელ-ნელა გააუმჯობესეს და ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს იტალიის, საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებები.



ლანკასტერსა და კომპანიას დიდი სლემის შესრულებაც შეეძლოთ. უელსთან მატჩში არბიტრს **დევიდ სტრიტლის** მიერ გატანილი ლელო რომ ჩაეთვალა, ტრიუმფატორი დღეს სულ სხვა ქვეყანა იქნებოდა.

დღესდღეობით ინგლისელები ელოდებიან, დატოვებენ თუ არა სტიუარტ ლანკასტერს ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად. მისი ასისტენტების ამბავი ცნობილია. ფარელი ისევ „სარასენზში“ ბრუნდება. რაუნტრიმ კი განაცხადა: „არ მინდა არაფერი შევცვალო“.

აღსანიშნავია, რომ მისი კონკურენტი სამხრეთაფრიკელი **ნიკ მალეტია.** ახლა ყველაფერი იმ ხუთკაციან კომისიაზეა დამოკიდებული, რომელიც იანვრიდან მოყოლებული ნაკრების მწვრთნელის შესატყვის კანდიდატს ეძებს. ცხადია, კომისიის წევრებზე ფული ფუჭად დაიხარჯა. ნაკრების მომავალი მწვრთნელის ყველაზე რეალური კანდიდატი ხომ თავიდანვე ცნობილი იყო. ეს ლანკასტერია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი



ცსკა-ბილბაო

# ერთმა სტუმარმა მოიგო

ორი შეხვედრით გაგრძელდა ევროლიგის პლეი ოფი კალათბურთში. ორიდან ერთ წყვილში ლოგიკური შედეგი ვიხილეთ. მოსკოვის ცსკა-მ პირველ მეოთხედში გარკვეული სირთულეების მიუხედავად, შეძლო შინ „ბილბაოს" განადგურება.

პირველ 10 წუთში 11:0 გაქცევის წყალობით „ბილბაომ" პირველად და უკანასკნელად შეძლო ამ მატჩში წინ გასვლა – 18:15. მაგრამ **ხრიაპასა** და **ტეოდოშიჩის** მონდომებით ცსკა-მ მალე გამოასწორა მდგომარეობა და პირველი მეოთხედი ერთი ქულის სხვაობით მოიგო.

მეორე მეოთხედიდან კი დაიწყო „ბილბაოს" განადგურება. 31:31-დან მოყოლებული ცსკა-ს უპირატესობა მეთოდურად იზრდებოდა. მოსკოველებმა 9 ქულით მოიგეს მეორე მეოთხედი და დიდი შესვენებისთვის 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, გადამწყვეტი დარტყმა კი მეტოქეს მესამე 10-წუთეულში მიაყენეს. ეს მეოთხედი ცსკა-მ 23 ქულის სხვაობით მოიგო და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო.

„ბილბაომ" მოახერხა მეოთხე მეოთხედში ექვსი ქულით მოგება, მაგრამ ეს არაფერს წყვეტდა – ცსკა-მ 27 ქულის სხვაობით 98:71 გაიმარჯვა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

მოსკოველთა რიგებში ექვსმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. მათგან ყველაზე შედეგიანი იყო სერბი ცენტრი **ნენად კრსტიჩი** 18 ქულით.

■ ■ ■

ერთადერთი გუნდი, რომელმაც ამ ეტაპზე სტუმრად მოგება შეძლო, საბერძნეთის „ოლიმპიაკოსია". მან რთულ ბრძოლაში დაამარცხა სიენაში „მონტეპასკი".

არადა, იტალიელებისთვის კატასტროფას არაფერი მოასწავებდა. პირველი სამი მეოთხედი "მონტეპასკიმ" თავის სასარგებლოდ დაასრულა და ბოლო 10-წუთეულის წინ კომფორტული რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვა.

მაგრამ ამის შემდეგ მატჩის სურათი კარდინალურად შეიცვალა. იტალიელების თამაში საერთოდ მოიშალა და მასპინძელმა მთლიანად ჩააგდო მატჩის ბოლო მონაკვეთი. „მონტეპასკიმ" ვერაფერი მოუხერხა **გეორგიოს პრინტეზისს**, რომელიც პრაქტიკულად უშეცდომოდ ისროდა და ბოლო წუთებზე შეძლო თავისი გუნდისთვის გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. პრინტეზისმა 20 ქულით დაასრულა შეხვედრა, ოლიმპიაკოსმა კი ბოლო მეოთხედი 24:9 მოიგო და საბოლოოდ, 82:75 გაიმარჯვა.

ამ მოგებით ბერძნებმა ხუთმატჩიან სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვეს.

**ცსკა-ბილბაო 98:71**

**27:26, 23:14, 34:11, 14:20**

ც: კრსტიჩი (18), შვედი (15), გორდონი (14), ტეოდოშიჩი (11+5 პასი), კირილენკო (11+5 მოხსნა), ხრიაპა (11+4 პასი).

ბ: ვასილიადისი (15), მუმბრუ (14+4 პასი).

**სერია**: 1-0

**მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი 75:82**

**26:21, 22:21, 18:16, 9:24**

მ: ანდერსენი (26+7 მოხსნა), მაკალები (15+4 პასი), რაკოჩევიჩი (11).

ო: პრინტეზისი (20), სპანულისი (15), ჰეინსი (13).

**სერია**: 0-1

ავტოსპორტი. რალი

# დაკარი 2013: მარშრუტი უკუღმა



ახალი მარშრუტი

ლეგენდარული რალი-რეიდის დაკარის ორგანიზატორებმა 2013 წლის რბოლის მარშრუტის პრეზენტაცია მოაწყვეს.

პირველად ისტორიაში დაკარი სტარტს პერუს ტერიტორიიდან აიღებს. მარშრუტი არგენტინაზე გაივლის და ფინიში ჩილეშია დაგეგმილი. პირველი ეტაპის სტარტი პერუს დედაქალაქ ლიმაში ჩატარდება, სადაც წლევანდელი რალის ფინიში შედგა. სტარტის დღეა 5 იანვარი, ფინიში კი 20 იანვარს სანტიაგოში დაგეგმეს.

ასე რომ, ორგანიზატორების ჩანაფიქრით რალის მონაწილეები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით იმოძრავებენ.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ თუ წლევანდელი რალი ახალი წლის პირველ დღეს გაიმართა, გაისად სტარტი 5 იანვარს შედგება. ასე რომ, გუნდების ნაკლებად დატვირთულ თანამშრომლებს ახალი წლის შინ შეხვედრის საშუალება ექნებათ.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვეტერანის მოგებული დუელი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსს" შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ სრულად აილო რევანში "დალასთან" შარშანდელ პლეი ოფში მარცხისთვის. კალიფორნიელებმა მიმდინარე რეგულარულში ზედიზედ მესამედ დაამარცხეს ტეხასელები. არადა, "მავერიქსის" გულშემატკივრებმა გუშინ NBA-ის რეკორდი დაამყარეს – მათ ზედიზედ 425-ე მატჩში სრულად შეავსეს "დალასის" საშინაო არენის ტრიბუნები და ეს არის ლიგის ისტორიაში ანშლაგების ყველაზე გრძელი სერია. მაგრამ ამან "კოვბოებს" არ უშველა. ასევე არასაკმარისი აღმოჩნდა **ლამარ ოდომის** მონდომება, რომელსაც ძალიან უნდოდა ყოფილი თანაგუნდელების დამარცხება. ოდომმა ზედმეტად მოინდომა და "გადაიწვა" – ერთი ქულა დააგროვა. ასეთ პირობებში გუნდის გადარჩენა **ნოვიცკისა** და **ტერის** წყვილმა ითავა, მაგრამ 30-ქულიან **კობი ბრაიანტისა** და თითქმის უშეცდომო **გასოლის** (თამაშიდან – 13/16, მათ შორის ერთი სამქულიანი, რომელიც მეშვიდე იყო ესპანელისთვის ბოლო სამ წელიწადში) წინააღმდეგ დამარცხებული გამოვიდა. კარგი იყო კალიფორნიელთა რიგებში **სეშენსი** თავისი ცხრა შედეგიანი პასით. ასე რომ, "დალასმა" უშანსოდ წააგო.

■ ■ ■

გრძელდება ჩავარდნა "კლიპერსის" თამაშში, შედეგად, კალიფორნიულ კლუბს თანდათან ეწევიან "დალასი" და "დენვერი". რა თქმა უნდა, "ოკლაჰომასთან" წაგებაში სასირცხვილო არაფერია, მაგრამ გასაკვირი იყო ის უნიათობა, რომლითაც "კლიპერსმა" ეს შეხვედრა დათმო. უკვე დიდი შესვენებისთვის **დურანტის** გუნდის უპირატესობა 16 ქულას შეადგენდა. უფრო მეტიც, "კლიპერსს" აქამდე არც ერთი გუნდისთვის არ მიუცია ორ მეოთხედში 66 ქულის დაგროვების საშუალება. ამ ჩავარდნის ახსნა ორი მიზეზით შეიძლება: შესაძლოა, **ბლეიკ გრიფინს** ნოსტალგია მოეძალა და არ სურდა იმ ქალაქის გაწბილება, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა, ან კიდევ, სტუმრებმა არ გაუფუჭეს ახალ გუნდში დებიუტი **დერეკ ფიშერს**, რომელსაც მაყურებელი ფეხზე ამდგარი მიესალმა. ვეტერანმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და ხუთი ქულა დააგროვა, რაც მხოლოდ ორით ნაკლებია იმავე გრიფინის მონაგარზე. ცნობისთვის, **პოლის**, **იანგისა** და გრიფინის დუეტმა 34 ტყორცნიდან 25 ააცილა მიზანს.

■ ■ ■

საინტერესო დუელი შედგა ორლანდოში. თავის დროზე, იქაურ "მეჯიქში" ირიცხებოდა პოლონელი ცენტრი **მარცინ გორტატი**. მისი დავალება **დუაიტ ჰოვარდის** შეცვლა იყო. ახლა გორტატი "ფინიქსის" საუკეთესო ბომბარდირია და მისი კლუბი პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. სწორედ ამ სტატუსით შეხვდა პოლონელი ყოფილ თანაგუნდელებს, მაგრამ ამ შეხვედრას მისთვის დადებითი ემოციები არ მოუტანია. გორტატმა შვიდიდან ერთი ტყორცნა მოათავსა კალათში და მხოლოდ 4 ქულა დააგროვა. რაც მთავარია, მარცინმა ვერ შეაჩერა "ორლანდოს" წინა ხაზი - ჰოვარდისა და **ანდერსონის** დუეტმა ჯამში 57 ქულა დააგროვა. ამასთან, "სუპერმენმა" 16 მოხსნის შესრულებაც შეძლო. შესაბამისად, სტუმრების ორნიშნა რიცხვით წაგება სავსებით კანონზომიერი ჩანს.

■ ■ ■

ზეიმი იყო გუშინ სან-ანტონიოში. იქაურ არენაზე მოეწყო საზეიმო ცერემონია, რომელიც კლუბის ყოფილ მცველს **ბრიუს ბოუენს** მიეძღვნა. "სპურსმა" ამოიღო ხმარებიდან დაცვაში თამაშის ოსტატის 12-ნომრიანი მაისურა და ის საშინაო არენის თაღზე დაკიდა. ამ მოვლენას "სან ანტონიოს" კიდევ ერთმა ვეტერანმა **ტიმ დანკანმა** შთამბეჭდავი ორმაგი დუბლი მიუძღვნა – 21 ქულა და 15 მოხსნა. **პეკოვიჩისა** და **მილიჩიჩის** არყოფნაში "მინესოტას" ცენტრის პოზიციაზე **კევინ ლავი** თამაშობდა და ლეგენდარული ტიმისგან კარგი გაკვეთილი მიიღო. გარდა ამისა, "სპურსის" წარმატებაში 16-ქულიანი წვლილი შეიტანა დაბრუნებულმა **სტივენ ჯექსონმა**. მოკლედ, ტეხასელები იოლად და ლამაზად ანადგურებდნენ "მგლებს". ცუდ ხასიათზე მხოლოდ "სპურსის" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი** იყო. საქმე ისაა, რომ მეორე მეოთხედის დასაწყისში მოედანი დატოვა **ტონი პარკერმა**. ექიმებს მუხლის ტრავმაზე აქვთ ეჭვი. ფრანგი მოედანზე აღარ დაბრუნებულა და მისი ტრავმის ხარისხი მოგვიანებით სამედიცინო შემოწმების შემდეგ დადგინდება. პოპოვიჩის შეშფოთება გასაგებია – პლეი ოფში "სან ანტონიოს" პარკერის გარეშე დიდი შანსი არ ექნება.

**ტორონტო-ჩიკაგო 82:94**

**23:27, 28:16, 18:19, 13:32**

ტ: დეროზანი (23+6 მოხსნა), ჯ. ჯონსონი (16+7 მოხსნა).

ჩ: დენგი (17+10 მოხსნა), უოტსონი (15), ლუკასი (13), ბრიუერი (12+6 მოხსნა), კორვერი (10).

**ორლანდო-ფინიქსი 103:93**

**27:21, 30:23, 24:18, 22:31**

ო: ანდერსონი (29), ჰოვარდი (28+16 მოხსნა+3 დაფარება), დევისი (16+7 მოხსნა), რედიკი (10).

ფ: დადლი (17+6 მოხსნა), ლოპესი (14+8 მოხსნა), ნეში (12), ბრაუნი (10), ტელფეირი (10).

**ატლანტა-კლივლენდი 103:102 (ო)**

**21:36, 33:17, 18:20, 19:18, 12:11**

ა: სმიტი (32+17 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), დ. ჯონსონი (22+6 მოხსნა+5 პასი), ფაჩულია (14+7 მოხსნა), ტიგი (12+7 პასი+4 ჩაჭრა), ჰაინრიხი (10), სტეკჰაუსი (10).

კ: ირვინგი (29+9 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (23+12 მოხსნა), ტომპსონი (13+5 მოხსნა), ჰარისი (11+6 მოხსნა), გი (9+13 მოხსნა).

**ოკლაჰომა-კლიპერსი 114:91**

**33:30, 33:20, 22:21, 26:20**

ო: დურანტი (32+9 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (19), იბაკა (15+8 მოხსნა+3 დაფარება), ჰარდენი (10+6 მოხსნა+5 პასი).

კ: ფოიე (23), პოლი (13+10 პასი+5 ჩაჭრა), იანგი (12), ჯორდანი (12+6 მოხსნა), უილიამსი (11).

**დენვერი-დეტროიტი 116:115**

**40:18, 22:39, 29:34, 25:24**

დენ: ლოუსონი (25+6 პასი), აფლალო (23), ჰარინგტონი (16+8 მოხსნა), მაკგი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), ფარიდი (12+5 მოხსნა), ჩენდლერი (11+10 მოხსნა).

დეტ: გორდონი (45+8 პასი), ნაითი (16), მონრო (13+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჟერებკო (12+6 მოხსნა), ბინუმი (10+6 პასი).

**ფილადელფია-ნიუ იორკი [illegible]:82**

**11:19, 24:24, 23:16, 21:23**

ფ: ჰოლიდეი (16+6 პასი), იგუოდალა (13+8 მოხსნა+6 პასი), მიქსი (13), უილიამსი (13), ბრენდი (12+12 მოხსნა+5 დაფარება).

ნ-ი: სტაუდმაიერი (21+9 მოხსნა), ლინი (18+5 მოხსნა), ენტონი (10+5 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 89:108**

**25:33, 28:23, 19:28, 17:24**

ნ-ჯ: დ. უილიამსი (17), უოლასი (13), ჰემფრიზი (13+16 მოხსნა), მოროუ (13).

ვ: კროუფორდი (23+3 ჩაჭრა), ნენე (22+10 მოხსნა), მეისონი (16), უოლი (12+8 პასი+5 მოხსნა), სერაფინი (12).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 92:101**

**26:24, 19:20, 27:31, 20:26**

ნ-ო: ჯეკი (19+11 პასი+10 მოხსნა), კამანი (13+9 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ჰენრი (13), სმიტი (12+7 მოხსნა).

გ-ს: ტომპსონი (27+5 მოხსნა+5 პასი), ლი (25+11 მოხსნა), რაში (16), რობინსონი (8+10 პასი).

**სან ანტონიო-მინესოტა 116:100**

**32:16, 24:31, 35:24, 25:29**

ს-ა: დანკანი (21+15 მოხსნა), ლეონარდი (16+9 მოხსნა), ჯექსონი (16), ნილი (16+4 ჩაჭრა), გრინი (14+7 მოხსნა), სპლიტერი (11+7 მოხსნა+5 პასი).

მ: ბარეა (18+11 პასი), ლავი (17+12 მოხსნა), ტოლივერი (16+5 მოხსნა), ელინგტონი (15), უებსტერი (11).

**დალასი-ლეიკერსი 93:103**

**29:27, 15:30, 28:23, 21:29**

დ: ნოვიცკი (26+10 მოხსნა), ტერი (23).

ლ: ბრაიანტი (30+5 მოხსნა), გასოლი (27+9 მოხსნა), სეშენსი (17+9 პასი+5 მოხსნა), ბარნსი (11+9 მოხსნა).



ფიშერის ახალი ფორმა

ამბები

## მაიამი ტურიაფს იმატებს

როგორც თავის "ტვიტერზე" ცნობილმა ჟურნალისტმა **ადრიან ვოინაროვსკიმ** დაწერა, დღეს "მაიამი ჰიტი" კონტრაქტს გააფორმებს **რონი ტურიაფთან**. ადრე იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ ფრანგი კალათბურთელით "ბოსტონ სელტიქსი" იყო დაინტერესებული.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ტურიაფის კონტრაქტი გამოისყიდა "დენვერ ნაგეტსმა" და კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა.

ტურიაფმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.5 ქულა, 3.0 მოხსნა და 1.3 შედეგიანი პასი დააგროვა.

## შარლოტმა დიაო გაუშვა

გუშინ, კიდევ ერთი ფრანგი კალათბურთელი გახდა თავისუფალი აგენტი – "შარლოტ ბობკეტსმა" გამოისყიდა **ბორის დიაოს** კონტრაქტი. ასე რომ, ფორვარდს ნებისმიერ კლუბთან შეეძლება ხელშეკრულების გაფორმება.

ამერიკულ პრესაში დარწმუნებით წერენ იმის შესახებ, რომ დიაო "ბოსტონში" გააგრძელებს კარიერას, თუმცა არსებობს "სან ანტონიოს" ვარიანტი. ამ გუნდის ლიდერს **ტონი პარკერს** სურს თავის გვერდით იხილოს მეგობარი და თანამემამულე.

დიაომ წელს 37 მატჩში მიიღო მონაწილეობა და "შარლოტს" 7.4 ქულით, 5.3 მოხსნითა და ა4.3 შედეგიანი პასით დაეხმარა.

## ფოსტერმა კარიერა დაასრულა

"ინდიანა პეისერსის" ცენტრმა **ჯეფ ფოსტერმა** პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. 35 წლის ვეტერანმა, რომელიც "გოლდენ სტეიტმა" 1999 წლის დრაფტზე 21-ე ნომრით აირჩია, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 764 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 4.9 ქულა, 6.9 მოხსნა და 0.9 შედეგიანი პასი დააგროვა.

ფოსტერი 13 წლის განმავლობაში მხოლოდ "ინდიანას" შემადგენლობაში თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. ტურნირები

# ფერნანდო ნაგებით წავიდა



ფერნანდო გონსალესი

## ფერნანდო გონსალესი

**31 წლის**

**კარიერა:** 1999-2012
**მოგება/წაგება:** 370–202
**ტიტულები:** 11 (ერთეულებში), 3 (წყვილებში)
**საუკეთესო ადგილი რეიტინგი:** №5 (20.01.07)

**დიდი სლემის ტურნირები**

ავსტრალიის ღია - ფინალი (2007)
როლან გაროსი - 1/2 (2009)
უიმბლდონი - 1/4 (2005)
აშშ-ის ღია - 1/4 (2002, 2009)

**მასტერსის სერია**

მადრიდი - ფინალი (2006)
რომი - ფინალი (2007)

**ოლიმპიადა**

ათენი 2004 - ოქრო (წყვილები)
ათენი 2004 - ბრინჯაო (ერთეულები)
პეკინი 2008 - ვერცხლი (ერთეულები)
**ფულადი მონაგარი კარიერაში:** 8 862 276 $

გუშინ,მაიამის სუპერტურნირზე ქალებმა პირველი წრე დაასრულეს. ამ ეტაპის ერთ-ერთი მთავარი თემა რუსი **ალისა კლეიბანოვას** დაბრუნება იყო. შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელი კიბოს ავადმყოფობას (ჰოჯკინის ლიმფომა) მკურნალობდა. ეს კურსი დეკემბერში დასრულდა, ცოტა ხნის წინ კი ალისამ ექიმებისგან ვარჯიშების განახლების უფლება მიიღო. მაიამის ტურნირის ორგანიზატორებმა რუსს უაილდქარდი შესთავაზეს და კლეიბანოვაც დათანხმდა ამ წინადადებას.

პირველ წრეში რუსი **იოჰანა ლარსონს** ხვდებოდა. მეტოქე არც ისე ძლიერი იყო, მაგრამ ახლა, კლეიბანოვასთვის ნებისმიერი მატჩი მძიმე გამოცდაა. რუსმა პირველი ტესტი კარგად ჩააბარა. პირველი სეტის თითქმის უბრძოლველად წაგების შემდეგ, ალისამ საკუთარი თამაში იპოვა და მომდევნო ორ პარტიაში არც ერთი ბრეიკი აღარ დაუთმო მეტოქეს, თავად კი შვედის სამი მოწოდება აიღო და 2:6, 6:3, 6:2 გაიმარჯვა.

ოთხშაბათს ჩაებნენ ბრძოლაში განუთესავი ვარსკვლავები – **კიმ კლაისტერსი** და ტურში დაბრუნებული **ვენუს უილიამსი**, რომელიც შეგრენის სინდრომს მკურნალობდა. ბელგიელი, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა, **იარმილა გაიდოშოვას** ხვდებოდა და მატჩის დასაწყისი მისთვის საკმაოდ რთული გამოდგა. პირველ პარტიაში სლოვაკური წარმოშობის ავსტრალიელმა უკეთ ჩაატარა მნიშვნელოვანი გათამაშებები და 6:4 მოიგო. მეორე სეტიც კიმისთვის ცუდად იწყებოდა. მიუხედავად ამისა, კლაისტერსმა ბრძოლაში აიღო ზედიზედ სამი გეიმი და თანდათან დაეუფლა ინიციატივას – მესამე სეტში ის უკვე სრულად დომინირებდა კორტზე და პარტია "მშრალი" ანგარიშით მოიგო. მეორე წრეში კიმს მე-14 ნომრად განთესილ გერმანელთან **იულია გორგესთან** უწევს თამაში.

რაც შეეხება ვენუსს, მას მეტოქედ **კიმიკო დატე** ჰყავდა, რომელსაც ამ სეზონში მხოლოდ სამი მატჩი აქვს მოგებული. ვეტერანმა იაპონელმა ვერ გაუმართა სერიოზული ბრძოლა უფროს უილიამსს და ვენუსმა ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, დამაჯერებლად მოიგო შარშანდელი ამერიკის ღიას შემდეგ თავისი პირველი მატჩი – 6:0, 6:3. შედეგად, მეორე წრეში მივიღეთ ძალიან საინტერესო წყვილი – ვენუს უილიამსი **პეტრა კვიტოვას** წინააღმდეგ. ვნახოთ, რამდენად კარგად არის მზად ამ მომენტისთვის უილიამსი.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია გერმანელი **მონა ბარტელის** გამარჯვება. შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელი აღმოჩნდა ერთადერთი ინდიან უელსის ტურნირზე, ვინც **ვიქტორია აზარენკას** სეტი მოუგო. ამჯერად, ბარტელმა 6:1, 6:0 გაანადგურა **გრეტა არნი**.

■ ■ ■

მამაკაცთა ტურნირზე ყველაფერმა გაცილებით მშვიდად ჩაიარა. ერთი მიზეზით იყო გამორჩეული მატჩი **ფერნანდო გონსალესსა** და **ნიკოლა მაუს** შორის. ეს მიზეზი ნაღვლიანი გახლდათ. ჩილელმა ადრე გამოაცხადა, რომ მაიამის მასტერსი მისი გამოსათხოვარი ტურნირი იქნებოდა. უაილდქარდის მფლობელმა ჩილელმა, როგორც შეეძლო, იბრძოლა, აიღო მეორე სეტი და მესამეში თავის მოწოდებაზე სამი მატჩბოლი მოიგერია. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, იქ კი გონსალესმა წააგო – 5:7, 6:4, 6:7(3). ასე შეუმჩნევლად წავიდა დიდი ჩოგბურთიდან ოლიმპიური მედლების სრული კომპლექტის მფლობელი (ოქრო და ბრინჯაო ათენში და ვერცხლი პეკინში) და 2007 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი. შეუმჩნევლად იმიტომ, რომ მაიამის მასტერსის მატჩების ტრანსლირება მხოლოდ შაბათს იწყება, შესაბამისად, გონსალესის უკანასკნელი მატჩი მხოლოდ ტრიბუნებზე შეკრებილმა მაყურებლებმა იხილეს.

მოულოდნელობად მოინათლა **დენის ისტომინისს** წაგება **ალეხანდრო ფალასთან**. უზბეკმა ინდიან უელსში სენსაციურად დაამარცხა ესპანელი **დავიდ ფერერი**, მაგრამ მაიამიში ვერ დაასრულა შეხვედრა კოლუმბიელთან, თუმცა ისედაც უიმედოდ აგებდა – 1:6, 1:2.

**კაცები**

**I წრე**

**ფედერიკო ჟილი (პორ)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 6:3, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:3, 6:4; **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:1, 2:1 უარი; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 6:2, 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6, 6:4, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ)**-გიიომ რუფენი (საფ) 6:4, 6:4; რაიან სვიტინგი (აშშ)-**ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ)** 4:6, 4:6; მიკაელ ლოდრა (საფ)-**ლუკაშ როსოლი (ჩეხ)** 4:6, 6:7; პაბლო ანდუხარი (ესპ)-**სანტიაგო ხირალდო (კოლ)** 3:6, 2:6; ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)-**ქსავიე მალისე (ბელ)** 6:7, 3:6; **ანტონიო ვეიჩი (ხორ)**-დენის კუდლა (აშშ) 2:6, 6:2, 6:1; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-სტივ დარცისი (იტა) 6:4, 7:6; დუდი სელა (ისრ)-**არნო კლემანი (საფ)** 3:6, 3:6; **რობერტო ბაუტისტა (ესპ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 1:6, 6:3; ტობიას კამკე (გერ)-**ივან დოდიგი (ხორ)** 0:6, 6:2, 6:7; **ნიკოლა მაუ (საფ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ) 7:5, 4:6, 7:6.

**ქალები**

**I წრე**

**ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-სორანა კირსტეა (რუმ) 6:3, 3:6, 7:6; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:3, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-მატილდა იოჰანსონი (საფ) 4:6, 6:4, 6:4; **შუაი ჟენგი (ჩინ)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:7, 6:3, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:1, 7:5; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:1, 6:4; **მონა ბარტელი (გერ)**-გრეტა არნი (უნგ) 6:1, 6:0; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 2:6, 6:3, 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:3, 6:3; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:7, 6:3, 6:3; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ირინა კამელია ბეგუ (რუმ) 3:6, 6:3, 6:0; **ანა ტატიშვილი (საქ)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 4:3 უარი; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:4, 7:5; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ელენა ვესნინა (რუს) 7:6, 6:1; **კიმ კლაისტერსი (ბელ)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 4:6, 6:1, 6:0; **სტეფანი ფორეცი (საფ)**- ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 6:4, 6:1; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-ვერა დუშევინა (რუს) 7:6, 6:4; **ვალერია სავინიხი (რუს)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:3, 7:5; **შაარ პეერი (ისრ)**-ალიზ კორნე (საფ) 6:4, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-კიმიკო დატე (იაპ) - 6:0, 6:3; პოლინ პარმენტიე (საფ)-**სლოუნ სტივენსი (აშშ)** 6:4, 6:7, 4:6; ალბერტა ბრიანტი (იტა)-**მელინდა ჩინკი (უნგ)** 1:6, 2:6; ევა ბირნეროვა (ჩეხ)-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 7:5, 4:6, 0:6; **ვანია კინგი (აშშ)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 6:2, 7:6; მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)-**მედისონ კისი (აშშ)** 7:6, 2:6, 1:6; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ელენი დანილიდუ (საფ) 4:6, 6:3, 6:0; მისაკი დოი (იაპ)-**სილვია სოლერ ესპინოსა (ესპ)** 3:6, 4:6; ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)-**ქსენია პერვაკი (ყაზ)** 4:6, 0:6; ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)-**პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)** 1:6, 3:6; ურსულა რადვანსკა (პოლ)-**ეკატერინა ბონდარენკო (უკრ)** 6:3, 6:7, 4:6; აიუმი მორიტა (იაპ)-**გარმინ მუგურუსა (ესპ)** 3:6, 6:2, 0:3 უარი.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ევრო 2012. UNDER 17 | |
|---|---|
| გერმანია-ბულგარეთი | 2:1 |
| თურქეთი-პორტუგალია | 0:3 |
| სერბეთი-ირლანდია | 1:0 |
| ჰოლანდია-ალბანეთი | 4:0 |
| დანია-ლიტვა | 3:1 |
| ისლანდია-შოტლანდია | 1:0 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| რასინგი-სევილია | 0:3 |
| ბეტისი-ესპანიოლი | 1:1 |
| მალაგა-ვალეკანო | 4:2 |

| ჰოლანდიის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ალკმაარი-ჰერაკლესი | 2:2 დ.დ. 2:4 |

| პორტუგალია. ლიგის თასი. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2:2 პენ. 4:2 |

| თურქეთის თასი. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| ბოლუ-ბეშიქთაში | 1:0 |
| ქაისერი-ბუიუქსეჰირი | 1:0 |

| რუსეთის თასი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ვოლგა-ტერეკი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| როსტოვი-ფაკელი | 0:0 პენ. 4:3 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ვასლუი-ბრაშოვი | 0:1 |
| რაპიდი-ჩახლაული | 1:2 |
| ტარგუ-სტიაუა | 1:0 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| სვეტკავიცა-ბოტევი | 0:0 |
| მონტანა-ჩერნო მორე | 1:3 |
| ცსკა-ლოკომოტივი (ს) | 4:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-მაკაბი | 92:94 |
| ბარსელონა-უნიქსი | 66:63 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 3:2 (ო) |
| ტრაქტორი-აკ ბარსი | 1:2 (ო) |

| ავსტრია | |
|---|---|
| ლინცი-კლაგენფურტი | 2:3 |

| ბელგია | |
|---|---|
| კორტრეიკი-[illegible] | 2:4 |

| დანია | |
|---|---|
| ოლბორგი-ოდენსე | 3:5 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 2:1 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| ლოპენსკოგი-ვოლერენგა | 1:0 (ო) |
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 6:5 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კალპა-ბლუზი | 3:1 |
| პელიკანსი-კერპეტი | 5:0 |
| ჰიფკ-იოკერიტი | 1:3 |
| იუვიასკიულა-ესეტი | 4:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| სერვეტი-ამბრი | 4:0 |
| ფრიბურგი-ბერნი | 1:6 |
| ცუგი-ციურიხი | 2:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

| ATP. მაიამი | |
|---|---|
| კუბოტი-**კარლოვიჩი** | 3:6, 7:6, 6:7 |
| ლევინე-**კუნიცინი** | 6:7, 6:7 |
| **რამოსი**-ბოლელი | 6:3, 6:1 |
| ჩიპოლა-**შტებე** | 3:6, 5:7 |
| ო. როხუსი-**ბეკერი** | 7:5, 3:6, 2:6 |
| გულბისი-**ბუბკა** | 4:6, 4:6 |
| **ბალდატისი**-ლ. მაიერი | 6:1, 6:4 |
| **ტომიჩი**-სტახოვსკი | 7:6, 6:3 |
| ბერლოკი-**ფაუ** | 4:6, 2:6 |
| **დანჩევიჩი**-შარდი | 7:5, 7:6 |

| WTA. მაიამი | |
|---|---|
| არვიდსონი-**ლისიცკი** | 3:6, 2:6 |
| **ვინჩი**-პირონკოვა | 7:5, 6:1 |
| იანკოვიჩი-**ბარტელი** | 0:6, 3:6 |
| **ვიკმაიერი**-ერაკოვიჩი | 6:3, 6:4 |
| **კლაისტერსი**-გორგესი | 6:2, 7:5 |
| **სხეპერსი**-მედინა გარიგესი | 1:6, 6:4, 6:0 |
| კუზნეცოვა-**ბენეშოვა** | 6:1, 6:7, 6:7 |
| **ს. უილიამსი**-ჟანგი | 6:2, 6:3 |
| **მაკაროვა**-პავლიუჩენკოვა | 6:1, 6:2 |
| **პენგი**-ფორეცი | 6:1, 6:2 |
| **შარაპოვა**-პეერი | 4:6, 6:3, 6:3 |
| ერანი-**სტივენსი** | 6:3, 2:6, 5:7 |
| **სტოსური**-სავინიხი | 6:4, 6:0 |

● TV პროგრამა

**23 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**11:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. დენ ჰააგი-აიაქსი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ფიორენტინა-იუვენტუსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. რენი-ტულუზა.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ინტერი-ატალანტა.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:30** იტალიის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
**01:30** სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-ბოსტონი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რაფაელ ნადალი-როჯერ ფედერერი. ინდიან ველსი. აშშ.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტურის მიმოხილვა.
**20:15** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ცსკა-ბილბაო. II მატჩი. (LIVE).
**22:15** NBA Action.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ვოლფსბურგი-ჰამბურგი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიან უელსი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიან უელსი. აშშ.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-უნიქსი.
**17:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბოსტონი.
**21:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ინდიან უელსი. აშშ.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დეტროიტმა ზედიზედ მეექვსედ წააგო

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა, „დეტროიტ რედ უინგზს" კი, როგორც ჩანს, სერიოზული პრობლემები აქვს. სტენლის თასის წინ „რედ უინგზი" ზედიზედ აგებს თამაშებს. გუშინ, დეტროიტელთა წაგებების სერია ექვს მატჩამდე ავიდა. ამჯერად, სეზონის ერთ-ერთი ფავორიტი ლიგის კიდევ ერთმა გამორჩეულმა გუნდმა, აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერმა „ნიუ იორკ რეინჯერსმა" დაამარცხა.

„დეტროიტმა" მატჩი კარგად დაიწყო. მეოთხე წუთზე სტუმრებმა საგოლე კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც შორიდან **ჰენრიკ ზეტერბერგის** ზუსტი დარტყმით დასრულდა. შვედის გასროლა ძლიერი არ ყოფილა, მაგრამ „რეინჯერსის" მეკარემ **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** თანამემამულის გასროლაზე რეაგირება დაიგვიანა.

სამაგიეროდ, იმავე პირველი პერიოდის შუაში ლუნდკვისტი ასისტენტის როლში მოგვევლინა. შვედ გოლკიპერს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია - მასთან ახლოს მდგარ **ბრედ რიჩარდსს** მიაწოდა შაიბა, ფორვარდმა კი სლალომით მთელი მოედანი გაიარა და ბრწყინვალე გოლი გაიტანა.

შემდეგი შაიბა „მედისონ სკვერ გარდენის" მაყურებლებმა მხოლოდ ოვერტაიმში იხილეს. ნიუიორკელთა გასახარად, გამარჯვების გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. **რაიან კელეჰანმა** უძლიერესი დარტყმით ზედა კუთხეში შეაგდო - 2:1.

„ნიუ იორკმა" ისევ სამ ქულამდე გაზარდა უპირატესობა აღმოსავლეთში თავის მთავარ კონკურენტთან - „პიტსბურგთან", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. დარჩენილ მატჩებში სწორედ ეს გუნდები გაითამაშებენ კონფერენციის ჩემპიონის ტიტულს.

**რეინჯერსი-დეტროიტი 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-19 (ი. უაიტი-24, ნიკუისტი-5), 1:1 ბ. რიჩარდსი-24 (ლუნდკვისტი-2), 2:1 კელეჰანი-27 (დელ ზოტო-29, დუბინსკი-21).

**ჩიკაგო-ვანკუვერი 2:1 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰანსენი-15 (პალსონი-11), 1:1 პ. კეინი-20 (მარიან ჰოსა-45, ბრუნეტი-15), 2:1 შოუ-11 (ოდუია-15, ბოლანდი-16).

**ბაფალო-მონრეალი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰოჯსონი-17 (ერჰოფი-27, ტროპი-3), 2:0 პომინვილი-28 (ლეინო-16, დ. როი-25), 3:0 ჰოჯსონი-18 (დ. როი-26, ვანეკი-30).

**კაროლინა-ფლორიდა 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ე. სტაალი-22, 2:0 პიტკანენი-4 (ტ. რუუტუ-14, სკინერი-22), 2:1 ფლეიშმანი-23 (ჯოვანოვსკი-9, ვაისი-35), 3:1 ე. სტაალი-23 (პიტკანენი-10, ტლუსტი-19).

**ანაჰაიმი-სენტ ლუისი 4:3**

1:2, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 შვარცი-2 (პიეტრანჯელო-34), 1:1 ფაულერი-5 (გეტცლაფი-43, რაიანი-23), 1:2 ბეკსი-22, 2:2 ბონინო-5 (პალმიერი-3, ს. კოივუ-23), 2:3 პერონი-16 (მატენკირკი-29, პიეტრანჯელო-35), 3:3 სმტი-პელი-6 (გეტცლაფი-44, პერი-22), 4:3 ბლეიკი-7 (ბრუკბანკი-11, ვიშნოვსკი-21).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ფერარი: ცვლილებები თუ ჭორები?

"ფერარის" ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები დიდი იმედით ელოდნენ ახალ სეზონს. გუნდში საკადრო გადაადგილებები მოხდა, ინჟინრები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ამჯერად, ბოლიდის შექმნისას გამოიყენებოდა რევოლუციური მიდგომა, თუმცა "სკუდერიამ" ისევ სუსტად დაიწყო სეზონი.

ზამთრის ტესტების დასრულების შემდეგ გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა **პეტ ფრაიმ** აღიარა – მუჯელოში მაისში გასამართავ ტესტებამდე ბოლიდის მუშაობაში პროგრესის მიღწევა ძალიან რთული იქნება. ამიტომაც იტალიურ პრესაში გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ "ფერარიში" დათვლილია გუნდის ამჟამინდელი ბოსის **სტეფანო დომენიკალის** დღეები და ის შეიძლება "რედ ბულის" ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა** შეცვალოს.

ჟურნალისტებმა კომენტარისთვის თავად ჰორნერს მიმართეს და მსოფლიოს ჩემპიონის შეფმა განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს...

*"ფერარი" დიდი გუნდია, მაგრამ ახლო მომავალში მე ბოლომდე "რედ ბულის" ერთგული ვარ. დიტერ მატეშიცმა მომცა შანსი 31 წლის ასაკში სათავეში ჩავდგომოდი ფორმულა 1-ის გუნდს. მე მის ნაწილად ვგრძნობ თავს და "ფერარიში" გადასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს. კმაყოფილი ვარ საკუთარი სამუშაოთი და მრავალწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს ამ გუნდთან"*, - ამბობს კრისტიან ჰორნერი.

■ ■ ■

"ფერარისთან" დაკავშირებით ჭორების მორიგი ტალღა გუნდის მეორე პილოტს - **ფელიპე მასას** უკავშირდება. ბრაზილიელმა ცუდად დაიწყო ახალი სეზონი – კვალიფიკაციაში მე-16 ადგილი დაიკავა, თითქმის შეუმჩნეველი იყო რბოლის დროს, რომელიც, საბოლოოდ, თანამემამულე **ბრუნო სენასთან** შეჯახებით დაასრულა.

ასეთ სიტუაციაში, გაძლიერდა ჭორები ფელიპესთან კონტრაქტის ვადაზე ადრე განყვეტასთან დაკავშირებით. ბრაზილიელის შემცვლელად ასახელებენ **სერხიო პერესს, ადრიან სუტილსა** და ვეტერან იტალიელ **იარნო ტრულის**. თუმცა თავად "სკუდერიაში" ამტკიცებენ, რომ პილოტს მისცემენ ამ სეზონის დასრულების საშუალებას.

"ფერარიში" კომუნიკაციების განყოფილების დირექტორმა **ლუკა კოლაიანიმ** იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მასას განთავისუფლების შესახებ ჭორები უსაფუძვლოა. მისი თქმით, გუნდი ბოლომდე მხარს უჭერს პილოტს – სწორედ ამიტომაც, მალაიზიის გრან-პრისთვის ფელიპეს ახალი შასი მოუმზადეს.

თავად მასა მიიჩნევს, რომ მისი წაგება ალონსოსთან, შესაძლოა, მანქანის ფუნდამენტური დეფექტით აიხსნებოდეს: *"ჩემი მანქანის სარბოლო მახასიათებლები თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ალონსოს ჰქონდა, მაგრამ საბურავები უკვე ხუთი წრის შემდეგ გამოვიდა მწყობრიდან"*. შეგახსენებთ, რომ ალონსო ავსტრალიაში მე-12 ადგილზე გავიდა, მაგრამ რბოლაში მეხუთე ადგილამდე ასვლა შეძლო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილო ჰემილტონი

# კულტჰარდი: ჰემილტონი უკმაყოფილოა

ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტს **დევიდ კულტჰარდს** ყოველკვირეულ ჟურნალ Autosport-ში საკუთარი სვეტი აქვს. ცნობილი შოტლანდიელი მორიგ ნომერში აანალიზებს ავსტრალიის გრან-პრის მოვლენებს და მსჯელობს პირველი ეტაპის შემდეგ ძალთა თანაფარდობაზე.

*დევიდ კულტჰარდი: „მელბურნმა ვერ გასცა პასუხი ბევრ წინასასეზონო შეკითხვას, მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში საინტერესო ბრძოლის ანონსი შემოგვთავაზა. თან ამ ბრძოლის ბევრი საიდუმლო ჯერ არ ვიცით. მის გაგებას კიდევ ორი-სამი რბოლის ჩატარება დასჭირდება.*

*საინტერესო სიტუაცია შეიქმნა „მაკლარენში". ჯერ კიდევ გასული სეზონის მეორე ნაწილში ჯენსონ ბატონი გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა, რითაც ძალიან საინტერესო გახდა მისი ურთიერთობა ლუის ჰემილტონთან. ახალი სეზონის სტარტზე ისე ჩანდა, რომ ლუისმა ინიციატივა დაიბრუნა, მაგრამ ჯენსონი სცენაზე გამოვიდა და რბოლაში სტატუსკვო აღადგინა.*

*რბოლის წინ ბატონი მხოლოდ იმას ამბობდა, რამდენად მნიშვნელოვანია კარგი სტარტი - და მან ეს გააკეთა. არანაკლებ შთამბეჭდავია ის, თუ როგორ აკონტროლებდა ჯენსონი მოვლენების განვითარებას პირველიდან ბოლო წრემდე. მან ლუისს მცირე შანსიც არ დაუტოვა და დამაჯერებლად აჯობა თანაგუნდელს. რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რაც თავად „მაკლარენმა" გაგვიმხილა. შესაძლოა, გუნდის შიგნით სულ სხვა სიტუაციაა და ჩვენ უბრალოდ არ ვართ რეალური მიზეზების კურსში, რომელიც ახსნის პილოტებს შორის სისწრაფეში ასეთ განსხვავებას. მაგრამ გაიხსენეთ ლუისის სახის გამომეტყველება პოდიუმზე და ინტერვიუს დროს - ის აშკარად უკმაყოფილო იყო მესამე ადგილით. მაგრამ რის გამო მოხდა ეს - იმიტომ, რომ ჯენსონმა გაასწრო თუ იმ წამის გამო, რომელიც პიტსტოპზე დაიკარგა? ჩვენ ამაზე პასუხი არ გვაქვს.*

*ამბობენ, რომ დიადი პილოტები არსაიდან ჩნდებიან და კარგ შედეგებს აღწევენ - სებასტიან ფეტელს სწორედ ასეთი გამოსვლა ჰქონდა - მეექვსე პოზიციიდან აილო სტარტი და რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა.*

*ვფიქრობ, შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ „მაკლარენს" სისწრაფეში აშკარა უპირატესობა ჰქონდა, ამიტომაც ამ გუნდის ერთი პილოტის დამარცხება უკვე დიდი მიღწევაა. არანაკლებ გვხიბლავს ფეტელის აგრესიული შემტევი მანევრი ნიკო როსბერგის წინააღმდეგ. ამან კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რამდენად მაღალი კლასის პილოტია „რედ ბულის" წარმომადგენელი. ასე რომ, კრიტიკოსები უნდა დადუმდნენ.*

*ჯერჯერობით არ ვიცი, რა შეიძლება ითქვას „ფერარიზე". ბარსელონას ტესტებზე მანქანა კარგად გამოიყურებოდა ერთ წრეზე, მაგრამ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმისთვის, რომ უკანა საბურავს ფორმა შეენარჩუნებინა. და მაინც, ავსტრალიის კვალიფიკაციაზე ალონსო ლიდერებთან წამზე მეტს აგებდა, თუმცა რბოლის დროს მიუახლოვდა მათ. ამასთან, მელბურნში არ არის ბევრი სწრაფი მოსახვევი, ამიტომაც, არც ისე ეფექტური აეროდინამიკა ნაკლებად შესამჩნევია. მაგრამ მალაიზიაში ჩამორჩენა კიდევ უფრო გაიზრდება ამ ფაქტორისა და კიდევ ცხელი ამინდის გამო, რომელიც აუცილებლად იმოქმედებს საბურავის ცვეთის ტემპებზე".*




დომენიკალი და ჰორნერი

# იყიდება სენას ბოლიდი

16 მაისს, ლონდონში გაიმართება ყოველწლიური საგაზაფხულო აუქციონი, რომელიც კომპანია Silverstone Auctions-ის ეგიდით ტარდება. კომპანია სპეციალიზდება რარიტეტული ავტომობილების გაყიდვით, ამასთან ლომის წილი მის კატალოგებში სპორტულ და სარბოლო მანქანებს უჭირავთ.

წლევანდელი აუქციონის მთავარი ლოტი იქნება Toleman TG184 – ავტომობილი, რომლითაც ლეგენდარული ბრაზილიელი **აირტონ სენა** ფორმულა 1-ში თავის პირველ სეზონში ასპარეზობდა. აუქციონის წარმომადგენლის თქმით, სწორედ ამ ბოლიდით დაიკავა სენამ მეორე ადგილი მონაკოს ლეგენდარულ გრან-პრიზე: სველ ტრასაზე აირტონი ძალიან სწრაფად დაეწია ლიდერ **ალენ პროსტს** და გამორიცხული არ არის, რომ მოიგებდა რბოლას, მსაჯებს უსაფრთხოების მოსაზრებით რბოლა რომ არ შეეწყვიტათ.

სულ Toleman TG184-ით სენას სამი პოდიუმი აქვს მოპოვებული და მეცხრე ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში.

ბოლიდი იდეალურ მდგომარეობაშია და შესაძლებელია მისი გამოყვანა ევროპაში პოპულარულ ისტორიული მანქანების რბოლებზე. ჯერჯერობით უცნობია, რა საწყისი ფასი ექნება აირტონ სენას ყოფილ ბოლიდს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ისტორიული ბოლიდი




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებსა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია